

საქართველოს სსრ მთხილისათა აკადემია

მეცნიერულ-პოპულარული სერია



K 65.006
3

ც 806011

ს ა კ ა რ თ ვ ე ლ თ ხ
გ ვ ვ ე ნ ა ხ ე მ ბ ა ღ ა ღ ა

СИМПАТИЧЕСКАЯ СИСТЕМА

საქართველოს სსრ მთხილისათა აკადემიის გაზოგადება

თბილისი—1956

634.8(1922)+663.2 (c 92)

სამართლებოს სსრ გეცნივრადათა აკადემია

მეცნიერულ-პოპულარული სერია ცალკევები
სისახლის გადასაცემისა

0.60601920

საქართველოს
გეოგრაფიული და გელაშვილის

K 65 006
3

სამართლებოს სსრ გეცნივრადათა აკადემიის გამოცემლობა

თბილისი—1956



ବୋର୍ଡିଙ୍ କାମିକ୍

შევენახეობა და მცდელობრივობა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურ-
ნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებია, რომლებსაც იქტომბრის
რეკოლუციამდე ძირითადად მოხმარებისა და მოხალისეობის ხა-
სიათ ჰქონდა. ენახები და ღვინის წარმოება გაფანტული იყო
წვრილ გლეხერ მეურნეობებში და თავმოყრილი — მემარულეები-
სა და კაპიტალისტების მცირე ჯგუფის ხელში.

საბჭოთა ხელისუფლების დაშვარების შემდეგ მეურნეობის ამ დარგებმა მთლიანად იცვალეს სახე.

გარდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირში კენახების ფართობი თითქმის ერთისამად გაიზარდა სამი-ოთხი ათეული წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ყურძნის სორტიმენტი, ღვინის ტექნილოგია და სუფრის მშრალ და ტებილ-მაგარ ღვინოებთან ერთად ფართოდ განვითარდა ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი შამპანური ღვინოების, კონიაკებისა და ყურძნის წვენის წარმოება.

საბურთა კაშირში საბურთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ვენახების მისივები რუსეთში რევოლუციამდე ასებული ვენახების მთელ ფართობზე გაცილებით მეტია.

მეცნახობა ინერგება საბჭოთა კავშირის ახალ რაიონებში; მასთან ერთად იყო შორს იშვევს ჩრდილოეთისაკენ. მეცნახობის უფლა რაიონში აშენებულია და მრავლად შენდება ქარხნები სუფრის, მაგარი და შამპანური ღვინოების, კონიაკებისა და სპირტის საწარმოებლად. შესამჩნევად გაუმჯობესდა მელვინეობის პროცესის ხარისხი.

გამოსწრდილია მაღალევალიფიციური სპეციალისტებისა მეცნიერებებისა და მეცნიერებების კადრები.

გაფართოედა ამ დარგის სამეცნიერო-კულტურითი ღამისებრ-ლებების ქსელი.

შეიარდება მჭიდრო კავშირი მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის, რაც ხელს უწყობს მეცნიახეობისა და მეღვინეობის შედეგობ განვითარებას.

მეცნიერებისა და წარმოების წინაშე ისმის კენტებისა და მეცნიერების შემდგომი გადიდებისა, აგროტექნიკის გაუმჯდებელებისა, მეცნიახეობა-მეღვინეობის წარმოებაში მექანიზაციის უფრო ფართოდ დანერგვის, მოსავლიანობის ზრდისა და მეღვინეობის პროდუქციის ზარისხის გაუმჯობესების დიდი ამოცანები.

დასახული ამოცანების განხორციელების საქმეს დიდი დაზმარება უნდა გაუწიოს ჩვენი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის მეცნიახეობა-მეღვინეობის ცალკეული რაონების შესწავლაში.

ამ შრომაში მოცემულია მეცნიახეობა-მეღვინეობის მოკლე ისტორია, თანამედროვე მდგრმარეობა და განვითარების პერსპექტივები საბჭოთა საქართველოში, რომელიც საბჭოთა კავშირში ამ დარგის ერთ-ერთ ძირითად რაონის წარმოადგენს.

ავტორი

I. საქართველოს მთვარისა-შილვის მოპლი • ისტორიული მიმოხილვა¹

ა. მთვარისა-შილვის XIX საუკუნეები

ვაზის კულტურა საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნო-
ჰილი.

ჩევნი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში აპოლონ როდოსე-
ლი თავის პოემაში ორგონავეტების შესახებ (იაზონი და მედე) აღ-
ნიშნავს. რომ ქუდაისის (ქუთაისის) მეფის აეტესის სასახლეში
მოსვლისას, სასახლის ზღურბლის წინ მათ ნახეს მაღალ ხეებშე-
შეხვეული ვაზები, ხეების ჩრდილში კი ღვინო შადრევანად სცემ-
დათ.

ლვინის დაყენება საქართველოში უძველესი დროიდან მოდის. ქსენოფონტეს ცნობით დღევანდელი საქართველოს ფარგლებში
აყენებდნენ ლვინისა და ინახავდნენ მას ქვეერებში (ცერებში). სტრაბონის გეოგრაფიაში აღნიშნულია ძველ გორჩენში (საქარ-
თველოს ტერიტორია) ყურანის სიუხვე, ამასთანავე მოყვანილია
საფუძველითი ცნობები აღმართში (კახეთი) ვაზის კულტურის შე-
სახებ.

ქ. თელავის ახლო, შეამთის მონასტრის (დაასებულია IV
საუკუნეში) მიდამოებში, დღესაც ნახულაბენ ძლიერ ძველი კონ-
სტრუქტურის მემკრებს.

კახეთის ძველი ნაქალაქების გათხრების შედეგად (გრემი,
ნეკროსი) და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც ბლომად პოუ-
ლობენ მემკრებს, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყის საუ-
გუნდებს ეკუთვნის.

გარციხის ნაციხარის ადგილას ნაპოვნია უზარმაზარი ქვე-
რების ნაშთები.

¹ ამ თავის „ა“ და „ბ“ ნაწილები შედგენილია ეკონომისტ ა. ბეჯუმშე-
ლის მიერ.

ზემო რაჭაში, მინდაციხესთან ახლო, რომელიც მშენებულია და დაროში ერთ-ერთი ერისთავის მიერ, ცნობილი იყო ქალაქი გამოკვეთილი გიგანტური ზომის (700 ლეკალიტრამდე) ქალაქისა.

რესთაველის ეპოქის (XII საუკ.) მატერიალური უძრავი მუზეუმის ძეგლები მოწმობებ მეცნიერება-მეცნიერების დიდ როლს საქართველოს მეურნეობაში. ყურადღებას იპყრობს მრავალი ქვეგრის წყობა მარანში, რომელიც აღმოჩნდილია ქველ ქალაქ დმანისა და გამოქვაბულ ციხე-ქალაქ ვარძიაში.

უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერება-მეცნიერების სახელმწიფო შემოსაველის მხრივაც. რაღაც ეს დარგი—საუფლისტულო მარტლები, ზვრები და მარნები, ღვინის გამოსაღების საქმე (ცულები) გაერთიანებული იყო უმაღლეს უწყებაში და მას სასახლის კარზე მყოფი მელვინეთ-უხუცესი განაცებდა მელვინებით და მეულუხებით.

მონოლების შემოსევის შედეგად (XII—XIV საუკ.) საქართველოს ძველი მატერიალური და სულიერი კულტურა დაცა მოელი 3—4 საუკუნის განმავლობაში.

ცნობილია მოგზაურმა შარდენმა, რომელმაც საქართველო 1669 წელს ინახულა, საკრაო ცნობები დაგვიტოვა საქართველოში გაზის კულტურის მდგრამარეობის შესახებ. მისი ცნობით, კენახების უმრავლესობა მაღლარი იყო და ლიანების სახე ჰქონდა. იგი აქებს სამეგრელოს მაღლარის ლეიინოებს. იგივე მოგზაური აღნიშნავს, რომ კახეთის ტყები ვაზებით იყო სავსე; ხელებოდა ბევრი ვენახებიც, რომლებიც ისეოივე ზრუნვით იყო მოვლილი, როგორც საფრანგეთში.

ვაპტანგ მეფის კანონმდებლობით (შედგენილია 1703—1709 წლებში) გადასახადი ვენახებზე ზუსტად იყო განსაზღვრული „აულების“ სახით მოხველის $\frac{1}{5}$ — $\frac{1}{7}$ ოდენობით.

ვახშეტის გეოგრაფიაში (შედგენილია XVIII საუკუნის და საწყისში) მდიდარი ცნობებია მოცემული საქართველოში ვენახების გეოგრაფიული განლაგების შესახებ. მაგალითად, მასში აღნიშნულია: კახეთი, დიდად ნაყოფიერი ქვეყანა, მდიდარი ყოველი მარცვლეულით, განსაკუთრებით ალაზნისა და იორის ნაპირები. პანკისის ხეობა (კახეთის ჩრდილო ნაწილი) მდიდარია ხილითა და ყურძნით. პანკისიდან ქიზიყამდე, რომელსაც შეინით კახეთი ეჭოდება, გვხვდება ვენახები და ხეხილის ბალები; არმაზის დასავლეთით ამართულია დიდი კოშკი, ამ კოშკის დასავლეთით ძეგვის ხეობაა; აქაური ლვინო და ალუბალი კარგი თვისებისაა. ატენის ხეობა მდი-

დარია ვენახებით, ხეხილის ბალებით... ატენი პატარა ქალაქისა, სა-დაც კეთდება საუკეთესო ღვინო. ხეობა სკრისა და ზედლურეფება დასერილია ვენახებითა და ხეხილის ბალებით... მუხრანი გამოირჩევა ზამთარში სითბოთი, ზაფხული შშენიერია: აჭარის ჩატარა-კო, ციფი წყაროს წყალით, საამო პავით, ხილის, ყურძნება და მარცვლის მოსავალი უხვია...

ვორის იჩველივ ბევრი ვენახები და ხეხილის ბალებია...

ზემოთ მოყვანილი ყველა ცნობა და სხვა ღოუმენტები მოწმობენ, რომ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მევრახეობა-მედვინეობა.

თუმცა აგრინომიული ცნობები მევენახეობის შესახებ არ შემონახულა, მაგრამ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ-გამდიდრებული ტერმინოლოგია და სერვ მდიდარი ჯიშობრივი შემადგენლობა (500-მდე სახელწოდება) ნათლად მოწმობენ იმას, რომ ყოველივე ეს მუშავდებოდა ხანგრძლივი გულდასმითი დაკირების შედეგად.

მევენახეობასა და მეღვინეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკაში. ყურძნი, ყურძნის წევნიდან დამზადებული ფელამუში (თათარი) და ჩურჩხელა შეაღვენდნენ საკუთაროდ უძრებელი ტერმინის მინიჭებით. აღსანიშნავია, რომ პურეულის ნაკლებობისა, ხიძეორისა და სიმშილობის ღრის, რაც ხშირი იყო ხანგრძლივი შემოსევებისა და განუწყვეტილი ომების გამო, მოსახლეობა ყურძნით, მისი პროდუქტებითა და ხილით იყვებებოდა.

მეტად ფასობდა ღვინო, რომელიც მაღალი თვისებების გამო გადიოდა საზღვარგარეთ იმ დროსაც კი, როდესაც ქვეყანა ეკონომიკისად დაუძლურებული იყო და კულტურულად დაქვეითებული.

მოგზაურ შარდენის ცნობით, XVII საუკუნეში ღვინო ბლოკ მაღ გაღიოდა სომხეთში, მიდიაში, სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაპანში. როგორც მართებულად აღნიშნავს აქად. ი. ჯავახიშვილი — თუ მევენახეობა-მეღვინეობას ასეთი მნიშვნელობა, ჰქონდა შაპ-აბასის შემოსევის შედეგად განადგურებულ და გაღიარიბებულ საქართველოში, ძნელი არა იმის წარმოდგენა, თუ რა როლი ექნებოდა მას ექსპორტში იმ დროს, როცა ქვეყანა აყვავებული იყო.

საქართველოს ეკონომიკურ ცნოვრებაში მევენახეობისა და მეღვინეობის მნიშვნელობა უთეოდ გარეთ ესმოდათ მტრებს და

ქვეყნის დასაუკლერებლად და დასამონებლად დამშეცრობის: ტე-
მურ ლენგი (XIV საუკ.), შაპ-აბასი (XVII საუკ.) და სხვების თა-
ვიანთ ურდოებს ენაზებს აჩევინებდნენ. ასე მოძრაობა შევენახე-
ობა-მეღვინეობა სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, მცირებული, ქა-
ქართველოს კულტურის კერაში.

შევენახეობა-მეღვინეობას, კვებითი მნიშვნელობისა და შემო-
სავლიანობასთან ერთად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა,
ხალხის კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაში.

პურ-ღვინო ითვლებოდა მხარის, კუთხის, თემისა და მოსახ-
ლის შეძლების მაჩვენებლად; მასპინძელსა და სუფრას აქებდნენ
არა ხორავით, არამედ ღვინით და მისა ხერისხით.

პურის ჰამაში ღვინოს სკამდნენ ზომიერი ჰიქებით.

ღიდა ღვინობით იხარჯებოდა ღვინო ღლეობებში, ღლესას-
წაულებსა და ყოველგვარ ლხინში, მაგრამ მიღებული და დაიანო-
ნებულ-განმტკიცებული წვეულებების მიხედვით — თამაღის, მი-
სი თანაშემწერებისა და საღლევრძელოთა ჩეგლამენტიციით სრული
წესრიგი სუფევდა იქაც, სადაც სუფრაზე მთელი თემი, რამდენი-
მე თემიც კი იყო ხოლმე შემოყრებილი.

XVII საუკუნეში (1673 წელს) საქართველოში მოგზაური შარ-
დენი მეფის კარზე გამართული ლხინის შესახებ ასე ლაასკვნის—
.სამი ეკროპიელი სუფრაზე შეტად სმაურობს, ვითრე 150 კაცი,
რომელიც ლხინს ესწრებოდა¹, მაშინ, როდესაც ღვინო მაღზე ბეჭ-
რი შეისვა!

ფრანგი მწერალი ა. დიუმა, რომელმაც 1858 წელს თბილისი
ინახულა, ასე მოგვითხრობს: „„არ უნდა ღავივიწყოთ, რომ მამა-
კაცებს ლხინი ულეინოთ არ სჩვევიათ, ღვინოსაც ბლომად სვამენ,
მაგრამ იშვიათად თუ ვინმე შეხვდება, რომ იღვილობრივი მცხოვ-
რები ქუჩაში იწვეს ანდა ნისვამი, უწესრიგო მდგომარეობაში
იყოს, როგორც ეს სხვა ხალხებშია“².

ქვეყნის დაყოფა მთადა და ბარად მევენახეობის გავრცელე-
ბის თვალსაზრისშე იყო დამყარებული: საღამდეც მევენახეობა შეი-
ძლებოდა, იქამდე ბარად ითვლებოდა, ამ საზის ზევით კი მთად
იყო მიწნეული³.

¹ Кавказский вестник, № 4, апрель, 1901.

² შ. ჩ ხ ტ ი ა . XIX საუკუნის თბილისი. საქართველოს სარ მცენიერებათა
აკადემიის გამოცემა, 1942, გვ. 406.

³ აკად. ივ. ჯავახი შეი ლ ი. საქართველოს კურომისური ისტორია, ტ. II, 1935.

ცნობილია, რომ წელიწადის თორმეტ თვეთაგან ღქტრშეჩას, როგორც ყურძნის კრეფისა და მაჭრობის თვეს, რეინიშვილის ეწოდებოდა.

ისიც ცნობილია, რომ ფერის (ფერადობის) აღმნიშვნელურნებათა შორის „ლინისფერი“ იყო გაუჩელული. შესაბამისადაც ქრისტიანულ რელიგიაში ლვინო „ხაიდუმლო ზიარებაში“ იქნა გამოყენებული; ვაზი გადაიქცა „წმინდა“ მცენარედ, სავანეთა შენებლობაში, ჩუქურთმა-შხატვრიბაში ვაზისა და ყურძნის მოტივებმა გაბატონებული აღვილი დაიკავა.

ხალხურ ფოლელობიში ვაზის, ყურძნებს, ლვინოსა და მათ ნიშან-თვისებებს გარკვეული აღვილი ცვავათ, მათთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო, საოჯახო, სატრუიალო, დიდაქტიკური და ეკონომიკური ხასიათის ლექსი—შაირი, აფორიზმი, ანდაზა და გამოცანა ბლობადა გაბნეული ხალხურ სიტყვაში. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი¹.

„აჩც აჩავის ყმად ვყოფილვარ. აჩც აჩავინ ყმად მყოლია; ძველი პური, ძველი ლვინო წლითწლობამდე გამყოლია“.

„იქით გაიქეც გოგია, სადაც დაბალი ლობეა,
ბულეშურებიც იქა დვას, ყურძნენიც იქა სჯობია“!

„მოღი ყურძენი მიიჩოვი, თითა და ბულეშურები
შავისთვის არა მცალიან, ყანაში მივეშურები“.

„ალალო, შემსა ვენახსა ჰიგო უდგია ხისაო,
რაც იმას ლვინო გამოვა, ნახევარია სხევისაო“.

„საწყალსა კაცსა ვინ მისცემს აღების ლაშეს ლვინოსა?
ჭადი ჭამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა“!

„ვარძიას შეკვეთილი ვარ ჩემი პურით და ლვინითა,
როდის იქნება მოებრუნდე სიხარულით და ლხინითა“.

„წინანდალს ვაზი ამშეცებს, ახმეტას ვაშლი წითელი,
ვაუკაცსა ფარი და ხმალი, ქალს სუროსავით კისერი“.

¹ 3. უმიკა შვილი. ხალხური სიტყვიერება, ფელერავია, 1937.

„გორის წისქვილი, ატენის ზეარი,
ფშაური ძროხა, თუშური ცხვარი“.



ეროვნული
მისამართი

„...ესამა უთხრა: რახა ბოდავთ, ვინ არის ჩემი დარია? უჩემოდ ქორწილს ვინა იქმს, ან ვინ ღამარხა კვლარია? ბევრ კაცს ცამდე ავაშენებ, ბევრსაც დავადე ვალია; კაცი თავის სენით კვლება, ამბობენ—ღვინის ბრალია!“

„ყურძენმა სთქვა: მეც წილი ვარ, ყოველ წილზე უკეთესი, ზამთარ ხე ვარ და ხე-ფიჩი, გაზაფხულზე — უტურუესი“...

მევენახემ კარგად იცის ვაზის ყადრი და ფასი, რომ მას შეი-
ლივით მოვლა ესაჭიროება, მოვლასაც არ აქლებს, თავს დასტ-
რიალებს:

„ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა,
წითელი ღვინის დედა, გამხარებელი გფლისა.
ვაზი შეილივით მოვლილო, ულვაშებ ვაღვიგრებია,
ჩაქონებინარ ჭიგისა, შუაშე გაღგიტებია“....

მაგრამ მევენახემ გამოცდილებით იცის, რომ ვაზის მრავალი
რამ წიფათი დარაჯობს.

„ენანი კარგად მოვრთევი წმინდად დათლილი სარითა,
თოხითაც კარგად გაეთოხნე, წმინდად დავბარე ბარითა,
დაისხა მსხვილი მტევანი, ცისკენ ასწია ტანიცა,
ეხარობდი, ჩემთვის ვამბობდი — მოვალ სხვისა ვალითა.
მთისკენ გამოჩინდა ლრუბელი, გადაშავა მთანია,
როთი იქუხა საშინლად, თან მოპყა ნიალვარია;
სეტყვა დაუშვა მსხვილ-მსხვილი, თავს დამაქცია ბანია,
მოვარდა სეტყვის ლეშტერი, შემომიგარდა ლვარია,
დამიწიოვა ცოლ-შეილი, დადგა ცოდეა და ბრალია.
ქვეყანა მიჩრევა-მოჩრევა, საყდარს დარეცეს ზარია,
ყურძენი გააყრევინა, თან გააყოლა რქანია,
ბლომად ლავრეცხე ქვევრები, არ მომიერდა ცვარია“...

თავის ბენებით ვაზი მხეიარა მცენარეა, ივი ხეებს ენვევა,
სადაც კი ამის შესაძლებლობაა. ბუნებრივია, რომ პირველხანებში
აღამიანი ამ მცენარეს არ უვლიდა და მზამზარეული ნაყოფით

სარგებლობდა, მაგრამ მასზე დაკვირვებამ ღარეშიმუნა, რომ შესი
მოვლა და საშუალო ბუჩქად ღაყენება უფრო ხელსაყრელი იყო,
რას გამოც მაღლართან ერთად დაბლარიც გაჩინდა. კულტურული
მეცნიერება-მეცნიერება, ინტენსიური მეცნიერება შეიძინა არმენ-
ცენდა, როცა ვაზი საშუალო ტანის, დაბლარი სახის კულტურად
იქცა და შესაძლებელი გახდა მისი შესიერად მოვლა და სათანადო
ლონისძიებათა სისტემატურად გატარება. ინტენსიური მეცნიერე-
ობის წარმოება არსებოთად ვაზის დაბლარი კულტურის, მისი
გასხვლისა, შესარისა და ნიადაგის დამუშავების შემთხვებიდან
შეიქმნა შესაძლებელი. აყალ. ი. ჯავახიშვილის დასკვნით, 1 საუ-
კუნეში ჩვენს ერამდე საქართველოში დაბლარი მეცნიერობა იყო
და ვაზის ყოველწლიურად ვასხვლის წესი უნდა ყოფილიყო მი-
ლებული. მაღლარი კი 3, 4, 5 წელიწადში ერთხელ და უფრო იშ-
ვიათადაც ისხვლებოდა. ვაზის გასხვლა ამ შემთხვევაში ხმელი
ტოტებისა და ზედმეტი ყლორტების ჩარმოადგენდა.
კახეთში, ქართლსა და იმერეთში დაბლარი მეცნიერობა იყო ვა-
ზატონიბული და ვაზი ყოველწლივ ისხვლებოდა.

დაბლარი ვაში დამოწმებული აქვს X საცუკუნეში გ. მთაწმინ-
დელსაც. მაღლართან ერთად დაბლარი არსებობდა, იყო ფრეთვე
სხვა ფორმისჩებანიც და მათი სახელწოდებანიც. როგორიცაა მაღ-
ლარი — ღობილო, ბაზილო, ოლინარი, ხარღნის ვენახი, ტალა-
ვერი ანუ ხეივანი, გართმული ვაში.

კერი ავე უკუკა, გასაკლა კა —
კენახის გაშენება ვაშის ჩქით ჩატმოებდა, ნარგავე-
ბის შევსება კი — წილნით.

ზემოთ ნათქვამიდან ჩამს, თუ რამდენად გავრცელებული იყო საქართველოში მეცნიერება-მეცნიერება XIX საუკუნეებდე, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას ქვეყნის კუნიკმიერა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში და რომ იმ დროს ვაზის კულტივირებისა და ვენახის მოვლა-დამუშავების გარეპელი წესებიც იყო უძრუშავებული.

გ. 803066სონგა-8043060იგა XIX საუკუნესა და XX საუკუნეს
30430ლ 8045010ლზე—საბართველოში საგეოგრაფიული ცენტრის
დამატებითი 1¹

¹ მელეიონების შესახებ ზოგიერთი ქრისტიანულია მეცნ. დოქტორი პერელის მასალებიდან.

შვეციანის დაშლილი ეკონომიკური ცხოვრება იღდგენას იწყებს, მოსახლეობა ხელს ჰქონდებს მევენახეობა-მელვინეობას. თავისი არსებობის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს.

ამ პერიოდში შეძარული და მონასტრების საკუთრებას შეატყობინები მესტერი ზერები და მარნები ფეოდალებსა და მონასტრებს ეკუთვნოდა. რომლებიც ბეგარით ამუშავებდნენ გლეხებს, მაგრამ განინდა მონაშენეც — ყმა გლეხი, რომელიც მებატონის ცარიელ აღგილზე ცენას აშენებდა და გარკვეული დროის შემდეგ ნაწილი ცენაზისა მას რჩებოდა. განინდა აგრეთვე ვაკარ-მრეწველთა. მემამულეთა და საუფლისწულო ცენაზებიც, რომელთაც მეპატრიონენი დაქირავებული შრომით ამუშავებდნენ.

თანაათან ფართოვდება ბაზარი, მომხმარებელი ეცნობა ეკრიპულ საქონელს და ადგილობრივი საქონლის მწარმოებელს გაზრდილ მოთხოვნილებას უყრენს.

ბაზარმა სხვადასხვა ტიპის ლეიინებიც, შამპანურიც, კოშიაკებიც მოითხოვა, რაც პირველ ხანებში ეკროპიდან (საფრანგეთიდან) ხმელთაშუა და შავი ზღვებით შემოქმედდათ: ფოთიდან ოპპირამდე გვმით მოდიოდა, ორპირიდან თბილისამდე საჭაპანო ტრაბი-პორტით, რაც ერთორიად მეტ ხაზს მოითხოვდა, ვიდრე მარსელიდან ფოთამდე მოტანა. შემოზიდვის ხარჯი ბევრად აძვირებდა საქონელს. ამ გარემოებამ დაბადა აზრი ეკროპული ტიპის ლეიინების, ტკბილი შემაგრებული ლეიინებისა და შამპანურის წარმოება აღგილობრივ შექმნილიყო.

პირველი ასეთი წარმოება ჩამოყალიბდა 1830 წელს ს. რუის-პირში (კახეთი), გერმანელ გ. ლენცის მიერ, რომელიც ფრანგ ტრტოს ხელმძღვანელობით ამზადებდა ტკბილ ლეიინებს და შამპანურს.

ამის შემდეგ ჩამოყალიბდა ალ. ჭავჭავაძის მამელი ს. წინადალში (დღევანდველი წინანდლის საბჭოთა მეურნეობა), ჭორგაძისა (ს. საბცეში), განდიერისა (ს. განინაძიანში).

ამასთან ერთად ჩამოყალიბდა კახეთის მევენახე-მელვინეთა ამზანგობები.

მ. ბალასის ცნობით ატენის ხეობაში XIX საუკუნის შუალედში ცნობილი იყო ცქრიალა, შამპანურის მსგავსი ლეიინების წარმოება, რომელიც წელიწადში 120.000 ბოთლამდე ლეიინის უშევებდა.

¹ შ. წერტია. XIX საუკუნის თბილის, 1942.

ცნობილია ი. ბაგრატიონ-მუხრანელის „წარმოება, რომელიც სოფულებ მუხრანის, დილომისა და თამარაშვილის მამულების უზრუნველყოფის ნიდან ევროპული ტიპის ლვინოებსა და შამპანურს აყენებდა. იგი 12 სხვადასხვა მარკის ლვინოებს ამზადებდა (იმასთან შემსრულდებოდა შამპანურის), რომელთაც სრულიად ჩატარდა 1882 წ. წარმოების გილდოდ „სახელმწიფო ლერძი“ მიიღეს, პარიზის 1890 წ. სასოფლო-სამეურნო გამოფენაზე კი ერთი ოქტოოსა და ორი ვერცხლის მედალი. დასავლეთ საქართველოში ცნობილი იყო პრინც ოლდენბურგის ქუთაისის შამპანური წარმოება, ანანოვის ვარციხის მამული შამპანურისა და კონიაცების წარმოებისათვის, პრინც მიურატის სალხინის მამული, ყიფანის მამული ხვანებარაში და სხვ.

ჩამოთვლილმა საწარმოებმა ქართველ მევენახეებს გააცნეს მევენახეობა-მელვინეობის წარმოების გაუმჯობესებული წესები და მანქანა-ხელსაჭყოები — წნები, ხის კარი, ბოთლი, ტყბილის და-დუღება შერჩეულ დედოებზე; ზოგმა მათგანმა ევროპული ვაზის ჩიშებიც შემოიტანა და კიდეც დანერგა.

მევენახეობას საქართველოში საერთოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ცალკეული რაონები განსაკუთრებით გამოიჩინდნენ ვენახების ვავრულებით და ლეინის ხარისხით.

XIX საუკუნის დასწყისში, როგორც მოვნაური სტევენი მოწმობს, საქართველოს მევენახეობა-მელვინეობაში პირველი აღგილი კახეთის ექირა. ალაზნის ველზე ვენახები განუწყვეტილ გაქვად მისდეველნენ ერთმანეთს. ავტორის აზრით, ლვინო შეაღვენდა მოსახლეობის კუთილდლეობის წყაროს და განიჩეოდა თავისი მაღალი ხარისხით. ჩაც გამოწვეული იყო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებითა და ვაზის გიმობრივი შემაღვენლობით. აღვილობრივი ლვინოებიდან თავიანთი ხარისხით გამოიჩინდნენ აბმეტის თეთრი ლვინოები, წინანდლისა და სხვა აღვილების ლვინოები.

„ამიერკავკასიის სტატისტიკურ აღწერილობაში“, რაც 1835 წელსაა გამოცემული, აღნიშნულია: „საუკეთესო ლვინოები კახურია, ე. ი. საქართველოში — თელავისა და სიღნაღმის მაზრებში დაყენებული ლვინოები, რომლებიც თავიანთი ხარისხით არ ჩამოუკარდებიან საფრანგეთის კარგ ლვინოებს; წითელ ლვინოებს აქვთ ბურგუნდის ან ბორდოს ლვინოების გემო და ლირსებანი; თეთრი ლვინოები ისე მაგარი და გემოიანია, როგორც საუკეთესო მაღერა ან პორტვეინი. კახეთის ლვინოებს აქვთ თავისი განსაკუთრებული სურნელება, რომლითაც განიჩევიან უცხოებისაგან“.

ისტორიელის პლატონ იოსელიანი კახეთში მოგზაურობის დროს შედგენილ შენიშვნებში (1846 წელს) აღნიშნავს:

„მევენახეობას კახეთში განსაკუთრებული მოსაქმეთის ხასიათი აქვს. იგი შეიძლება გაფართოვდეს მთელს მეტობაზე და სივრცეზე. იყო დრო, როდესაც მევენახეობას საკუთარი მიმოზოგ-ნილების დაქმაყოფილება მქონდა მიზნად. მეტამად მან მოიპოვა მიშვნელობა და წონა ვაჭრობის მხრივ, და იგი გახდა შინაური სიმღიდორის ერთადერთი გამაღები. კახეთის ლეინომ უნდა შეამციროს სხვა ქვეყნებში გასული ფულის ხარჯი ეკროპული ლეინოების სასყიდლად. დადგება დრო, როდესაც იგი ხარისხით ჩეინისა და ჰურგუნდის ლეინოებს გაუთანაბრდება. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია კონდოლის, ნაფარეულისა და წინანდლის ლეინოები“.

ქართლის ლეინოებიდან უფრო განთქმული იყო ქსის ხეობის ლეინოები, რომლებიც განიჩეოდნენ სინაზით, სიმსუბუქითა და სურნელებით.

კარგი ლეინოები ლებოდა ოგრეთვე ატენის ხეობაში (თეთრი) და სოფ. ხიდისთავში (თეთრი და წითელი). ქართლის წითელი ლეინოებიდან საუკეთესოდ ითვლებოდა „თავკვერი“ თავისი სისქით, მუქი მოწითალო ფერით და საკმაო ნაზი სურნელოვანებით.

ცნობილი მოგზაური ლუბუა ლემონისერო ლენისუმში მოგზაურობის დროს (XIX საუკუნის პირველ ნახევარი) აღნიშნავს: „სოფ. ზუბში დაბლარ ვენახებს აშენებენ; ყურძენი მშვენიერია, როგორც ჩვენს ენახებში“.

გრუქის მონასტერში ყოფნისას (საჩერის ჩაიონში) მას თეთრი ცქრიალა ლეინო მიართეს, რომელიც შამპანურსა გავდა. ასეთი ლეინო, თარჯიმანის გადაცემით, ლებოდა იმ ვენახების ყურძნიდან, რომლებიც იმყოფებოდა შორაპნის ზემოთ კირნაზ ნიადაგებზე. საუკეთესო ლეინოებად ითვლებოდნენ ლეინოები, რომლებიც მოდიოდა შორაპნიდან სურამისაკენ მიმავალი გზის ახლო-მახლო აღვილებში.

მოგზაური ღამბა, რომელმაც შემოიარა სამეგრელო, გურია და იმერთი, კველვან ხედებოდა მაღლარს — ხეებზე შეშებულ ვაზებს. სოფ. ობჩაში მან ნახა ჭიგოზე აკრული ვაზები, რომლებიც ისხელებოდა მიწიდან 4 ფუტის სიმაღლეზე, სიმონეთისა და ბაღდაღში და ქუთაისისა და შორაპნის მაზრების სხვა აღვილებში ვენახები ღილი მოსაელიანობით იყო ცნობილი. სოფ. ღიმში მიართეს ლეინო, რომელმაც მას შამპანის წითელი ლეინოები მოავთ-

ნა. რაჭის მაზრის ზოგიერთ სოფელში იყო ბევრ ვენახებსა /ხვდებოდა.

გურიაშიც მისდევდნენ მევენახეობა-მელვინეობას, და ვაზები, რომელიც არ საჭიროებდნენ განსაკუთრებულ მოვალეობას, თამაშებსა და ინტერესობას ტყეებსა და მთების ფერდობზე.

XIX საუკუნის პირეელ ნახევარში სოფ. იანეულში (გურია) დასახლდა ი. მარი, რომელმაც თავი ისახელა მთელ ქუთაისის გუბენისაში მელვინეობაში გაუმჯობესებათა შეტანით.. ი. მარის შეირ დაყრენებული ღვინიები სალფებოდა არა მარტო ქუთაისის გუბენისაში, არამედ რუსეთის სამხრეთის ზღვისპირა ქალქებშიც. ი. მარიმა პირველად გააცნო ევროპას ქართული ღვინიები.

კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის ცნობებით, საქართველოს ვენახების ფართობი 1875 წელს 71.022 ჰექტარს შეადგენდა. ხოლო 1895 წელს — 76.727 ჰექტარს. ვენახები გაშენებული იყო „დაბლარის“ სახით — დაბალშტამბიანი, სარებზე აკრული, და „მაღლარის“ სახით — მაღლალშტამბიანი, ხეებზე შეშვებული. დაბლარი გაერცელებული იყო საქართველოს მევენახეობის უკელა რაიონში, მაღლარი კი განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ტერმოდ კი გურიასა, სამეგრელოსა, ივერიასა და აფხაზეთში.

მეურნეობის ნატურალური ხსნითის, ბატონიშვილი წყობილების, მიმოსელის მძიე პირობებისა და მელვინეობის ტექნიკოგიის პრიმიტიულობის გამო, მელვინეობა საქართველოში მოხმარებითი ხსნითისა იყო, გარდა მევენახეობა-მელვინეობის ძირითადი რაიონებისა — კახეთისა და იმერეთისა.

შეაჩინებლებს ძირითადად წერილი მიწადმოქმედი გლეხები წარმოადგენდნენ თავიანთ დაქუცმაცებული ნაკეთებითა და მცირედი შესაძლებლობით. მსნეილ მემამულეთა მეურნეობანი დაყრდნობილი იყვნენ გლეხერ შრომაშე.

იმ დროისათვის ჩამორჩენილი იყო მელვინეობის ტექნიკოგიაც. მელვინეობა წარმოებდა პრიმიტიულად. უურძენი ფეხით იქცილტებოდა, ღვინო გადაჰქონდათ ტიკებსა და კოლორებში ურმებითა და ცხენით.

მელვინეობის განვითარებას განსაკუთრებით უგზოობა აფერნებდა.

კახეთში რეინიგზის გაყვანის საყითხი არა ერთხელ იქნა აღმული XIX საუკუნის ბოლოს.

„დ. ლურუილაძე წერს: „კახეთის ველზე მშენივრად ხარობს სხვადასხვა ჯიშის უურძენი. მთელი ეს სიმდიდრე პირველყოფილ

მდგომარეობაში, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის/ კუტ
ერთმა დარგმა ვერ პოვა სრული განვითარება, საჭიროა გაოცნე
ხელი და კიბიტალი. ბუნებრივ სიმღიდოებთა ექსპლოატაციური უზუ-
ლობრივი ვაკრებისათვეს სარტიანი არაა, როგორც უკეთეს მდგრადი
არახელსაყრელი და უცოდნელი. მეტად გაძნელებულია კახეთში
ნაწარმოები საგნების გატანა გასაღების ბაზარზე. ამ დაბრკოლე-
ბის გადალახვა მათ მაღლონეს აღემატება; ამს უნდა განსაკუთრე-
ბული სახსრები, რომლებიც მათ არ მოეპოვება".

გასაღების გაძნელების გამო მელვინეობის პროდუქტების მთა-
ვარი მასა აღგილობრივ ინბირებოდა, მნილოდ კახური ღვინო-
ები გადიოდა და საღდებოდა თბილის ბაზარზე. ღვინით ვაჭრო-
ბის უმთავრესად ფადამყიდველები წარმოებდნენ, რომლებიც მო-
სალოდნელ მოსავალს წინასწარ ყიდულობდნენ კაბალურ პირო-
ბებში და შემდეგ მეტად დიდ ფასებში ასაღებდნენ.

ფოთიდან თბილის მდე რეინიგზის გაყვანით (1871 წელი) და
თბილისიდან გომბორის ულელტეხილით კახეთა მდე შარაგზის დამ-
თავრებით (1870 წელი), გადავილდა ღვინის გატანა-გასაღება.

როგორც ცნობილია, ქართული ღვინოები, განსაკუთრებით
კახური, ძეველთაგანვე გადიოდა ამიერკავკასიის ფარგლებს იქით
და შორეულ ქვეყნებში ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. მაგრამ,
მიუხედავად ამისა, ეს ღვინოები მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამ-
დე არ იყო ცნობილი ოფიციალურ სამარქო ასორტიმენტში, თუმ-
ცა მათი უმრავლესობის წარმოების ტექნოლოგია დიდი ხანია რაც
გამომუშავებული იყო აღგილობრივი მელვინეობის საუკუნოებრი-
ვი გამოცდილებით.

საქართველოს სამარქო ღვინოების საწყისად უნდა ჩაითვა-
ლოს ალექსანდრე ჰიგენიანის მიერ შექმნილი ღვინოები — წინან-
დლის, ნაფარეულისა და მუკუხნის მამულებში.

კახური ტიპის ღვინოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების საქ-
მეში მნიშვნელოვანი წელილი აქვთ შეტანილი გამოჩენილ ქართ-
ველ სპეციალისტებს — ზ. და ე. ჯორჯაძეებს (სოფ. ენისელი და
საბუე); პირველად ისინი შეუდგნენ კახეთში ღვინის ეკროპულ წე-
სით დაყენებას. მათ გააცვნეს რუსეთს ქართული მაღალი ხარის-
ხის ღვინოები, რის შედეგადაც მიიღეს მოელი რიგი პირველხაზის-
ხოვანი ჯილდოები მოსკოვისა და ოდესის გამოფენებზე.

კახეთის ზოგიერთ მიერობააონის მელვინეობის პროდუქციის
დამახასიათებელი მდგრაძი თეისებების გამოვლინების საქმეში
დიდი ღვაწლი მოუძღვის მელვინეობის ენტეზიასტს პ. ავერკინს,

რომელიც კახეთში 38 წელიწადი მუშაობდა. პირველად საქართველოში მის მიერ იქნა შედგენილი ადგილობრივი ხარისხოვანი ხერი და ევროპული წესით დამზადებული ღვინოების დიდი პიტლიოთება, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში, ღვინოების სამარჯო ასორტიმენტის დატვენის საქმეში.

ქართლის ღვინოების სამარჯო ასორტიმენტის გამოშუშვავებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ბაგრატიონ-მუხრანელის დიდია და სანიმუშოდ დაყენებულში მეურნეობამ. საქმარისია ითქვას, რომ 80-იან წლებში სარდაფებში დასაცელებლად დაყენებული ღვინოები, მათ შორის 1874 წლის მოსავლისა, მუხრანში 72,000 დყვალიტრს შეადგინდა. ბაგრატიონ-მუხრანელის მიერ შემოღებული თორმეტი მარჯის ღვინო, ადგილობრივი და ევროპული წესით დაყენებული, ძლიერ ღირსეულად ფასობდნენ და საუკეთესო ღვინოების სახელი ჰქონდათ დამსახურებული. მუხრანის პროდუქციის ცალკეულმა ნიმუშებმა მაღალი ჭალდო მიიღეს მოსკოვის გამოფენაზე.

დასაცემ საქართველოში პირველი ღვინოები, რომელთაც სამარჯო სახელწოდების უფლება მოიპოვეს, იყო მეგრული ოჯალეში და რაჭული ხევანეკარა.

სამარჯო ღვინოების ქართული ასორტიმენტის გამოშუშვავების ისტორია ფართოდ იწყება ყოფილი საუფლისწულო მამულების მსხვილი სპეციალისტების — გოგოლ-იანოვსკის, ვახვახიშვილის, ნაიაშიძის, ეგორიოვის, ხოვრენკოს და სხვ. განსაკუთრებული ნაყოფიერი შოღვაწეობით. საუფლისწულო უწყების მიერ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში შეძენილი ყველაზე უფრო ცნობილი მეურნეობები — ეხევთის (წინანდალი, ნაფარეული და მუქუჩანი), ქართლისა (მუხრანი) და იმერეთის (ვაკევი) მნიშვნელოვნად იყო გაფართოებული, შევსებული ადგილობრივი და უცხოური ძეირფარი ვაზის ჭაშებით და სანიმუშო მდგომარეობაში მოყვანილი. ამ მეურნეობათა პირველხარისხოვანი ტექნიკით საუცხოოდ მოწყობილ ღვინის სარდაფებში დაიწყო ევროპული წესით ღვინოების წარმოება და დამუშავდა ადგილობრივი სამარჯო ღვინის დამზღვების სტანდარტული ტექნიკოლოგია. ამ ღვინის მარებმა ფართო სახელი მოი-



პოვეს და ისინი შენარჩუნებულ იქნენ თითქმის 1950 წლამდე შეძეგი სახელშოდებით: წინანდალი № 64 და 45, შუალენი № 65 და 46, ნაფარეული № 66 და 47 და თელიანი № 48.

საუფლისტულო მამულის საწარმოთა პროდუქციის ზერთო გამოშვება ჯერ კიდევ 80-იან წლებში 100.000 ვედრომდე ოლწევდა.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან ვითარდება, ფართოვდება და გარკვეულ მიმართულებას იღებს საწარმოო მელვინეობა.

XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში შემჩნეულ იქნა საზღვარგარეთიდან შემოსული ავალმყოფობანი — ნაცარი, ჭრაქი და მავნებელი ფილოქსერა.

ჭრაქმა თავი იჩინა პირველად დასავლეთ საქართველოში (1881 — 1883 წწ.); 1886 წელს იგი აღმოჩენილ იქნა კახეთშიც, 1888 წელს კი ქართლში.

ნაცარი აღმოჩენილ იქნა კიდევ აღრე, გასული საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში; 1855 წელს ეს დაავადება შედის ქვემო იმერეთსა და რაჭა-ლეჩხეთში; 1875 წლიდან იგი გადადის აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლი, კახეთი).

ნაცარმა და ჭრაქმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს ვენახებს და ძლიერ დასცეს ყერძნის მოსავლიანობა. მათ განსაკუთრებით დამღუპებული გავლენა იქონიეს მაღლარებში, რომელთა წამლობა გაძნელებული იყო შტამბის სიმაღლის გამო. 1884 წელს აღმოჩენილ იქნა ფილოქსერით ვაზის დაავადება მდინარე ყვირილის მარჯვენა მხარეზე და აგრეთვე ქუთაისის მიდამოებში. 1890 წლისათვის უკიდ ბევრ ადგილს ვენახები სრულიად განადგურდა. ამავე დროს ფილოქსერა მასიურად იქნა აღმოჩენილი მთელი იმერეთის ტერიტორიაზე, ლეჩხემის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრების სოფლებში. 1892 წელს ფილოქსერა დასავლეთი საქართველოან გადავიდა ჯერ ქართლში, შემდეგ კი კახეთში (1911 წ.).

ვენახების სრული განადგურების საშიშროებაშ წარმოშეა ყველა ზემოთ დასახელებული დაავადებისა და განსაკუთრებით კი ფილოქსერის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის საჭიროება.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, შემდეგ კი კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა გარკვეული როლი შეასრულეს ვაშის დაავადებებსა და მავნებლებთან ბრძოლის საქმეში.

მოწყობილ იქნა ექსპედიციები კავკასიაში შემავალი გაუტერინიებისა და მაზრების მიხედვით ენეახების მდგომარეობის შესტეკი წავლად, დაავადებათა და მავნებლებთა გავრცელების არეს დასაღენად; დაწყო ძიება ბრძოლის ლონისძიებათა დასასახავად და ვამოსაცდელად.

ბრძოლის პირველ ეტაპზე წამოყენებულ იქნა ფილოქსერით დაავადებული ვენახების ნიადაგის დამუშავება გოგირდოვანი ნახშირბადით.

შემდეგში კი, ამ ლონისძიების ნაკლები ეფექტიანობისა და დიდი ხარჯების გამო, ფილოქსერის წინაღმდევ ბრძოლის მთავარ მეთოდად მიღებულ იქნა ვენახების განახლება ფილოქსერაგამძლე ამერიკული ვაშის საძირეზე დამყნილი ვაშით, ჩამაც საქართველოს ვენახები იმ დროს სრულ განადგურებას გადაარჩინა.

ფილოქსერის წინააღმდევ ბრძოლის ამ შეთოდით წარმოიების ინიციატორი და ორგანიზატორი კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის აგრონომი ვ. ა. სტარისელსკი იყო.

ვენახების წამლობისთვის საჭირო პრეპარატების შესანახ ბაზად, გასული საუკუნის 90-იან წლებში, აგრონომ ვ. ა. სტარისელსკის წინადადებით, შორისპნის მაზრის სოფ. საქართვი — იმერეთის მევენახეობის ცენტრში, მოწყობილ იქნა საჭირო საწყობი. შემდეგში ამ საწყობთან გამოყოფილ იქნა მიწის ნაკვეთი; მოწყობამორჩორია, მეტეოროლოგიური სადგური და ბიბლიოთეკა.

ფილოქსერაგამძლე საძირეზე დამყნილი ვაშის წარმოიების საქმის შესწავლის, ორგანიზაციისა და მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებისთვის ხელის შესაწყობად, საწყობთან გამოყოფილ მიწის ფართობზე გამენდა ამერიკული ვაშის საცდელი სადედე და მოწყო ნამყენი ვაშის სანერვე.

საჭირო ცდების ჩასატარებლად მოწევეული იყო სპეციალისტი აგრონომები, რომლებიც აწარმოებდნენ ნიადაგების გამოკვლევას, ნამყენის გამოყვანას, ამუშავებდნენ შესაფერ აგროტექნიკურ ლონისძიებებს და სხვ.

დასავლეთ საქართველოს გლეხობა ხალისით იქრიბებოდა საქართვი ნამყენის გამოყვანის ტექნიკისა და ნამყენი ვაშის მოელოს აგროტექნიკის შესასწავლად.

რეაქციის წლებში (1906 წ.) დევნილი ვ. ა. სტაროსელსკა
გადაიცვეში საზღვარგარეთ და გარდაიცვალა პარიშში 1912 წელს.

საქართველოში ჩამოყალიბებული საცდელი ნაკვეთები გამოიცა დაზა
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სა-
ქართველოში მეცნიერება-მეცნიერების საცდელი სადგურებულის შე-
ლად, რომელმაც მეტად დიდი როლი შეასრულა საქართველოს მე-
ცნიერება-მეცნიერების განვითარების საქმეში.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, კახეთში, საქართველოს მეცნი-
ერების ძირითად რაიონში, ფილოქსერა აღმოჩენილ ჩენა 1911
წელს. იგი სწრაფად და ძლიერ გავრცელდა კახეთის დასავლეთ
მხარეში, შემდეგ კი მთელ კახეთში.

ფილოქსერის გავრცელების შესწავლისა და მის წინააღმდეგ
ბრძოლის სამუშაოებს საქართველოში კაცებისის საფილოქსერო
კომიტეტი ასრულებდა, შეგრამ პირველმა მსოფლიო იმპერიალის-
ტურმა ომში ხელი შეუშალა მას ეწარმოებინა იგი ცოტად თუ ბევ-
რად ორგანიზებულად. ფილოქსერისა და სოკოვანი დაავადებების
მიერ მეცნიერებისათვის მიყენებული ზარალი იმდენად დიდი იყო,
რომ ვენახის ფართობი (დაბლარი და მაღლარი ერთად) 76.727
ჰექტარიდან (1895 წელს) პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე
(1914 წელს) 61.862 ჰექტარამდე დავიდა და მოსავლიანობაც ძლი-
ერ შემცირდა.

ომის წლებში მეცნიერება კიდევ უფრო მკვეთრად დაეცა:
ფილოქსერა და სოკოვანი დაავადებანი, რომლებიც ამ ლარისა-
თვის უკვე უვალგან იყო გავრცელებული, მოითხოვდნენ მათ წინა-
აღმდეგ სისტემატურ ბრძოლას, რაც არ წარმოებდა; ღვინითა და
მაგარი სასმელებით ვაჭრობის აქტალვის შედეგად კი გაძნელდა
პროდუქციის გასაღება და ეს სასაქონლო და შემოსავლიანი დარ-
გი დეფიციტურ დარგად გადაიქცა; ძნელი გახდა ვენახის შესაწამ-
ლი აპარატურისა და შხამ-მასალის შეძენა; ვენახს მოაკლდა მუშა-
ხელი და მოვლა-დამუშავება; ამის გამო ვენახების ფართობის შემ-
ცირება სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ და ომის წინა წლების ფარ-
თობი, რომელიც 61.862 ჰექტარს უდრიდა, ომის ბოლოსათვის —
1917 წელს 47.125 ჰექტარამდე შემცირდა.

მეცნიერება-მეცნიერების დაცემის ფაქტორებმა კიდევ მეტა-
სიძლიერით იჩინეს თავი საბჭოთა რესეტორან კავშირის გაწყვეტის-
შემდეგ მეწევიების ბატონობის ხანაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წელი
(1921 წ.) ვენახების ფართობი 29.500 ჰექტარს-და შეადგენდა.

გ. 80 ვენახიობისა და მიღვიდობის საიტო მდგრადადობა
საქართველოში საგაოთა ხელისუფლების დაცვასთან

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან
მეცნიერებასა და მეღვინეობას, ისე როგორც მთელი სასტუდიოს
მეურნეობას, განსაკუთრებული უზრაღლება ექცევა. მაგრამ ეს ე

საქართველოს სამრეწელო მეღვინეობა, რომელიც წარსულ-
ში ვაკრების კაპიტალისტური მოგება-გამდიდრების საქმეს წარ-
მოადგენდა, სახელმწიფო და კომპერატიული ორგანიზაციების
ხელში მოექცა. საუფლისტულო და მიწადმოქლობელთა მამულე-
ბის ბაზაზე აღმოცენდნენ საბჭოთა მეურნეობანი საქართველოს
სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში, რომ-
ლებიც გაერთიანებულ იქნენ სპეციალურ ტრესტში „სამტრესტში“.

კომპერატიული მეღვინეობის ორგანიზაციები, როგორც
„კავშირთ კავშირი“, „საერო“, „კახეთი“, „იმერეთი“ და „ხვან-
ჭიათურა“ გაერთიანდნენ კომპერატიულ საწარმოო კავშირში „სა-
ქართველოს ლეიინს“ სახელწოდებით, რომელიც 1931 წელს „სამ-
ტრესტს“ შეუერთდა.

ამგვარად, საქართველოს მეღვინეობის მთელი ძირითადი მრე-
წველობა საბჭოთა მეურნეობებით, საკოლმეტრნეო-გლეხურ სექ-
ტორში ყერჩნის დაწიადებით, გადასამუშავებელი პუნქტებითა და
ლვინის ქარხნებით თავმოყრილ იქნა „სამტრესტის“ სისტემაში.

სამტრესტის მიერ გამომუშავებული მეღვინეობის მთავარი
პროდუქცია იყო: მშრალი ორდინარული და სამარკო ლვინოები,
ტკბილი და შემაგრებული. შემზენა და ნაწილობრივ შემპანური
ლვინოები; სამტრესტი აწარმოებდა აგრეთვე კონიაკებს, ლიქ-
ორებს, სხვადასხვა მაგარ ტკბილ სასმელებსა და ჭაჭის არაყს.

სამტრესტი ატარებდა ზოგიერთ ღონისძიებას ნედ-
ლეული ბაზის გასაფართოებლად. ჩამდენადაც ფილოქერაგამძლე
საძირე ვაზის სადელები და სანერგები ძირითადად თავმოყრილ
იქნა „სამტრესტის“ ხელში, ამდენად დასაჩვავი და შესაწამლი მა-
სალებით, მომარავების საქმეც მასევ დაეკისრა.

კოლმეტრნეობებში ახალი ვენახების გაშენების კრძელვადია-
ნი დარჩელიტება და აგრონომიული ღონისძიებანი საქართველოს
სსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ტარდებოდა;
ფიზე ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-კვლევით საქმეს მეცნი-
ეობასა და მეღვინეობაში.

მეცნიერებასა და მეღვინეობის საქართო საცდელი სადგურის
მსგავსად 1922 წელს ჩამოყალიბებულ იქნა კახეთის მეცნიერო-

შაშელვინეობის ცენტრში — ურიათებანში (აშანდელ ვაზის უბანში) — საცდელი სადგური. ანიშნული საცდელი სადგურების ძარითადად მეშაობლენენ ვენახების აღროტექნიკის, ვაზის მავნებლებისა და დავაცდებათა წინააღმდეგ ბრძოლის სკონფერენციები.

1931 წელს ქ. თბილისში დაარსდა სრულიად სტაციონარული ნახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც შევიდა სრულიად საკუმიშიო სოფლის მეურნეობის ლენინის სახელობის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. ამით ჩაეყარა საფუძველი მთელ საბჭოთა კავშირში მეცნახეობისა და მელვინეობის დარგში მეცნიერული სამუშაოების გეგმურ საწყისს.

1932 წელს ინსტიტუტი გადატანილ იქნა საქართველოს მეცნახეობა-მელვინეობის ძირითად რაიონში — კახეთში (ქ. თელავში). 1934 წელს იგი გადაკეთებულ იქნა ამიერკავკასიის ინსტიტუტად, 1937 წელს კი საქართველოს ინსტიტუტად.

ამგვარად, მეშაობა მეცნახეობისა და მელვინეობის აღდენისა და შემდგომი განვითარებისათვის ყველა მიმართულებით წარიმართა—ორგანიზაციული, ტექნიკური და მეცნიერული ხაზით.

მოხხედავად მეცნახეობაში წარმოებული აღდენითი სამუშაოებისა, ვენახების ფართობი 37 ათასი ჰექტარის რაოდენობით, რომელიც არსებობდა 1926 წელს, 1935 — 1936 წლებამდე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

მეცნახეობის აღდენისა და მისი შემდგომი განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს ფილოქსერაგამძლე სარგავი მასალის ნაკლებობა წარმოადგენდა.

საძირე ვაზის სადედეების ფართობის სიმცირის გამო (არა უმეტეს 300 ჰექტარისა), ნერგის ყოველწლიური წარმოება 7 — 8 მილიონი ძირის ოდენობით ძლიერა ჰყოფნიდა ყოველწლიურად ფილოქსერისაგან განადგურებული ენახების აღდენს (2 — 3 ათასი ჰექტარი).

1932 წელი შემობრუნების წელი იყო მეცნახეობის აღდენისა და შემდგომი განვითარების საქმეში. ამ საქმეს საქართველოს კპ(ბ) ტენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და მიიღო სათანადო ზომები იმ შეცდომათა გამოსასწორებლად, რაც დაშეებულ იქნა წინა პერიოდში სოფლად მეშაობის დარგში.

საქართველოს კპ(ბ) IX ყრილობაშე ძირითადი ყურადღება მიეცუა საძირე ვაზის სადედეების გაფართოებას, რადგან მეცნ

ნაზეობის განვითარებას მანამდე განსაზღვრავდა ვაზის საძირე მასალა.

დამოკიდებულება საქართველოს მეცნიერებისა და 1932
წლამდე ხასიათდებოდა სოფლის მეურნეობის ამ უძრიშვერცვალ
ნების დარგის შეუფასებლობითა და უგულვებელყოფითა.

ამის ნათელი მაგალითები იყო: დატვირთვა კუაზლის ჩაით-ნისა 1931 წელს 1.000 პექტარი კენაფით, სიღნაღის ჩაიონისა — 8.200 პექტარი ბაშბითა და კენაფით, ზესტაფონის ჩაიონისა — 1.500 პექტარი სოის წმინდა ნათესით და სხვა.

კველაფერი ეს მეცნიახეობას ზიანს აყენებდა.

გარდა ამისა, დამზადების ფასები (7 მანეთი ედომში) მცირე იყო, ყურძნისა და ლეიის დამზადება პურეულით ან საქონლიანდებოდა, სადელეების გაშენების ტემპი საკუსებით აჩადამაკაყოფილებელი იყო.

ამის შედეგად მკეთრად გაუარესდა ნაჩვაობის დამუშავება და მოვლა.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დახმარებით 1932 — 1933 წლებში გატარებულ იქნა ლონისძიებანი მეცნიერობის აღსაზღვრად, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ მეცნიერობის ძირითად რაიონებს, სადაც ტექნიკური, შრომატევადიანი კულტურულები (ბამბა, კენაფი, სოის წმინდა ნათესი და სხვ.) მეტოქეობას უწევდნენ ყურქების, მოებსნა ეს დავალება; კახეთში 1932 — 1933 წლებში შემცირდა ბამბის ნათესი, 1934 წელს კი იგი საესებით მოიხსნა, გადიდდა ლვინის დამზადების ფასი და იგი დაიფრენცირებულ იქნა გრიშებისა და ხარისხის მიხედვით; ლვინისა და ყურადის დამზადება დასაქონლიანებულ იქნა პურითა და მანუფაქტურით.

საძირე ვაზის სადელების გაშენების საქმის გაძლიერების შედეგად (საძირე ვაზის სადელების ფართობი 1940 წლისათვის აკვანილ იქნა 815 ჰექტარამდე), კოლმეურნეობებში საბორების შენებლობისა და ნამყენის წარმოების გაშლით უზრუნველყოფილ იქნა ვენახების არა მარტო აღდგენა, არამედ შეიქმნა წინაპირობანი შემდგომ წლებში ვენახების ფართობების მნიშვნელოვანი ზრდისთვის.

1937 წლიდან ვენახების ფართობი განცხრელად იზრდება და 1940 წლის შემოდგომისათვის იგი, სრულიად საკავშირო პლეტით, 54.748 ჰექტარს უდრის (დაბლარი).

სამამულო ომის წლებში ვენახები შესამჩნევად დაზრულდა და მათი ფართობი რამოდენიმეთ შემცირდა. 1947 წლის შეძლებულის აღწერით დაბალშტამბიანი ვენახების (დაბლარის) ფართობი აღრიცხულია 48.142 ჰექტარის რაოდენობით. 1951-ის წლის აღწერის ახალი ვენახების გაშენებით ომის წინანდელი ფართობი დატვირთვის დროის ვენახების გაშენებით თანამდებობის შეზღუდვის დაზრულდა.

ყველა ზემოთ მოყვანილი მონაცემის მიხედვით, დაბალშტამბიანი ვენახების (დაბლარის) დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა (ცხრ. 1).

ცხრილი 1

წლები	ფართობი ჰექტარობით	თითოეული წლის ფართობი პროცენტობით	
		1914 წელთან	1921 წელთან
1914	51862 ¹	100,0	—
1917	47125	90,8	—
1921	29500	56,9	100,0
1926	37472	72,3	127,0
1937	41405	79,9	140,4
1940	54743 ²	105,6	185,6
1947	48.42 ³	92,9	163,2
1953	52149 ²	100,6	176,8
1955	55503	107,0	186,5

პირველი მსოფლიო ომის წინა წელთან შედარებით 1917 წელი თითოეულის 9%-ით შემცირებას იძლევა; შემცირება შემდგომში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და 1921 წლისათვის ვენახების ფართობი ომის წინა წლის 56,9%-ს შეადგენს.

1926 წლიდან უკვე იწყება ვენახების ფართობების თანდათანობითი ზრდა და 1940 წლის ბოლოსათვის, ომის წინა წელთან შედარებით, ეს ზრდა 5,6%-ით გამოიხატა. სამამულო ომის განშავლობაში ვენახების ფართობის რამოდენიმედ შემცირება 1953 წლის დასაწყისისათვის ლიკვიდირებულია, ხოლო 1955 წლის დასაწყისში ვენახების ფართობი 7%-ით მეტია პირველი მსოფლიო ომის წინა დროის ფართობთან შედარებით.

¹ 51862 ჰექ. ვენახების საერთო ფართობიდან გამორიცხული 100,0 ჰექტარი „მაღლარი“, რადგან შემდგომი წლების კონბები „მაღლარის“ გარეშე და განისილება საერთოდ მხოლოდ „დაბლარი“.

² ცნობები ყველა წლის მიმართ წლის დასაწყისისთვისაა, 1940, 1947 და 1953 წლების მიმართ კი — წლის ბოლოსათვის.

1921 წელთან — ანუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წელთან — შედარებით, ვენახების თანამდებობა თანდათანობით მატულობს და 1955 წლისათვის იგი 86,5%-ით გაიზარდა.

ერთოველები

ვენახების ფართობის ზრდასთან ერთად საბჭოთა მექანიზმებში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა ვენახების მოელა-პატრონობა: დაინერგა მაღალი აგროტექნიკა; თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობაში და ბევრ კოლმეურნეობაში შემოღებულ იქნა ვენახის ნიადაგის მექანიზირებული დამუშავება და ნაწილობრივ მავნებლებთან და ავადმყოფობებთან ბრძოლა მექანიზაციის გამოყენებით.

ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო ორგავნიაციების მიერ ყურძნის დამზადება და სხვადასხვა სახის მაღალი ზარისხის ღვინის წარმოება.

II. საქართველოს მთვარეთის რაიონები და მათი მოძღვა დახასიათება

საქართველოს სსრ-ს 76.375 კვ. კილომეტრი ფართობი უკავია. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, საქართველო ხასიათდება ბუნებრივი პირობების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით იმის გამო, რომ იგი გარშემორტყმულია მაღალი მთების მასივებით: ჩრდილოეთით — მთავარი კავკასიონის ქედით, სამხრეთით — მცირე კავკასიონით, ძლიერ არის დასერილი მათი განტოტებით, ზღვასთან ახლო მდგრადეობს და სხვ.

საქართველო ბუნებრივი პირობების მიხედვით იყოფა ორ ერთმანეთისაგან მკეთრად განსხვავებულ ნაწილად: აღმოსავლეთ საქართველოდ, შედარებით კონტინენტალური ჰავით, რომელსაც დაქანება კასპიის ზღვისკენ აქვს, და დასავლეთ საქართველოდ, უფრო რბილი ჰავით, რომლის დაქანება შევი ზღვისკენაა და ზღვის სიახლოების გამო მის გავლენას განკუდის.

საქართველოს ამ თითოეულ ნაწილში ბლომადაა ისეთი ცალკეული რაიონი, რომელიც თავისი სპეციფიური ბუნებრივი პირობებით გამოიჩინება, რაც გავლენას აძლებს სოფლის მეურნეობის ხასიათზე და, კერძოდ, მეცნიერებაზე.

საქართველო იყოფა მთელ რიგ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რაიონებად, რომელიც მეცნიერების მნიშვნელობის მიერთებული რაიონებია და თავისებურებით ხასიათდება.

აღმოსავლეთ საქართველოში ისეთი მაქრორაიონებია — კახეთი, ქვემო ქართლი, ქართლი — სამხრეთ ისეთი, მესხეთი; და-

სავლეთ საქართველოში — იმერეთი, რაჭა-ლეჩხემი, გურია-კარა
და სამეგრელო-აფხაზეთი.

მოვიყვანთ ამ რაიონების მოქლე დახასიათებას.

კახეთი, კახეთი, რომელიც შეიცავს დღევანდველის რაიონის ტრა-
კოული დაყოფით — ამეტის, თელავის, გურჯაანის, სიღნალის,
წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, კაჭრეთის და საგარეჯოს-
რაიონებს, მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნა-
წილში.

ცივ-გომბორის ქედით კახეთი იყოფა ორ ძირითად ნაწილად —
შიგნით კახეთად, რომელსაც უჭირავს მდინარე ალაზნის ველი, და
გარე კახეთად, რომელიც მდებარეობს მდინარე იორის ზეგანზე.

შიგნით კახეთი ჩრდილოეთის, ჩრდილოეთ-დასავლეთის და-
სამხრეთ-დასავლეთის მხარით შემოჩაულულია კავკასიონის და ცივ-
გომბორის მთებით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით იგი გაშლილია.

მთები მიმართება დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისა-
კენ და სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ, თანდათან იშლება და შორ-
დება ერთმანეთს, რის გამოც ფართოვდება თვით ის ტერიტორია, —
რომელიც ამ მასივებს შორის იმყოფება. მჩრიგად, შიგნით კახეთი-
თავისი კონტიგურაციით უახლოვდება სამკუთხელს, რომლის წვე-
რი მიმართულია ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ხოლო განიერი მხა-
რე — სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. ამ სამკუთხედის სიმაღლე უდ-
რის 120 — 140 კილომეტრს, სიგანე კი ფუძესთან 30—40 კილო-
მეტრს აღწევს.

ტოპოგრაფიულად შიგნით კახეთი წარმოადგენს კავკასიონისა და-
ცივ-გომბორის მთების კალთების დაქანებას; ტერიტორია ზოგან-
უცბად, ხოლო მეტ ადგილებში თანდათან ვაკევდება და გადადის-
ე. წ. ალაზნის ველში.

შიგნით კახეთის ტერიტორიის ნაწილს დაქანება აქვს სამხრეთ-
დასავლეთისაკენ (კავკასიონის ქედიდან), ნაწილს კი — ჩრდილო-
აღმოსავლეთისაკენ (ცივ-გომბორის მთებიდან). გარდა ამ ორი
დაქანებისა, შიგნით კახეთის ტერიტორიის აქვს კიდევ საერთო-
დაქანება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ —
მდინარე ალაზნის მიმდინარეობის მიმართულებით.

მდ. ალაზანი, რომელიც ჩამოდის შიგნით კახეთის შუაგულზე,
კველაზე გრძელი მდინარეა საქართველოში; მისი სიგრძე 413 კმ-ს

უდის. ალაზნის სათავეები შრეერეალი მორბალის მახლობლად იწყება 2800 მეტრის სიმაღლეზე.

კახეთის ტერიტორია მრავალი ხევით არის დასერილი. ალაზნის მარცხენა მხრიდან შენაკადი მდინარეები, რომლებიც უკუკი სონის მთებიდან ჩამოდის: სტორი, ლოპოტა, დიჭი მუქი, ჭავჭავა, ჩელთი, ლაგოდების წყალი და სხვ., საერთოდ მცირებულიანია, მაგრამ თავსხმა წვიმების დროს ტალახის ღვარებად იქცევიან, დიდი სისწრაფით მიერტყობინ ქვემოთ, ხშირად გადმოლიან ნაპირებიდან და აზიანებენ ჩათესებს, ვენახებს და ბალებს. მარჯვენა მხრიდან შენაერთი მდინარეები კი — თურდო; პისისხევი, კერძის ხევი და სხვ., მეტწილად მშრალ ხევებს წარმოადგენენ და მდინარეებად მხოლოდ წვიმების დროს იქცევიან, მაგრამ ეს ხევებიც თავსხმა წვიმების დროს დიდი რაოდენობით წყალს ატარებენ, გადმოლიან ნაპირებიდან და ზარალს აუნებენ მოსახლეობას.

გარე კახეთის შიგნით კახეთიდან, როგორც ალვნიშნეთ, ჰყაფს ცივ-გომბორის ქედი. კახეთის ეს მხარე ჩრდილო-დასავლეთით ეკვრის ქართლის მთებს. სამხრეთ-აღმოსავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან კი გარე კახეთია გაშლილი.

გარე კახეთი წარმოადგენს მთაგორიან აღგილს, რომელსაც ახასიათებს თავისებური რელიფი დაბლობი აღგილების და დაბალი სიმაღლის ბორცვების ერთიმეორესთან შეხამებით.

გარე კახეთის მთელ სიგრძეზე მიმდინარეობს ორი, რომელიც სიგრძით ოდნავ ჩამოვარდება ალაზნს (389 კმ.). იმ მდინარესაც სათავე აქვს კავკასიონზე, ალაზნის მახლობლად. მდ. ორის შემდინარეები მხოლოდ ზემო წელში აქვს; ქვემოთ, გარე კახეთისა და შირაქის ზეგანის ფარგლებში იგი შემდინარებს თითქმის სრულიად მოკლებულია. მისი შენაერთი მდინარეები მეტწილად მშრალია, ისინი მხოლოდ წვიმების დროს ისეუბა წყლით.

კახეთი თბილისთან დაკავშირებულია რინიგზით, რომელიც თბილისიდან დაწყებული გადასჭრის მთელ გარე კახეთს და ჩალაუბნის უღლეტეხილით გადადის შიგნით კახეთში. უღლეტეხილის გადასვლისთანავე, სოფ. ბაკურციხესთან, ეს გზა უხევეს ჩრდილო დასავლეთისაკენ და მიმმართება ზევით მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირით ქ. თელავამდე. კახეთის შუაგული აღგილიდან (საღვ. გურგანი) ამ გზიდან გადის ცალკე შტო სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით საღვ. წნორის წყლამდე. თბილისიდან, დაახლოებით იმავე ხაზით, როგორც რინიგი, დის შარა გზაც.

თბილისი კახეთთან შეერთებულია ფრეთვე ე. წ. გომბორის ვზით. ეს გზა თბილისიდან წამოსული შარა გზიდან გადატვევს სოფ. სართიჭალას მიახლოებამდე 4—5 კილომეტრით აღმოსავალი-ლო-აღმოსავალეთისაკენ და ავ-გომბორის ქედზე გადასცვლით, უმოქლესი გზით (90 კ. ერთებს თბილისს ქ. ტბილიშვილის ქეთის ყველა რაონი დაკავშირებულია ურთიერთთან კარგი შარა გზებით, რაონების ფარგლებში კი მრავალი საერმე გზაა.

კახეთი, მიუხედავად შედარებით მცირე ტერიტორიისა, ბენებრივი პირობების მხრივ საქმიანდ კრელია, რაც უმთავრესად ვერ-ტიკალურ ზონალობაშია გამოაშეარებული.

კახეთის ტერიტორიაზე განლაგებული მეტეოროლოგიური სადგურების მიხედვით მისი კლიმატი თვისობრივია დ ერთნაირია, რაოდენობრივი მაჩვენებლებით კი არის ერთგვარი სხვაობა ცალკეულ ადგილებს შორის, რაც დაკავშირებულია ვერტიკალურ ზონალობასთან.

საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს $11,4^{\circ}$ -დან (*საგარეჯო*, რომელსაც ყველაზე მაღალი მდებარეობა აქვს 804 მეტ) — $14,0^{\circ}$ -მდე (*წნორის წყალი* — ყველაზე დაბალი მდებარეობით — 273 მეტრი), საგარეჯოსთან ახლოს დგას იყალთოს მაჩვენებლები (700 მეტ.), ხოლო წნორის წყალთან — ცოდნის კარის მაჩვენებლები (327 მეტ.); დანარჩენი სადგურები, რომლებიც კახეთის მევენახეობის ძირითად ზონაში მდებარეობენ, თავისი მაჩვენებლებით ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს და მათში წლიური საშუალო ტემპერატურა მეტად მცირე მერყეობას განიცდის ($12,4^{\circ}$ -დან — $12,9^{\circ}$ -მდე).

ტემპერატურის რცეიში კახეთში საერთოდ საქმიანდ წყნარია; წლის განმავლობაში ყველაზე ცივი თვეებია იანვარი და თებერვალი, მაგრამ არც ერთი მეტსადგური არ იძლევა უარყოფით საშუალო ტემპერატურას: იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა მერყეობს $+0,8^{\circ}$ -დან $+2,6^{\circ}$. განაფხულიდან (*მარტიდან*) იწყება სითბოს ძლიერი მატება, ეს ზრდა ნელდება ივნისში და სრულიად ჩერ-დება ივლისსა და აგვისტოში; ეს უკანასკნელი თვეები ყველაზე ცხელი თვეებია — საშუალო ტემპერატურით $22,1^{\circ}$ -დან (*საგარეჯო*) — $25,2^{\circ}$ -მდე (*წნორის წყალი*). სექტემბრის თვიდან იწყება ტემპერატურის თანდათანობითი დაცვა და დეკემბრის თვეში იგი ცალკეული სადგურების მიხედვით მერყეობს $+2,3^{\circ}$ -დან $+4,7^{\circ}$ -მდე.

ზანგრძლივი ყინვები კახეთში არ იცის. ყინვას მეტწილად თან სდევს დღის სითბო, ასე კავშირის ყინულს.

სითბოს საერთო გამი ვაზის ეგეოტაციის დაწყებიდან ყურძნის სიმწიფემდე საშუალოდ კახეთში შეადგენ 3300—3500⁺ დღის, როდესაც ყურძნის აღრეულა ჯიშებისათვის საქმარისა / 2720°, ხოლო გვიანა ჯიშებისათვის — 3190°. ამრიგად, სითბოს საერთო რაოდენობა კახეთში საესებით საქმარისათვის თერმოსის ყველა პერიოდის ყურძნის ჯიშებისათვის.

ჰაერის საშუალო ტემპერატურისა და სითბოს საერთო რაოდენობის გარდა, მნიშვნელობა ქვეს ტემპერატურის აბსოლუტურ მინიმუმს და მაქსიმუმს. ამ მხრივ კახეთში შემდეგი მდგრმარეობაა: ტემპერატურის საშუალო აბსოლუტური მინიმუმი, რომელიც კახეთში — 9,4°-დან — 12,7°-მდე მერყეობს, სრულად არა საშიში ვაზის კულტურისათვის, რაც შეეხება მრავალი წლის შანჩილზე შესაძლებელ აბსოლუტურ მინიმუმებს, (-15,9°-დან — 18,6°-მდე) არც ეს არის საშიში, რადგან, ჯერ ერთი, ტემპერატურის ამგვარი დაცემა მეტად იშვიათადა მოსალოდნელი, თანაც მრავალი ასებული მასალის მიხედვით დადგენილია, რომ ტემპერატურის დაცემას — 15 — 20°-მდე მოკლე დროის განმავლობაზე შეუძლია დაახილოს ვაზის რქის მხოლოდ ყალკიული კვირტები.

ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმის მხრივაც მდგრმარეობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 37,7°, მხოლოდ ნაფარეულშია, დანარჩენ ადგილებში მერყეობს 33,3°-დან — 36,8°-მდე იმ დროს, როდესაც ვაზის დაზიანება იწყება 40°-დან. ამრიგად, ეს საშუალო მონაცემები, რომლებიც შეიძლება გავრცყლდეს კახეთის მეტწილ მაკრორიალნებზე, დამაკმაყოფილებლია, მაგრამ ზოგ ადგილს — მხტრეალე ქვიან (რიყიან) ნიადაგბზე — შესაძლებელია ვაზის სიცხისაგან დაზიანება.

ვაზაფხულზე მოყინვის დაწყების პერიოდია მარტის ბოლო რიცხვები, ყველაზე გვიანი კი აპრილის მესამე დეკადა; შემოდგომის მოყინვის პერიოდი საშუალოდ ნოემბრის მეორე ნახევარს ეფარდება, ყველაზე აღრეულა — ნოემბრის პირველ დეკადა.

თუ ვავითვალისწინებთ, რომ კახეთის ძირითად რაიონებში ვაზის კერძოს გამოსვლა იწყება აპრილის მეორე ნახევარში, და ყურძნის კრეფა მთავრდება ოქტომბრის მეორე ნახევარში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვაზაფხულისა და შემოდგომის მოყინვისაგან მიყენებულ ზარალს სამეურნეო მნიშვნელობა არ ემნება.

მეორე მნიშვნელოვანი კლიმატური ფაქტორი საერთოდ მცენარის და, კერძოდ, ვაზის კულტივირებისათვის არის ნალექების რაოდენობა, რომელიც ზოგიერთ სხვა ფაქტორთან ერთად ვამსაზღვრავს ნიაღავის სინოტივესა და აქედან ვაზის ჭრისადაც გამოიყენების სიძლიერეს.

მევენახეობის ძირითადი რაონების უმრავლესობისათვის სპირა ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა დალგენილია 600 — 800 მმ.

კახეთში ეს რაოდენობა ცალკეული მაქრორაიონების მიხედვით მერყეობს 640-დან (საგარეჭო) 960-მდე (ყვარელი). მძრია გად, თითქოს კახეთში ვაზი არ უნდა შეწუბდეს წყლის ნაელებობით, მაგრამ ნალექების არათანაბარი განაწილება წლის განმავლობაში, ვაზაფხულის ნალექების ნიაღვრული ხასიათი, რაც ნალექების მეტ ნაწილს გამოუყენებლად ხდის, აგრეთვე ზოგიერთ რაონებში მეტად გაფრცელებული ალუვიური რიყისქვა ნარევი ნიაღავები ხშირად საქოროებენ მორწყეს.

წლის განმავლობაში ნალექების განაწილებაში ყველა მეტ-სადგურის მონაცემები ერთნაირ ტენდენციას იჩინენ. ნალექების მინიმუმი არის იანვარ-თებერვალში, მარტ-აპრილში ნალექების რაოდენობა ოდნავ მატულობს, მაისსა და ივნისში იგი აღწევს მაქსიმუმს. ივლისსა და აგვისტოში ისევ მცირდება, შემდეგ ოდნავ მატულობს და დეკემბერში ისევ მინიმუმიდე დადის.

ნალექებიანი ღლების რაოდენობა წელიწადში 100—110 უდრის, აქედან დაახლოებით ნახევარი თოვლიანი ღლებია. თოვლი მეტწილად ხანმოკლეა — მალე დნება.

კახეთის უმრავლესი მეტსადგურების მონაცემებით, წყლის (ტენის) წლიური ბალანსი, გამოანგარიშებული ნალექების ოდენობიდან წყლის აუქლების გამოყლებით, დადებითია, ცალკეული პერიოდების მიხედვით კი ადგილო აქვს როგორც ტენის სიჰარბეს, აგრეთვე საგრძნობ ნაკლებობასაც. სახელდობრ, ივლისი და აგვისტო ყველა მეტსადგურის მიხედვით ტენის უარყოფითი ბალანსით ხასიათდება (—25-დან — 60 მმ). უარყოფითი ბალანსია აგრეთვე ზოგიერთ აღგილას ზამთრისა და შემოღვიმის თვეებშიც. ეს გარემოება გაელენას აზდენს ვაზის კულტურაზე და ურწყავ ვენახებში თვალსაჩინოდ სცემს მოსაელიანობას.

მეტად უარყოფით მეტეოროლოგიურ მოვლენას კახეთში წარმოადგენს სეტყვა, რაც ხშირად მოდის კახეთის თითქმის ყველა

ჭაონიში, მხოლოდ მეტ-ნაკლები რაოდენობით და სიძლიერით.
სეტყვას მეტწილად თანსდევს ქარიშხალი, რაც უფრო ძლიერებს
მის უარყოფით მოქმედებას.

სეტყვა ყველაზე ხშირად მოდის მაისსა და ივნისში, ამ თვეებ-
ზე მოდის სეტყვიანი დღეების საერთო რაოდენობის ზარიერი გადა-
მეტა; შემდეგ ხშირია სეტყვა აპრილში, ივლისში, აგვისტოსა და
სექტემბერში; მარტსა და ოქტომბერში სეტყვა იშეიათია; იანვარი,
თებერვალი, ნოემბერი და დეკემბერი სელ თავისუფალია ამ მოვ-
ლენისაგან. მრიგად, სეტყვა უფრო ხშირად მოდის მაშინ, როდე-
საც ჯერ ნორჩია ვაშის ვეგეტაციური ნაწილები ან სიმწიფეშია
შესული ყურძენი, რაც აძლიერებს მიუენებულ ზარალს.

ქარი კახეთში შედარებით იშეიათია და ამასთანავე მეტწილად
სუსტი ქარები იცის.

ზემოთ მოყვანილი კლიმატური მაჩვენებლები იძლევიან ზო-
გად წარმოდგენას კახეთის კლიმატზე. ეს მაჩვენებლები უნადპყო-
ფენ ერთგვარ სხვაობას კახეთის ცალკეულ მაკრორაიონებს შო-
რის.

მიუხედავად ამ სხვაობისა, კახეთის ყველა რაიონი, მთიანი
ადგილების გამოყენით, ვაშის კულტურისათვის საესებით მისა-
ღებია და კლიმატის სხვაობა, ნიადაგის პირობებთან ერთად, მხო-
ლოდ მოსაელის რაოდენობასა და პროდუქციის ხარისხზე ახდენს
გავლენას.

კახეთის ნიადაგები დიდი სიჭრელით ხასიათდება. ალაზნის
მარჯვენა ნაპირზე, ცივ-გომბორის მთის უერდობებზე, საკმაოდ
დიდი ფართობი უკირავს ნეშომპალა-კარბონატულ თიხიან ნიადა-
გებს. ძირითადად ეს ნიადაგები საკმაოდ ჩინჩიხიანია, კალციუმის
კარბონატები ამ ნიადაგის დაბალ ჰიდრიზონტებში 60—70% აღ-
წევს. ზოლი, რომელიც შეიცავს ამ ნიადაგებს, მდებარეობს 450—
750 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან; ეს ზოლი წარმოადგენს
ვენახების მასობრივი გავრცელების აღგილს და სახელგათქმულია
მაღალხარისხის ხოვანი ლეინოებით.

უერდობის უფრო დაბალ ადგილებში ნეშომპალა-კარბონა-
ტული თიხიანი ნიადაგები ტყის რეზი ნიადაგებით იცვლება. ეს
ნიადაგები მოთავსებულია ლისისებრ და კარბონატულ თიხიზე და
თავისი მექანიკური შედგენილობით წარმოადგენენ მძიმე თიხნარ-
ხა და თიხნარ ნიადაგებს. კალციუმის კარბონატები 40—50 სმ
ზიღრმეზეა და ალგ-ალავ მოიპოვება მათი დიდი რაოდენობა. ეს
ზოლიც აგრეთვე ვენახებითა დაკავებული. ამ ზოლის ლვინოები

ხასიათდება დიდი ტანინიანობით, მაგრამ საქმაოდ პარმონიულია. მცირე დაქანების ფერდობები იცვლება ვაკით, რომელიც აღწევს მდინარე ალაზნის პირამდე. ეს აღილები შეიცავს ალაზნი-კარბონატულ ნიადაგებს. ვაკეები ნაწილობრივ დაკავშირდება ფირფიტაზე ნახებით, ძირითადად კი მარცვლეული აულტრაბრენდის ფირფიტაზე ყენებული. ალუვიურ-კარბონატული ნიადაგები თავის შექმნიული შედგენილობით წარმოადგენ მსებუქ ნიადაგებს; იშვიათდ (ალგ-ალგ) საქმაოდ ჩონჩხიანია ანდა ქვიანი. კალციუმის კარბონატების შედგენილობა აქ 30%-მდე აღწევს. ვენახებიდან, რომლებიც ჩონჩხიან ნიადაგებზეა, სადაც კალციუმის კარბონატები 25—30%-მდეა, პარმონიული და ნაზი ღვინოები დგება. უჩინჩხო და კარბონატებით უფრო ღარიბი ნიადაგები კი ორდინალურ ღვინოებს იძლევან.

ალაზნის მარცხენა ნაპირი ძირითადად ხასიათდება ალუვიული ნიადაგებით და კალციუმის კარბონატების მცირე რაოდენობას შეიცავს. სამაგიეროდ ისინი მდიდარია კალიუმისა და ფოსფორის შედგენილობით. ასეთი ჩონჩხიანი ნიადაგები მაღალხარისხოვან, პარმონიულ და საქმაოდ ნაზი ღვინოებს იძლევიან; უჩინჩხო ნიადაგებზე კი კარგი, მასობრივი, შედარებით ნაკლებ ექსტრაქტული ღვინოები დგება.

კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი შეიცავს შავნიადაგებს, წაბლა-შავნიადაგებს და მუქ წაბლანიადაგებს, ეს ნიადაგები საქმაოდ მდიდარია ჰუმუსით. ამ ნიადაგებზე გაშენებული ვენახები დიდი ზოდით და უხვით მოსავლით ხასიათდებიან. აქ მიღება ხარისხოვანი, მაგრამ რამოდენიმედ უხეში პროდუქტი.

ამ ზონაშივე მდინარე ალაზნის კალაპოტთან ახლოს, გვხდება ოდნავ დამარილიანებული ნიადაგები (შოროქანი), რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ვენახებისათვის მხოლოდ სათანადო მელიორაციის ჩატარების შემდეგ. *

გარე კახეთში ვენახები ძირითადად გაშენებულია მდინარე ექრის აუზის შეუა ნაწილზე, მდინარის მარცხენა მხარეზე.

ეს ზონა ხასიათდება ალუვიური ნიადაგებით, სადაც ჰუმუსის რაოდენობა 1,8%-დან 3,7%-მდე, ხოლო კალციუმის კარბონატებისა — 0,8%-დან 34,2%-მდე. მექანიური სტრუქტურის მიხედვით ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ მძიმე თიხნარ და თიხნარ, ფერლისებრი კარგი სტრუქტურის ნიადაგებს. ველის გაფართოებული ნაწილი ძირითადად ხასიათდება სტეპის ზონის მუქ წაბლანიადაგებით, რომლებშიც ჰუმუსის რაოდენობა მერყეობს 2,57-დან

4,7%-მდე. კალციუმის კარბონატებისა კი 0,0-დან 7,8%-მდე ზეტყვა-დობები და ბორცვები წარმოდგენილია თხელფენიანი სიპექვინი ჩა-დაგებით, ხაյტათ ჩინჩისიანობით (20—40%). სოფელ საგარეოს ზო-ნაში გვხვდება ალუვიურ-კარბონატული ნიაღაგები თიხის შეცვლის დრო-ებით. ალაგ-ალაგ ეს ნიაღაგები საქმიანი ჩინჩისიანი და შეცვლის კური სტრუქტურის მიხედვით მსუბუქთიხიან ანდა ქვიშიან ნიაღა-გებს მაკრეოდ ვნებიან.

ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთის კალცებზე გვხვ-დება გადამპალა-კარბონატული თიხიარი ნიაღაგები, რომლებიც ახლოს დგანან შიგნით კახეთის ამავე ტიპის ნიაღაგებთან. მდინარის ნაპირების მახლობლად და ზოგიერთ სხვა დადაბლებულ აღგილის გვხვდება ნოტიო და დაქაობებული ნიაღაგები.

სოფლის მეურნეობის მხრივ კახეთი განსაკუთრებულ ინტე-რეს წარმოადგენს, რაღაც, მიუხედავად იმისა რომ ეს მხარე მი-რითადად მევრნახეობით არის ცნობილი, ექვედან თვალსაჩინოდაა განვი-თარებული სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი; მეხ-ლეობა, მემინდვრეობა პურეული და ტექნიკური კულტურებით, მეცხოველობა მემარტებულების მაჩვენებლები და სხვ.

სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების მაჩვენებლები შემ-დეგია:

მევრნახეობა კახეთის ყველა რაიონიხათვის ძირითადი დარგია და კოლმეურნეობათა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. გამონაკლის შეადგენს წითელწყაროს, ლაგოდეხისა და ნაწილობ-რივ კაჭრეთის რაიონები, რომლებშიც მემინდვრეობას (ცურეული და ტექნიკური კულტურები) და მესაქონლეობას ამეამად წამყვანი როლი ეკუთვნის.

მეხილეობა მეტ-ნაკლებადაა გაერცელებული მთელ კახეთში. ხეხილი გვხვდება განსაკუთრებით ერთეული ნარგავების სახით, ხა-კარმიდამ ნაკეთებზე, ვენახის ნაპირებსა და ზოგან შიგ ვენა-ხებშიც; სამრეწველო ბალების ფართობი ამჟამად შედარებით მცი-რეა. ხეხილის ცალკე კულტურებიდან გაერცელებულია უმთავრე-სად კურკოვანი ხილი — ატამი, ქლიავი (ცანკური), ბევრია ლელ-ვის ნარგავი, შედარებით ნაკლებია თესლოვანი ხილი — ვამლი და მსხალი, თუმცა მათი რაოდენობა ბოლო დროს საგრძნობლად მატულობს. ხილის ხარისხი ერთობ მაღალია თავისი გემოვნებით და არომატით, მხოლოდ კურკოვანი ხილის ჯიშნარი ნაკლებტრანს-პორტაბელურია.

შემინდერეობა ხასიათუება მრავალი კულტურული მნიშვნელობით; ნათე-
სებში, გარდა პურეულისა (ხორბალი, სიმინდი), გვევლისა მარა-
ხეული, ბახჩეული და ტექნიკური კულტურები (თამბაქო, მცესტე-
ზირა).

ცირკულაცია

მეცხოველეობას კახეთში, განსაკუთრებით სამხრეტებით და
ტყით მდიდარ რაონებში, მნიშვნელოვანი აღვილი უჭირავს. საკ-
მაო დიდი რაოდენობით არის როგორც მუშა საქონელი, აგრეთვე
შროდუებრიულიც.

მესაქონლეობა, — მსხვილფეხა ჩქიან საქონლის მოშენება და
მათ შორის მეძრობეობა, განვითარებულია სილნალის, წითელწყა-
როს, ლაგოდეხისა და ახმეტის რაონებში; ამ რაონებში თავმოყ-
რილია მთელი მსხვილფეხა რქიანი საქონლის 50—60%.

მეცხვარეობით გამოიჩინებიან ახმეტის, სილნალისა და წითელ-
წყაროს რაონები, საღაც თავმოყრილია ცხერის სულადობის
90 — 95%.

მეღორეობას თითქმის ყველა რაონები თანაბარი მნიშვნელობა
იქნა; მეცხოველეობის ეს დარგი შედარებით მეტად არის განვითა-
რებული კვარილის, ლაგოდეხისა და ახმეტის რაონებში.

მეაბრეშუმეობა ფართოდ არის გავრცელებული საერთოდ კა-
ხეში და განსაკუთრებით ახმეტის, თელავის, ლაგოდეხისა და
სხვ. რაონებში.

მეფუტერეობა სუსტად არის განვითარებული, მაგრამ აქაც
გამოიჩინება ზოგიერთი რაონი, საღაც უკეთესი პირობებია
ფუტკრის გამრავლებისათვის და პროდუქტიულობაც მაღალია. ასე-
თებია: წითელწყაროს, ლაგოდეხის, სილნალის, ყვარილისა და სა-
გარეფოს რაონები.

ამრიგად, კახეთში, გარდა ძირითადი დარგებისა (მეცხანეობა-
მეღონეობა), საკმაოდ არის განვითარებული სოფლის მეურნეობის,
თითქმის ყველა დარგი.

მეცხანეობა კახეთში ძირითადად მეღონეობის მიმართულე-
ბისაა; ეს მხარე იძლევა საცეკვეთესო სუფრის ლეინოს, როგორც აღ-
ვილობრივი, ისე ეკროპული წესით დაყენებულს, შემაგრებულ
ტებილ ღვინოებს, საქონიავე ლეინომასალის და ყურძნის წვენს.
ამასთანავე აღსანიშნებია, რომ სხვადასხვა მიერორაიონში ამა თუ
რა ტიპის ლეინო თვლასაჩინოდ გამსხვავებული ხარისხისა დგება.
მაგალითად, აღვილობრივი (ცაჭაბე დაყენებული) და ეკროპული
ტების (უქაჭოთ დაყენებული) სუფრის ლეინო ყველაზე მაღალი
ხარისხისა მიღება კახეთის სამხრეთ მხარის (მდ. ალაზნის მარჯვე-

ნა ნაპირი), ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, შემაგრებული ტებილი ტიპის ღვინო — ამავე მხარის აღმოსავლეთ ნაწილში, საკონიაკე ღვინო-მასალა საუკეთესოა კახეთის ჩრდილო მარები (მდ. ალაზანის მარცხენა მხარე), მეტშილად ამავე ზომის შემთხვევაში ბუნებრივად ტებილი ღვინო და სხვ. თითოეულ ჩამონავლის შექმნა რომელიმე კი, ადგილის ზონალობასა და ნიადაგის თვითი განვითარებით დაკვირვებით, ამა თუ იმ ტიპის ღვინო საგრძნობლად განსხვავდება თავისი ხარისხით.

ქვემო ქართლი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირის მდ. მტკერის ორივე მხარეზე. ქვემო ქართლში ღლევანდელი აღმინისტრაციული დაყოფით შედის გარეუბნის, მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, თეთრიწყაროს და ღმანისის რაიონები.

ეს რაიონი სამი მხრით შემოფარგლულია მაღალი მთებით: ჩრდილო-დასავლეთიდან — თრიალეთის, დასავლეთიდან — ჯავახეთისა და სამხრეთიდან — სომხეთის ქედებით; რაიონის აღმოსავლები მხარე გაშლილია და წარმოადგენს ქვემო ქართლის ვაკეს, რომელსაც აღმოსავლეთით ეცვრის სომხეთის ქედის განტრებანი. ქვემო ქართლის ტერიტორია, მდებარე მდ. მტკერის მარნეულა მხარეზე, მის შენაკად მდ. ხრამით და ამ უკანასკნელის შენაკად მდ. დებედათი და მაშავრით არის დასერილი. მტკერის მარნეულა მხარე კი უშენავადო. ქვემო ქართლის დაბლობი თბილისთან დაკავშირებულია ორი ჩეინიგზით — ბაქოსა და ერევნის გზებით; ამავე მიმართულებით გაყვანილია შარაგზებიც. რაიონის მთავორიანი ნაწილი კი, ე. ი. მდ. ხრამის შეა და შემო დინების ზონა, თბილისს შარაგზით უერთდება, ხოლო რაიონის დანარჩენ ნაწილებთან დაკავშირებულია საურმე გზებით.

ბუნებრივი პირობებით ქვემო ქართლი იყოფა ორ ზონად — დაბლობ და მთავორიან ზონებად. რაიონის დაბლობი ზონის კლიმატის დასახასიათებლად ეისარგებლებთ გარდაბნის (305 მეტრი ზღვის დონიდან) მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, ხოლო მთავორიანი ზონის დასახასიათებლად — ბოლნისის (526 მეტრი ზღვის დონიდან) მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით.

ჰაერის დღე-დამის წლიური საშუალო ტემპერატურა დაბლობ ზონაში 13.0° -ია, მთავორიან ზონაში კი — 12.1° .

გარდაბნის სადგურის, ე. ი. რაიონის დაბლობი ზონის ტემპერატურის მაჩვენებლები ყველა თვეში, ბოლნისის მაჩვენებლებთან შედარებით, უფრო მაღალია.

ტემპერატურის ჩეკიმი საერთოდ საქმიალ წყნარია; წლის განვლობაში ყველაზე ციფრი თვეებია იანვარი, შემდეგ — იანვარი და დეკემბერი, მაგრამ არც ერთი თვე არ იძლევა უარყოფით საშუალო ტემპერატურას. იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენს $0,3 - 0,2^{\circ}$; მარტიდან იწყება სითბოს მღრღვევის მატერიალი, ივლის-აგვისტოში საშუალო ტემპერატურა აღწევს მაქსიმუმს, სექტემბრიდან იწყება ტემპერატურის თანდათანობითი დაცემა და დეკემბრის თვეში საშუალოდ $2,8 - 3,0^{\circ}$ აღწევს.

ქვემო ქართლში საგრძნობი ყინვები არ იცის. ყინვას მეტწილად თან სდევს დღის სითბო, რომელიც ალხობს ყინულს.

სითბოს საერთო ჯამი ვაზის ვეგეტაციის დაწყებიდან ყურძნის სიმწიფემდე $3500 - 4000^{\circ}$ შეადგენს, რაც სავსებით უზრუნველყოფს ყველა პერიოდის ყურძნის ჭიშების დამწიფებას.

პარის ტემპერატურის შესაძლებელი აბსოლუტური მინიმუმი იანვარში — $22 - 23$, თებერვალში — 16° უდრის, მაგრამ ეს მეტად იშვიათი მოვლენაა და ტემპერატურის ასეთი დაცემა მალიან ხანმოკლეა. ჩეულებრივ კი ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი — $9^{\circ} - 11^{\circ}$ არ აღმატება, რაც სრულიად არაა საშიში ვაზის კულტურისათვეის.

ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმის მხრივაც მდგომარეობა დამაქმაყოფილებელია, ივი 30 — 37° -ის ფარგლებშია.

ნალექები ქვემო ქართლში მცირე რაოდენობით მოდის, ამიტომ აქ ამ მხრივ არ არის ხელსაყრელი პირობები.

ნალექების მრავალწლიური საშუალო რაოდენობა წლის განვლობაში შეადგენს 385 მმ (გარდაბანი) და 485 მმ (ბოლნისი).

გარდა იმისა, რომ ნალექების საერთო რაოდენობა მცირეა რაონის როგორც დაბლობ, ისე მთავრობიან ზონაში, მათი განაწილება თვეების მიხედვით არათანაბარია. ყველაზე მცირე ნალექები მოდის ზამთრის თვეებში (XII, I და II) და ზაფხულისა და შემოდგომის დასაწყისში (VII, VIII, IX), ამ პერიოდზე შედარებით მეტი, მაგრამ მაინც მცირე რაოდენობით მოდის შემოდგომაზე და უფრო მეტი გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაზის კულტურას წლის განმავლობაში საშუალოდ $600 - 800$ მმ ნალექი სკორდება და უმეტესად ზაფხულში, ცხადი ხდება, რომ ქვემო ქართლში მევენახეობა მოურწყავად თითქმის შეუძლებელია.

წყლის (ტენის) წლიური ბალანსი გარდაბანში ყველა თვეში უარყოფითია (მაქსიმუმი დანაკლისისა არის აგვისტოში — 85 და

ავლისში — 80 მილიმეტრი), ბოლნისში კი მხოლოდ მაისი, სექტემბერი და ოქტომბერი იძლევა მცირედ დადგებით ბალაზის (5-დან 15 მმ-მდე), დანარჩენ თვეებში ტენის ბალაზის უარყოფნითა (მაქსიმუმი დანაკლისისა აქაც მოდის ავტისტოზე — 90, მწვავეულისზე — 45 მმ).

სეტყვა ქვემო ქართლში შედარებით იშვიათად მოდის, მაგრამ მაინც თვალსაჩინო ზიანს აყენებს სოფლის მურნეობას და, კერძოდ, მევენახეობას. სეტყვა მოდის მეტწილად მაისისა და ივნისში; ზონალობის მიხედვით სეტყვის მეტი შემთხვევებია მთაგორიან ზონაში და შედარებით ნაკლები — დაბლობში.

ქვემო ქართლში ქარის სიძლიერე დიდად არის დამოკიდებული ადგილის რელიეფზე; ძლიერი ქარი იცის განსაკუთრებით თბილისის მიდამოებში — გარეუბნის რაიონში (დიღოში, სოლან-ლული და სხვ.), შემდეგ — მთაგორიან ზონაში. დაბლობ ზონაში კი საერთოდ ქარები, განსაკუთრებით კი ძლიერი ქარები, იშვიათია.

ქვემო ქართლის ვაკე-ველიან ნაწილში (გარდაბნის, მარნეულის, თბილისის გარეუბნის რაიონები) უმთავრესად გავრცელებულია ლიონისიებრ ნატუნებზე წარმოქმნილი წაბლა ნიადაგები, რომლებიც ხასიათდება საქმიოდ დიდი სისქით, მცირე ჰუმუსიანობით და მაღალი კარბონატულობით მთელს პროფილზე. ამ ნიადაგებს შორის მნიშვნელოვანი ფართობები უკავიათ დამლაშებულ და გაბირთვებულ ნიადაგებს.

ფერდობების შლეიფებზე წაბლა ნიადაგების ნაცვლად განვითარებულია უფრო ნაყოფიერი მუქი წაბლა ნიადაგები.

რაიონის შემაღლებულ ნაწილში, კერძოდ, სამგორის ველზე, წაბლა ნიადაგებს სჭარბობს ქარგი აგროსაწარმოო თვისებების მქონე შავმიწა და შავმიწისებრი ნიადაგები. ამავე ველზე დიდი ფართობი უკავია ნეშომპალა-სულფატურ (გაჭიან) ნიადაგებს, რომლებიც, ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, მორწყვის პირობებში საქსებით გამოსადევია ვაზისათვის.

თბილისის, მარნეულის, თეთრი წყაროს და ბოლნისის რაიონების მთის წინა ნაწილში გავრცელებულია ტყის ყავისფერი ნიადაგები, რომლებიც ხასიათდება საკენი ნივთიერებების საქმით რაოდენობით შემცველობით, კარბონატულობით და სრულიად გამოსადევია მევენახეობისათვის. ამავე ნაწილში ალგ-ალაგ გვხედვა მევენახეობის თვალსაზრისით ფრიად დამაქმაყოფილებელი ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები.

მთა-ტყიან ზონაში, 1200 მეტრის ზევით, გაერცელებულია ტყის ყომრალი ნიადაგები, რომლებსაც თუმცა დადგებითი ავტო-საწარმოო თვისებები აქვთ, მაგრამ მაღალი მდებარეობის გართ მე-ვენახეობისათვის არაა გამოსადევი.

ერთოველი

სოფლის მეურმეობის მხრივ ქვემო ქართლის მეურმეობის საინტერესო რაიონია, რადგან აქ განსაკუთრებით კარგი პირობებია როგორც მინდვის კულტურების, ისე მებოსტნეობის, მეხილეობის, მევენახეობისა და აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებისათვის.

მევენახეობა ქვემო ქართლში ამეამად ვერ არის საქმაოდ განვითარებული, გარდა ზოგიერთი შეკრონაიონისა (ზოლნისი, თეთრი-წყარო, ნაწილობრივ გარეუბანი), მაგრამ საჭიროება და ამავე დროს პერსპექტივა ამ დარგის ფართოდ განვითარებისა დიდია. მევენახეობა ამ რაიონში ბოლო ხანებში ძირითადად სუფრის ყურძნის წარმოების მიმართულებას იღებს, მან უნდა დაამაყოფილოს ქალაქ თბილისისა და ქალაქ ჩუქთავის მოსახლეობის მო-თხოვნილება სუფრის ყურძნებზე. ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ როგორც აღრეულა, ისე გვიანა ჯიშების საუკეთესო ყურძნის მიღებას. გარდა სუფრის ყურძნისა, ბოლნისის, თეთრი-წყაროსა და მარნეულის მიეროჩაიონებში საუკეთესო მასალა მიიღება ყურძნის წვენის დასამზადებლად და კონიაკის სპირტის გა-მოსახლელად.

თვალსაჩინო აღვილი უკირავს რაიონში მებოსტნეობას და მე-ხილეობას, აგრეთვე მეტად მნიშვნელოვან დარგებს მსხვილი ქა-ლაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის საჭიროების-დასაკუთრილებლად. დანარჩენი დარგებიდან აღსანიშნავია მე-მინდვრეობა, ძირითადად — ხორბლის, ნიმინდისა და თამბაქო-წარმოებით და მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და მეცხვარეობა).

ქართლი — სამხრეთ ოსეთი. ქართლი — სამხრეთ ოსეთი მცირდლიდ არის შემორტყმული მთებით: ჩრდილოეთიდან კავკა-სიონის მთავარი ქედით, დასავლეთიდან ლიხისის მთით, სამხრეთი-დან თრიალეთის ქედით და აღმოსავლეთიდან კავკასიონის მთის კალთებით. ამ რაიონის მთელი ტერიტორია დასერილია გარშე-მორტყმული ქედების მრავალი შტოთი. ამ რაიონში შედის მცხე-თის, დუშეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის აღმი-ნისტრაციული რაიონები და აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონო-

მიური თლქის სტალინირის, ჯავის, ლენინგრადისა და ზნაურის რაიონები.

ქართლის მთების -მეტი ნაწილი დაფარულია ტყებით. ცალკეულ მთებს შორის მოთავსებულია ვიწრო ანდა ფართო კულები; ამათში უფრო დიდი სივრცე უქიმოვს ქართლის ეკლესიართობის ველს უერთდება მცირე სიერცის მთელი ჩიგი კელები, რომლებიც მდინარე მტკერის შენაკადი მდინარეების აუზებს წარმოადგენენ; ამათში ყველაზე დიდია გორის, წითელქალაქისა და მუხრანის ველები. ქართლის ველი წარმოადგენს მდინარე მტკერის აუზს. მდინარე, მტკერის მარცხენა მხრის შენაკადებიდან უფრო მნიშვნელოვანია ფრონი, დიდი და პატარა ლიახვი, რეხეულა, ქსანი და არაგვი. მტკერის ყველა ეს შენაკადი სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედიდან. მტკერის მარჯვენა მხრის შენაკადები უფრო ნაკლებ-მნიშვნელოვანია, ვიდრე მარცხენა ნაპირისა. აქედან აღსანიშნავია თეძამი, ხეელურა და კავთურა. ამ მდინარეების ხეობები შესართავთანაც კი ვიწროა.

ქართლის მთელ სიგრძეზე მიემართება ბაქო-ბათუმის რკინიგზა და კარგად ასფალტირებული შარაგზა. ამ მავისტრალურ გზებთან მეტწილად შარაგზებითვე დაკავშირებულია ცენტრიდან და შორებული აღგილები. ქართლის გული — გორი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრი — სტალინირი ერთმანეთთან დაკავშირებულია აგრეთვე რკინიგზითა და შარაგზით.

რაიონის ბუნებრივი პირობები კახეთსა და ქვემო ქართლთან შედარებით მეტია. წლიური საშუალო ტემპერატურა 9,3°-დან 11,1°-მდე მერყეობს (სტალინირი 9,3°, გორი 11° და მუხრანი 11,1°). იანვრის საშუალო ტემპერატურა 0-ზე დაბლა იწევს: სტალინირში იგი უდრის $-2,6^{\circ}$, გორში $-1,1^{\circ}$ და მუხრანში $-1,0^{\circ}$; ზაფხულის თვეების საშუალო ტემპერატურა კი $20,7^{\circ}$ -დან (სტალინირი) $22,7^{\circ}$ -მდე (მუხრანი) აღწევს. ყურადღების ღირსია ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი, რომელიც საერთოდ -15 — -16° უდრის, რაც გაზისა და სხვა კულტურებისათვის არ წარმოადგენს რაიმე საშიშროებას, ხოლო ცალკეულ წლებში (მედარებით იშვიათად) და ზოგიერთ მიკრორაიონში, განსაკუთრებით ლაბლობ აღგილებში, ეს მინიმუმი -20 — -30° -მდე ეცემა, რის გამო საჭირო ხდება გაზის საშამთრო დაცვა მის საეკეტაციო ნაწილების მიწაში დამარხვით. სითბოს საერთო გამი საკმარისია აღრეულა და საშუალო პერიოდის ყურძნის გიშებისათვის; გვიანა

კიშები კი რაიონის უცელა მხარეში ვერ ასწრებენ კარგად დამწიუებას.

ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 500 / 550 მმ ფარგლებშია, რაც არაა საქმარისი საერთოდ დარღვეულია: მრავალწლიანი კულტურებისათვის (ცენაზი, ხეხილის მსალებელების სიმცირის გარდა, სასოფლო-სამეურნეო კულტურებშე უარყოფით გაელენას ახდენს აგრეთვე მათი არათანაბაზი განაწილება წლის დროს მიხედვით; მეტად მცირეა ნალექები შემოდგომაზამთრის თვეებში, როდესაც ნიადაგში უნდა გროვდებოდეს ტენი, განაფხულის თვეებსა და ზაფხულის დასაწყისში მოდის მაქსიმუმი ნალექებისა, მეტად მცირეა ნალექები აგრეთვე ივლისსა და ავენისტოში, როდესაც უცელაზე მეტი რაოდენობა სჭირია მცენარეს და ამავე დროს აორთქლებაც მაქსიმალურია. ნალექების საერთო სიმცირეს და დიდ აორთქლებას, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, თან ერთვის აღგილობრივი ქარების ხშირი და ძლიერი მოქმედება, რომლებიც შესამჩნევად აშროენ ნიადაგს. ასეთი პირობების გამო ქართლში სასოფლო-სამეურნეო კულტურები და მათ შორის ვაზიც ნორმალური ზრდა-ვანეითარებისთვის საჭიროებენ მორწყვას. ქართლში, ისევე როგორც კახეთში, ჩვეულებრივი მოვლენაა სეტყვა, მაგრამ აქ, კახეთთან შედარებით, უფრო იშვიათია იგი და ნაკლებ ზიანს აუნებს მეურნეობას. სამხრეთისეთში, გორის, მეტრანისა და სხვა ვაკეებშე ძირითადად გაერცელებულია მდელოს ალუვიური კარბონატული ნიადაგები, რომლებიც ხსიათდება საქმაო სისქით, ჰემუსის შედარებით მცირე შემცელობით და ჩვეულებრივად თიხიანი მექანიკური შედგენილობით.

აღნიშნული ვაკეების შემაღლებულ ნაწილში განეითარებულია შავმიწისებრი ნიადაგები, ხოლო ფერდობებზე — ტყის ყავისფერი ნიადაგები, რომლებსაც 1000 — 1200 მეტრის ზემოთ ცვლიან ტყის ყომჩალი ნიადაგები. ამ ნიადაგებთან ერთად კომპლექსურად გაერცელებულია ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც ძირითადად წარმოქმნილია კიჩქებშე და უფრო იშვიათად — მერგელებშე.

უცელა დასახელებულ ნიადაგს, განსაკუთრებით კი ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს, აქვთ დაღებითი მაჩვენებლები ვაზის კულტურისათვის.

მტკერის, არაგვის, ლიახვის, ქსნისა და სხვა დიდი მდინარეების გასწვრივ შედარებით ვიწრო ზოლის სახით გავრცელებუ-

ლუს სხვადასხვა მექანიკური შეღვენილობის და ხირხატიანობის შექმნები თლუვიური ნიადაგები, რომელსაც წარმატებით იყენებენ მეცნიერობისათვის.

ქართლი — სამხრეთ ოსეთი სოფლის მეურნეობის მხრივ სამოდ მდიდარი და დიდი პერსპექტივების მქონეა და მარტინ ალმოსავლეთ ნაწილსა და შეაგულში ძირითადი, წამყვანი დაგებზია მეხილეობა და მეცნიერობა, თვალსაჩინო აღვილი უკირავს შემინდვრეობას (პურჯული კულტურები — ხორბალი, სიმინდი და შაქრის ჭარხალი) და მებოსტნეობას (კომბინატორ, კიტრი, პარილორი, ჭარხალი და სხვ.). რაიონის დასავლეთ ნაწილში პირეულ აღვილზეა მემინდვრეობა (პურჯული კულტურები და ჭარხალი), შემდეგ — მეხილეობა და მეცნიერობა; საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეცნიერეობას (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი).

მთისპირა ზონასა და მთა რაიონებში მეცნიერობა მცირედ არის განვითარებული, სამაგიროდ მეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერეობას — მეცნეარეობისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონელის სახით.

მეცნიერეობა ქართლში ძირითად მეცნიერეობის მიმართულებისაა; ამ რაიონის ცალკეულ მიკრორაიონში მიიღება მაღალი ხარისხის სუფრის ღვინო ევროპული ტიპისა, საშამპანურე ღვინო-მასალა და აგრეთვე ბუნებრივად ტქბილი-ცქინიალუ ღვინო. მაღალ-ხარისხობრივი ღვინის მომცემი ვენახები აქ განლაგებულია ძირითადად მდინარე არავის, ქსნის, ლიახვის, მეტუდის, თეძამის, ატენის, კავთისხევის და სხვ. ხეობებში, როგორც მთის ფერდობებზე, ისე ნაწილობრივ დავაკებულ აღვილებზედაც.

მესხეთი. მესხეთს უკავია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი; ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ იგი ქართლს ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთით — ჭავახეთს, დასავლეთით — გურია-აჭარას, ჩრდილოეთით კი იმერეთს ემიგნება; სამხრეთის მხრივ მას საზღვრავს ოსმალეთი.

მესხეთში შედის ახალციხის, ასპინძისა და აღიგენის აღმინისტრაციული რაიონები.

მესხეთი მთაგორიანია და ყოველ მხრივ შემორქალულია მაღალი მთებით; ტერიტორიის შეაგულზე ჩამოედინება მდ. მტკერი, რომელსაც ახალციხესთან ახლო დასავლეთი მხრიდან ერთვის მდ. ქვაბლიანი თავისი შენაკალით — ფოცხოვით. ვაკეები მეტად მცირეა და გვხვდება უმთავრესად მდ. მტკერის ვაკე დინების აღვილებში.

მესხეთი თბილისთან და საქართველოს სხვა ნაწილებთან და-
კაცშირებულია ვალე-თბილისის რეინიგზით და აგრეთვე კარგი
გზატექეცილით. რაიონული ცენტრები (ახალციხე, აღიგება და ა-
პინძა) და სოფლები ურთიერთთან დაკაცშირებულის გზატექცილე-
ბით და საურმე გჭებით.

ბუნებრივი პირობები მესხეთისა შედარებით მკაცრი, მაგრამ
მთელ რიგ სასოფლო-სამუშარენო კულტურებისათვის მეტად ხელ-
საყრელია. წლიური საშუალო ტემპერატურა, ახალციხის მეტეო-
როლოგიური სადგურის მონაცემებით, $8 - 9^{\circ}$ უდრის. პერიოდი,
როდესაც ტემპერატურა 10° აღემატება, იწყება საშუალოდ 25 ა-
რილიდან და გრძელდება 12 ოქტომბრამდე. აქტიური ტემპერატუ-
რის გამო 2800° შეადგენს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ რაი-
ონში შესაძლებელია ვაშის მხოლოდ აღრევლა და სიმწიფის შეა-
პერიოდის ყურძნის ჯიშების მოყვანა. ზამთარი მკაცრი, ყინვია-
ნია, ნალექები (თოვლი) ცოტა იცის. იანვრის საშუალო ტემპერა-
ტურა — 5° -ია, ყველაზე ცხელი თვის — აგვისტოს ტემპერატუ-
რა კი $20,5^{\circ}$ უდრის. ასოლუტური მინიმუმი შესაძლებელია —
 27° -მდე, ხოლო მაქსიმუმი 36° -მდე. მტრიგად, ტემპერატურის
მხრივ მისი მინიმუმი საშიშია ვაშის კულტურისთვის, რის გამო აქ
ვაშის დამარხვა ზამთრისათვის აუცილებელი ხდება.

ნალექების საერთო რაოდენობა მცირეა — 460 — 520 მმ
უდრის, მაგრამ, რაღვან ნალექების უმეტესი რაოდენობა ვაზაფ-
ხულისა და ზაფხულის თვეებზე მოდის, ვაშის მოყვანა ურწყავა-
დაც შესაძლებელია, მორწყვის პირობებში კი ვაშის ზრდა-განვი-
თარება მაინც უკეთესია და მოსაელიანობაც უფრო მაღალი.

ქარი და აგრეთვე სერტკაც მესხეთში შედარებით იშვიათად
იცის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ენახები მათგან მაინც ზარალ-
დება.

მდ. მტკვრის, ფოცხოვისა და ქვაბლიანის თანამედროვე ტე-
რიასებზე, წყვეტილი ვიწრო ზოლის სახით, განვითარებულია ალუ-
ვიური კარბონატული ხირხატიანი ნიაღაგები. უფრო მაღალ ტე-
რიასებზე ვაკრცელებულია ჩვეულებრივად თიხიანი შედგენილო-
ბის დიდი სისქის მდელოს ალუვიური ნიაღაგები. ძველ ტერა-
სებზე და მთა-ტყეთა ზონის ქვედა ნაწილში ტყის ყავისფერი
ნიაღაგებია, რომლებიც დადებითი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით
ხსიათდება და თავისი აგრძისაწარმოო მაჩვენებლებით მეცნახე-
ობისათვის მესხეთის პირობებში ყველაზე უკეთესია. ერთზიული

პროცესების გამო, ამ ნიადაგებს შორის აქა-იქ გვხვდება მნიშვნელოვნად გადარეცხილი ფართობები.

მთა-ტყეთა ზოლში სკარბობს ტყის ყომრალი ნიადაგები, მთა-ტყებსაც უფრო ზემოთ გაეწრებული ყომრალი ნიადაგები სკელიან. 1800 — 2000 ჰეტრიდან განვითარებულია მთა-მდელობრივი მუზეუმები პური და ალპური ნიადაგები.

ჩოგორიც ზემოთ აღვინიშნეთ, მესხეთის ბუნებრივი პირობები ტელშემწყობია მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის; მინდვრის კულტურებს გარდა (ქერი, სიმინდი, კარტოფილი), საკმაოდ არის განვითარებული მეხილეობა (ცაშლი, მსხალი, თუთა და სხვ.) და ნაწილობრივ მესაქონლეობა.

ამჟამად მიმღინარეობს გაცხოველებული მუშაობა მევენა-სეობის აღდგენისათვის. სპეციალური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ მესხეთის პირობებში შესაძლებელია მაღალი ხარისხის საშაბანურე ღვინომასალისა და ორინიარული ღვინის წარმოება; ამ შიმართულებითაც წარმოებს საჭირო მუშაობა.

იმერეთი. იმერეთის ტერიტორია ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია რაჭა-ლეჩხუმის მთებით (მთავარი კავკასიონი), აღმოსავალეთიდან — მესხეთის ქედით, სამხრეთიდან — მესხეთის ქედით და ახალციხე-იმერეთის მთებით, დასავლეთის მხრივ იმერეთი გაშლილია და შავი ზღვის გავლენის ქვეშ იმყოფება. იმერეთის ტერიტორია დაქანებულია შავი ზღვისაკენ, დასკრილია მთის ქედებით, მათი შტოებითა და ბორცვებით. იმერეთის საერთო ფართობიდან ვაკე აღგილებს უკირავს მხოლოდ 30%-მდე. სიღიღით შესამჩნევი ვაკეები იმყოფება მდინარე რიონის, ცხენისწყლისა და უკირილის დაბლობებში. შეერთების აღგილას ეს ვაკეები ჰქმნიან რიონის დაბლობს. დანარჩენი მდინარეები ჩამოდიან ვიწრო ღრმა ხეობებით და ერთვიან მდინარე რიონს ან მის შენაკადებს. მთები და ბორცვები, რომლებიც სერავენ იმერეთს, ალაგ-ალაგ ახლოს მიდიან და უშუალოდ ვკვრიან ვაკეებს, ალაგ-ალაგ ეშვებიან მათვენ ტერასებით ან უერთდებიან მათ ქვევითა კალთებით. ეს მთები და ბორცვები ბევრგან ჰქმნიან ვიწრო ხევებსა და ხეობებს.

ასეთი ტოპოგრაფიული მდგომარეობის გამო იმერეთში შედარებით მცირე სივრცეზე ხშირად ვხვდებით აღგილებს სხვადასხვა ექსპოზიციით, სხვადასხვა სიმაღლითა და დაქანებით. როგორც უკვე აღნიშნეთ, დასავლეთის მხრივ იმერეთი გაშლილია, რის გამოც მეტად საგრძნობია შავი ზღვის გავლენა მის ჰაერზე, განსაკუთრებით კი რიონის დაბლობის ჰაერზე. ესაა მიზეზი, რომ

როგორც ზამთრის სიცივეები, აგრეთვე ზაფხულის სიცხეები იმპ-
რეტში შედარებით შექმნილებულია. ზღვიდან თანდათან დაშრე-
ბით, განსაკუთრებით კი მთის ზონაში, შევი ზღვის გავლენა სისტ-
დება. ასეთი სხვადასხვა ხსნიათს ფაქტორების შეხამდებრს საფუ-
ძველზე მიღებულია იმერეთის ტერიტორიის დაყოფა შემდებულება
რაიონად: 1. ზემო იმერეთი 2. შევა იმერეთი და 3. ქვემო იმერეთი.
რაიონად:

ზემო იმერეთი მდებარეობს აღმოსავლეთ ნაწილში; მასში შედის ორჯონიერის, ჭიათურისა და საჩხერის აღმინისტრაციული რაიონები. შევა იმერეთი იმყოფება შეაგულ ნაწილში, შეიცავს ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკევსერის, ქუთაისის და ტყიბულის აღმინისტრაციულ რაიონებს. ქვემო იმერეთი მდებარეობს დასავ-
ლეთ ნაწილში; მასში შედის წყალტუბოს, განის, სამტრედიის და წულუკიის აღმინისტრაციული რაიონები.

იმერეთი თბილისთან და საქართველოს სხვა ადგილებთან შეერთებულია ბაქო-ბათუმის რეინიგზით, რომელიც მიიმართება იმერეთის მთელ სიგრძეზე. კრინიგზა აერთებს აგრეთვე იმერეთის ცენტრალურ ნაწილს ჩრდილო რაიონებთან, სახელდობრ — საჩ-
ხერის, ჭიათურის, ტყიბულის რაიონებთან. ბაქო-ბათუმის რეინი-
გზის პარალელურად მიდის შარაგზაც, რომელიც შეერთებულია მარითადად შარაგზებითა და ნაწილობრივ საურმე გზებით რაიო-
ნულ ცენტრებთან და სოფლებთან.

იმერეთის ბუნებრივი პირობები მეტად ხელშემწყობია სოფ-
ლის მეურნეობის მრავალი დარგისათვის.

იმერეთის კლიმატის დამახსიათებელი მაჩვენებლები, საქა-
რის, ქუთაისის და ტყიბულის მეტეოროლოგიური სადგურების მი-
ხედვით, შემდეგია: წლიური საშუალო ტემპერატურა ყველაზე
მაღალია ქუთაისში ($14,5^{\circ}$), მერე საქარაში ($13,9^{\circ}$), ხოლო ტყი-
ბულში, რომელიც დამახსიათებელია იმერეთის ჩრდილოეთ-
ზონის — ზედარებით დაბალია და უდინის $12,2^{\circ}$. სა-
მიეკ მეტეოროლოგიური სადგურის მიხედვით წლის განმავლობაში
ყველაზე ციფრი თვეების იანვარი, თებერვალი, დეკემბერი და ბო-
ლოს მარტი, ამ თვეებში საშუალო ტემპერატურა აქ ასად არ
იწერს ნოლის დაბლა და შეაღებს 1.8 -დან $9,1^{\circ}$ -მდე. ზომიერია
აპრილი, მაისი, ოქტომბერი და ნოემბერი, ყველაზე ცეკლი კი ივ-
ლისი, აგვისტო და ნაწილობრივ ივნისი და სექტემბერი. საერთო
შეფარდებით მაჩვენებლებთან ერთად აღსანიშნავია, რომ მოყვა-
ნილ სამ მეტეოროლოგიურ სადგურებს შორის, ისევე როგორც
საშუალო წლიური ტემპერატურის მიმართ იყო აღნიშნული, საკ-

მათ სხვაობას აქვს ადგილი. თითქმის ყელა თვეში ქუთაისში მეტეოროლოგიური სადგური ტემპერატურის ყელაზე მათთვის მიხედვებს იძლევა, მას მისდევს საქართვის საცდელი სადგურის მაჩვენებლები და ბოლოს ტყიბულისა. აბსოლუტური მინიმუმის განვითარებით მაღალია (შესაძლებელი აბსოლუტურის მისტერი სიმუში უდრის $35 - 38^{\circ}$, აბსოლუტური მინიმუმი: ქუთაისში $-10,4^{\circ}$, საქართვის $-17,3^{\circ}$ და ტყიბულში $-25,4$), მაგრამ ასეთი ტემპერატურა, განსაკუთრებით აბსოლუტური მინიმუმი, მეტად იშვიათია, ამიტომ მას სამცურნეო მნიშვნელობა თითქმის არა აქვს.

ნალექების წლიური რაოდენობა საქართველოში — 1276 მმ, საქართვის — 1161 მმ და ტყიბულში — 1590 მმ; ტყიბულში ნალექების განაწილება სეზონების (თვეების) მიხედვით არ განიცდის დიდ ცვალებადობას. ქუთაისშა და გამსაკუთრებით საქართვის კი იგი არათანაბრად ნაწილდება, სახელმობრ, შემოღვრმა-ზამთრის თვეებში გაცილებით მეტი მოდის, ვიდრე ზაფხულის თვეებში. მიუხედავად ამისა, საერთოდ ნალექების დიდი რაოდენობის გამო ტენის ბალანსი ყველა თვეში დადგებითია.

გამომდინარე აქედან, იმერეთში კენახები არ ირწყვება და ვაზი მოურჩყავადაც ნორმალურად ვითარდება და მსხმოიარობს. მსოლოდ ზოგიერთ, გამონაკლის წელს ვაზი ზიანდება სიმშრალით, რასაც იწვევს აღმოსავლეთის ფენის მავვარი ხშირი ქარები, განსაკუთრებით ვაკე და მთისპირა ადგილებში.

ქარები იმერეთში წმინდად იცის, თითქმის ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ხშირი და ძლიერი ქარებია მარტსა და აპრილში. ქარი მეტწილად უბერავს აღმოსავლეთიდან (შეჩალი ქარები), სამნერეთ-აღმოსავლეთიდან, დასაკლეთიდან (მეტწილად ნალექიანი) და სამნერეთ-დასავლეთიდან.

სეტყვა იმერეთში იშვიათი მოელენაა; საშუალოდ წელიწადში შესაძლებელია მსოლოდ ერთი სეტყვიანი დღე — მაის-ივნისში, აგვისტო-სექტემბერსა და ნოემბერ-დეკემბერში. ამრიგად, სეტყვის მხრივ იმერეთი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვადრე აღმოსავლეთ საქართველოს მეცნაბეობის რაიონები (კახეთი, ქართლი და სხვ.).

იმერეთი ზანიათლება ნიადაგების მრავალფეროვნებით.

რიონის, ყვირილისა და სხვა დიდი მდინარეების ქვედა ტერასებზე (ჭალებზე) გაერცელებულია თანამედროვე ალუვიური, ხინხა-ტიანი და სხვადასხვა მექანიკური შეღენილობის ნიადაგები.

აქვე, მდინარეების უფრო ძველ ტერასებზე განვითარებულია სხვადასხვა ხარისხის ეწერი და აღაგ-ალაგ ეწერ-ლებიანი სამართლები. პირველი მათგანი ხასიათდება თიხიანი მექანიკური შედგნილობით, ორშტრინის კონკრეტიკის არსებობით, მევარ რეაქციებით და საკვები ნივთიერებებით არასაკმაოდ უზრუნველყოფით. უმცირეს ლებიანი ნიადაგები კი, გარდა ამისა, დაჭაობებულიცა და ამიტომ უფრო ნაკლები ლირსებისაა.

იმერეთის შემაღლებულ ნაწილში, განსაკუთრებით კი ორჯონიერის, კიათერისა და თერჯოლის რაიონებში, დიდი გავრცელება აქვთ კირქვებზე წარმოქმნილ სხვადასხვა სახის ნეშომპალა-კარზონატულ ნიადაგებს.

ტყიბულის და ნაწილობრივ წყალტუბოსა და ქუთაისის რაიონებში გავრცელებულია ყვითელმიწა და ტყის ყომრალი ნიადაგები, რომლებიც გამოყენებულია მეხილეობა-მევენახეობისათვის.

მთა-ტყეთა ზონაში უმთავრესად საშუალო სისქისა და ხირხატიანი ტყის ყომრალი ნიადაგებია, რომლებიც თავისი აგროსაწარმოი თვისებებით სახესებით აქმაყოფილებენ ვაზის მოთხოვნილებას. ასეთ ნიადაგებზეა ძირითადად გაშენებული ვენახები შაიაკოვების, ზესტაფონის და ნაწილობრივ საჩხერის რაიონებში, 800 — 1000 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონედან.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხრივ იმერეთი საქმით სიკრელით ხასიათდება. მთაგორიანი ზონა (ზემო იმერეთი და შეადგინების აღმოსავლეთი ნაწილი) ძირითადად მევენახეობის ზონაა: დანარჩენ დარგებს (მემინდვრეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა) დამხმარე მნიშვნელობა აქვთ. შეადგინების დასავლეთ ნაწილში, მევენახეობის გარდა, შედარებით დიდი აღგილი უჭირავს მემინდვრეობას (ძირითადად სიმინდის კულტურა), ნაწილობრივ — მებოსტნეობას, მეხილეობას, მესაქონლეობას და აგრეთვე მეაბრე-შუმეობას.

ქვემო იმერეთში, განსაკუთრებით მის დაბლობ აღგილებში, მევენახეობა შედარებით ნაკლებად არის განვათარებული; ძირითადი დარგებია — მემინდვრეობა (სიმინდის კულტურა), მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მეცხოველეობა (მეაბრეშუმეობა, მელორეობა, მეფრინველეობა).

* იმერეთის მეტწილ რაიონებში მევენახეობა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია და შემოსავლის მთავარი წყარო; მევენახეობის მნიშვნელობა ამ ზონაში იმითაც იჩრდება, რომ ამ რაიონის მთაგორიან პირობებში ვენახები განლაგებულია ისეთ აღვა-

ლებში, სადაც სხვა კულტურები რენტაბელური არ არის. ვენახებს აქ ძირითადად მთის ფერდობები უჭირავს ნეშომპალა-კარბონტრელი ნაადაგებით; ეს ადგილები იძლევა მაღალხარისხოვან, ნიზ/ჰარმონიულ, ზომიერი სიმძგრის, ოლნავ მომენტო ქსაკიდამოვნო სიმძევის) ხალისიან ღვინოს. დაბლობ ზონაში ვენეტიური ტაფურა ლებით ნაკლები რაოდენობით გვხვდება და ღვინოც შედარებით დაბალი ხარისხისა დგება.

მეღვინეობის მიმართულებით და ხარისხით იმერეთი სამ ზონად შეიძლება გაიყოს: ზემო იმერეთი და შეუ იმერეთის აღმოსავ-ლეთი ნაწილი მაღალი ხარისხის სუფრის ღვინისა და შამპანური ღვინომასალის ზონაა, შეუ იმერეთის დასავლეთი ნაწილი — საუკეთესო სუფრის ღვინის, ხოლო ქვემო იმერეთის მეტი ნაწილი — ოჩდინალური ღვინის ზონაა.

შენებრივი პირობების განსაკუთრებული სიჭრელის გამო, იმერეთში ზემოსხენებულ თითოეულ ზონაში კიდევ მრავლად მომკვება ცალკეული, განსხვავებული მიქრორაიონები, რომლებიც გამოიჩინევა ყურძნის ამა თუ იმ ჭიშის მეტ-ნაკლებად გაურცელებით და ღვინის თვისებებით და ხარისხით.

რაჭა-ლეჩებუში. რაჭა-ლეჩებუში მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო ნაწილში; სამხრეთის მხრიდან იგი ეკვის იმერეთს, სამხრეთ-დასავლეთიდან — საშეგრელოს, აღმოსავლეთიდან — სამხრეთ ისეთს, ხოლო ჩრდილოეთიდან შემოფარგლულია სვანეთისა და ლეჩებუშის ქედებით. ამ რაიონს უჭირავს მდრიბინისა და ცხენისწყლის შეუ წელი. რაჭა-ლეჩებუშში შედის სამი აღმინისტრაციული რაიონი: მბროლაურის, ონისა და ცაგერის. რაჭა-ლეჩებუშში წარმოადგენს მეტად მთაგორიან აღგილს, იგი დასერილია ხეებით და პატარ-პატარა მდინარეებით, რომლებიც რიონსა და ცხენისწყალს ერთვის; ვაკე აღგილები მეტად მცირეა და გვხვდება მხოლოდ მდინარეთა ნაპირებზე.

რაჭა-ლეჩებუში ბუნებრივი პირობებით გაიყოფა სამ ზონად: დაბალი ზონა, მთის ქვევითა ზონა და მთის მაღალი ზონა. მეცნაზეობა ძირითადად დაბალ და ნაწილობრივ მთის ქვევითა ზონაშია გავრცელებული. დაბალი ზონის ჰავა ზომიერია, საშუალო წლიური ტემპერატურა $11,4^{\circ}$ უდრის, ყველაზე ციფი თვის—იანვრის—ტემპერატურა $7,4^{\circ}$ მხოლოდ $1,5^{\circ}$ -მდე ეცემა; ყველაზე ცხელი თვის — ივლისის ტემპერატურა 22° აღწევს. მთის ქვევითა ზონის მრავალწლიური საშუალო ტემპერატურა უფრო დაბალია, კიდრე დაბლობი ზონისა და უდრის $9,8^{\circ}$; ამ ზონის ჰავაც ზომიერი

რია. ატმოსფერული ნალექები დაბლობ ზონაში საშუალოდ /1034:
ჯ შეადგენს, ხოლო მთის ქვევათა ზონაში — 1305 მმ. ნალექების
შეკსიმზე მოდის მაისში, ივნისშა და ნოემბერში. საქართველო რაჭა-
ლეჩხემის ჰავა საქმაოდ ხელშემწყობია სოფლის მუსტახურების
სხვადასხვა კულტურებისა და განსაკუთრებით შეერწყონების გან-
ვითარებისათვის.

რაჭა-ლეჩხემში უველაზე დიდი გავრცელება აქვთ სხვადასხვა-
ნეომპალა-კარბონატულ ნიადაგებს, რომლებიც ხასიათდებიან შინ-
უ თიხნარი ან თიხიანი შედგენილობით, ხირხატიანობით და საკედ-
ნივთიერებათა საქმაო შემცველობით. ამ ნიადაგებს შორის გვხვდე-
ბა გადარეცხილი და გამოტეტვილი სახესხვაობები.

დიდი გავრცელება აქვთ ქ ტყის ყომრალ ნიადაგებსაც და გა-
ცილებით უფრო ნაელები—ალუვიურ და გაერჩებულ ნიადაგებს.
რიონისა და სხვა მდინარეების ტერასებზე ვენახები განსაკუთრე-
ბით მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა ნეომპალა-კარბო-
ნატულ ხირხატიან ნიადაგებზე.

სოფლის მეურნეობის მხრივ რაჭა-ლეჩხემი ორ განსხვავებულ
ზონად იყოფა: ჩრდილოეთი ნაწილი, უფრო მაღალია და მთავო-
.რიანი, მესაქონლეობის რაიონის წარმოადგენს, სამხრეთის მიმარ-
თულებით სოფლის მეურნეობაში თანდათან იტრება მევენახეობა
და ნაწილობრივ მეხილეობა, რაიონის შეა და ქვემო მხარეში ძი-
რითადი მნიშვნელობა ეძლევა მევენახეობას, შემდეგ—მემინდვრე-
ობას (ხორბალი, სიმინდი) და მეხილეობას. ამ რაიონში სახმარი მი-
წების დიდი სიმცირეა და ვაკე, სასოფლო-სამეურნეო წარმოები-
სათვის გამოსაღევი ფართობები ძალიან ცოტაა.

სახნავ-სათესად, ვენახებად და ხეხილის ბალებად გამოყენე-
ბულია საქმაოდ დაფურდებული მთის კალთები, რაც ერთგვარ
სიძნელეს ქვემის მეშაობაში, ამასთანავე ადგილი აქვს ეროზიულ
მოვლენებსაც.

მევენახეობა ღვინის წარმოების მიმართულებისაა; მზად-
დება ძირითადად სუფრის ღვინო და ბუნებრივად ტებილი ღვინო.
მევენინების თვალსაზრისით რაჭა გაიყოფა ორ მევეთრად განსხვა-
ვებულ ზონად. მდ. რიონის მარცხენა მხარე, რომელსაც უკირავს
ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობები, იძლევა ორდი-
ნარულ სუფრის ღვინოებს, რაღვან ხეობის სიერწოვეისა და ვენა-
ხების ჩრდილო დაქანების ფერდობებზე განლაგების გამო, ვაში
არ არის უზრუნველყოფილი საქმაო სითბოთი, სინათლით და ყურ-
ძენი შედარებით დაბალი მაქრიანობისაა. მეორე ზონა, რომელსაც

უჭირავს მდ. რიონის მარჯენა ნაპირის მთების სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი კალთები, იძლევა—მაღალი ხარისხის სუფრის ტენის, განსაკუთრებით კი ბუნებრივად ტებილ ღვინოს (ხვანცია). ეს გამოწევეულია იმ გარემოებით, რომ აქ ვაზი უხვად ჰარტეტლუმი შეის სითბოთი, რაც ადგილობრივ ნიადაგურ პირობეჭანან ერთოდ ა (თიხნარი, ჩონჩხიანი ნიადაგები) ხელს უწყობს შაქრის დიდი რომ-დენობით დაგროვებას. ლეჩხუმშიც, ვენახების ადგილმდებარეობის მიხედვით, სხვადასხვა ხასიათისა და ხარისხის ღვინის პროდუქცია შეიღება. ცხენისწყლის ხეობაში, ისევე როგორც რაჭაში (რიონის ხეობაში), მდინარის მარჯენა ნაპირზე განლაგებული ენახები უკეთეს ღვინოს იძლევა, ვიდრე მარცხენა ნაპირისა, მაგრამ აქ განსხვავება უფრო ნაკლებია. ორივე ზონა კირვი ხარისხის სუფრის ღვინოს იძლევა, ისევე ითქმის მდ. ლაგანურას ხეობაში მდებარე ენახებზე. თვალსაჩინოდ გამოირჩევა ლეჩხუმის ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც უჭირავს მდ. რიონის მარჯენა ნაპირის მთის ფერდობები. აქ, ისევე როგორც რაჭის ანალოგიურ ადგალებში, ყურძენი შაქარს დიდი რაოდენობით აგროვებს და ბუნებრივად ტებილი ღვინო დაება (ტვიშის ცოლიკოური).

რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივად ტებილ ღვინოებს (ხვანციარი, ტვიშის ცოლიკოური) დიდი სახელი აქვთ მოხვეჭილი საბჭოთა კავშირში.

გურია-აჭარა. გურიასა და აჭარას უკავია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი; ამ რაიონში შედის ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის ადმინისტრაციული რაიონები და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის — ქობულეთის, ბათუმის, ქედის, შეახვევისა და ხულოს რაიონები. სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ეს მხარე შემოიფარგლულია აჭარა-ახალციხის ქედით და მისი შტოებით, დასავლეთიდან მის საზღვრავს შევი ზღვა, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — რიონის დაბლობი. გურია-აჭარის ტერიტორია უმთავრესად მთაგორიანია; ვაკე ადგილები მხოლოდ ალაგ-ალავ გვხვდება მდ. სუფსისა და ნატანების ნაპირებზე, გურიის შუაგულში; ვაკეს წარმოადგენს აგრეთვე გურიის ქედის სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე შავიზღვისპირა ზონა.

გურია-აჭარის ჰავა, გარდა მაღალმთიანი ზონისა, ჩბილია და ზომიერი. საშუალო წლიური ტემპერატურა, მახარაძისა და ანასეულის მეტეოროლოგიური საღგურების მონაცემებით, $13,2^{\circ}$ — $13,4^{\circ}$ უდრის; ცველაშიც ციფი თვის — იანვრის საშუალო ტემპერა-

ტურა, იმავ სადგურების მაჩვენებლებით, 4,0—4,9°-ს შეადგინს. ამ რაიონში ყინვები იშვიათი და უმნიშვნელოა. იმავე დროს ამცი დიდი სიცხეები იცის: ყველაზე ცხელი თვის — აგვისტოს სამშენებლო ტემპერატურა 21—22°-ს არ აღემატება. ზომეურულ წმინდა ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი და მაქსიმუმიც. შესაძლებელ ტემპერატურის აბსოლუტური შინიმუმი — 10,4-დან 12,7°-მდე აღწევს; ტემპერატურა ამ დონემდე მეტად იშვიათად, მრავალი წლის განმავლობაში ერთხელ ეცემა. ეს აბსოლუტური მინიმუმი კენახისთვის უვნებელია, ხოლო ამ რაიონში ზიანს აყენებს ციტრიუსოვან კულტურებს. ნალექების საერთო წლიური რაოდენობა საქმიანდ დიდია — 1700 მმ-დან 2000 მმ-მდე და ზოგან მეტიც. მაგრამ ამ ნალექების უმეტესი ნაწილი შემოღვიძაზამირის თვეებში მოდის, ზაფხულში და განსაკუთრებით გაზაფხულშე (მაისი) შედარებით მცირე ნალექები მოდის. მიუხედავად ამისა, ვაზი ურწყავადაც კარგად ვითარდება. ქარები ხშირია, განსაკუთრებით ქვენა მშრალი ქარები, მაგრამ ამ ქარებს დიდი ზარალი არ მოაქვთ. სეტყვა შედარებით იშვიათაა, გარდა ზოგიერთი მიქრორაიონისა, სახელმობრ — გურიის აღმოსაელეთ ნაწილისა.

გურია-აჭარა ხასიათდება ნიადაგური საფარის დიდი სიქრელით.

კოლხეთის დაბლობზე, ძირითადად თბილის-ბათუმის რენიგზის ლიანდაგის მარჯვენა მხარეზე ჭაობისა და დაჭაობებული (ეწერ-ლებიანი, ალუვიურ-ლებიანი) ნიადაგებია გაერცელებული, რომლებიც დაშრობას საჭიროებენ.

სუფსის, ნატანების და სხვ. მდინარეების ძელ ტერასებზე ძირითადად სხვადასხვა ხარისხის ეწერი და ეწერ-ლებიანი ნიადაგებია. ამავე მდინარეების ჭალებზე კი თანამედროვე, უმთავრესად უკარბონატო, ალუვიური ნიადაგები და უფრო იშვიათად მდელოს ალუვიური ნიადაგები გვხვდება.

მთისწინების გორაკ-ბორცვიან ზოლში, 500 — 600 მ სიმაღლემდე ზღვის დონედან, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებია.

წითელმიწა ნიადაგები აქარაში წარმოქმნილია ამონალვარი ქანების გამოფიტვის ქარქზე, გურიაში კი ძელ ტბა-მდინარეულ რიყიან ნაფენზე. წითელმიწა ნიადაგები დადებითი აგროსაწარმოთ თვისებებით ხასიათდება.

ყვითელმიწა ნიადაგები ძირითადად წარმოქმნილია უკარბონატო თიხის ფერლებზე, ქვაქვიშებზე და ძელ ტბა-მდინარეულ რაყიან ნაფენზე. ალაგ-ალაგ ყვითელმიწებს შორის მნიშვნელოვა-

ნი ფართობები გადარეცხილია. თავისი ეგროსაწარმოთ თვეუსებულ-ბით ეს ნიაღაგები წითელმიწებს ჩამოუვარდება.

ორივე ალიშტნული ნიაღაგი თითქმის მთლიანად ახეისებულია ჩაის ქვეშ. ამ ნიაღაგებს შორის, საკმაოდ ხშირად, გვხვდუჩხსებულებზე განვითარებული ნეშოპალა-კარბონატული წილდაგები, რომლებიც კირის შემცემელობის გამო სრულიად უვარგისია ჩაის პლანტაციებისათვის, მაგრამ მაღალხარისხოვან ნიაღაგებს წარმოადგენენ სავენახედ.

მთა-ტყეთა ზოლში 500 — 600 მ ზევით უმთავრესად გავრცელებულია ტყის ყომრალი ნიაღაგები, რომლებსაც ამ ზონის ზედა წელში ცვლიან გაერტრებული მთა-ტყეთა და, კიდევ უფრო მაღლა, მთა-მდელოთა ნიაღაგები.

ყომრალი ნიაღაგები ღადაბითი თვისებებით ხასიათდება და 800 — 900 მეტრამდე სავსებით გამოსადევია სავენახედ.

სოფლის მეურნეობის მხრივ გურია-აჭარა მეტად საინტერესო რაიონია, როგორც ძირითადი რაიონი მაღალხარისხოვანი ჩაისა და ციტრუსებისა. გარდა ამ ძირითადი კულტურებისა, აქ თვალსაჩინო აღგაილი უკირავს სუბტროპიკულ და კონტინენტურ მეზილეობას, ზოგიერთ მიეროობინში — მევენახეობას, დაბლობ ზონაში — მემინდვრეობას (ძირითადად სიმინდის კულტურით), მთისპირა ზონაში — მეთამბაქოეობას და მაღლობრივი ზონაში — აგრეთვე მესაქონლეობას. რაიონის თითქმის ყველა კუთხეში ძლიერ არის განვითარებული მებარეშემეობა. ამრიგად, გურია-აჭარა მრავალფეროვანია სოფლის მეურნეობის მხრივ და ამასთანავე ახასიათებს მას ძირითადად ძვირფასი კულტურების გავრცელება.

მევენახეობა გურია-აჭარაში ფართოდ არის გავრცელებული „მაღლარი“-ს სახით, ე. ი. კაშის ხეზე აშეებული თავისუფალი ზრდის კულტურით; „დაბლარი“, კულტურული მევენახეობა შედარებით გვეან შეიქრა ამ რაიონში, და ამ ტიპის ვენახებს მცირე ფართობები უკირავს. მევენახეობა ძირითადად მელეინეობის მიმართულებისაა; ლეინო მეტწილ რაიონებში ორდინალურია, ზოგიერთ მიეროობინში კი როგორც, მაგალითად, გურიაში — საჭამისერის, ბუეისციხის, ხიდისთავის, ფარცხმის მიეროობინებში, აჭარაში — ქედისა და სხვ. მიეროობაინებში — საჭამი მაღალხარისხისა დკვება.

სამეცნიერო-აუხაზეთი. სამეცნიერო-აუხაზეთი მდებარეობს საჭართველოს ჩრდილოეთ-დასავლეთის ნაწილში. ჩრდილოეთიდან

მას საზღვრავს მთავარი კავკასიონის ქედი, დასაცლეთით და სამხრეთ-დასაცლეთით — შავი ზღვა, აღმოსავლეთით — იმერეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთით — რაჭა-ლეჩესტმი.

ამ რაიონში შედის ობაშის, ცხაკაისა, გეგემერის 5 მუნიციპალიტეტის, ჩხორეწყუძის, წალენჯიხის, ზუგდიდის აღმინისტრუტულის მთხმანები, ქ. ფოთი და აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ონიშინის, გალისა, გულრიფშის, სუხემის, გუდაუთისა და გაგრის რაიონები.

სამეგრელო-აფხაზეთის ბუნებრივი პირობები მეტად ხელშემწყობია სოფლის მეურნეობისათვის. ჰავა რბილი და ზომიერია; წლიური საშუალო ტემპერატურა, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე მეტეოროლოგიური სადგურების მიხედვით (ზუგდიდი, სუხემი, გუდაუთი, გაგრა), $13,7^{\circ}$ -დან (ზუგდიდი) $15,2^{\circ}$ -მდე (გაგრა) მერყეობს; წლის განმავლობაში ყველაზე ცივი თვეებია იანვარი, თებერვალი და შემდეგ დეკემბერი, მაგრამ ეს თვეებიც საკმაოდ თბილია. საწუალო ტემპერატურა ამ თვეებში მერყეობს $4,5^{\circ}$ -დან $9,1^{\circ}$ -მდე. ყველაზე ცივი თვეებია, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, ივლისი და აგვისტო, მაგრამ აქ სიცხე უფრო ზომიერია და მაქსიმალური საშუალო ტემპერატურა მერყეობს $21,9^{\circ}$ -დან (ზუგდიდი) 24° -მდე (გაგრა). ტემპერატურის შესაძლებელი ამბსოლუტური მინიმუმი, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სებტემბერული კულტურათა რაიონებისათვის, შეადგენს: ზუგდიდში — $13,1^{\circ}$, სოხუმში — $11,8^{\circ}$, ხოლო გაგრაში — $10,9^{\circ}$. ტემპერატურის ამგვარი დაცვაც კი მეტად იშვიათი მოვლენაა. ტემპერატურათა წლიური გამო, რომელიც დაახლოებით 4500° უდრის, სავსებით საქართველოს სიმწიფის ყველა პერიოდის განის გიშებისათვის.

სამეგრელო-აფხაზეთი კარბი ტენიანობის რაიონია; ნალექების მრავალწლიური საშუალო წლიური გამი ზუგდიდში 1467 მმ შეადგენს, სუხუმში — 1371 მმ და გაგრაში — 1304 მმ. თვეების მიხედვით ნალექები არათანაბრად არის განაწილებული: ყველაზე დიდი რაოდენობა ნალექებისა მოდის ზამთრის თვეებში, შემდეგ შემოგომა-გაზაფხულზე და ყველაზე ნაკლები — ზაფხულის თვეებში. ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა, ყველაზე შერალ თვეებში (ზაფხულის თვეები), სამეგრელოში 70—80 მმ ნაკლები არ არის, ხოლო აფხაზეთში 80 — 100 მმ უდრის. მიუხდავად ნალექების კარბი საერთო რაოდენობისა, ენახებისთვის შესაფერისი აღვილების (ნიადაგისა და რელიეფის მხრივ) შერჩევისას და სოკოვან ავაღმყოფობათა შინააღმდეგ სათანადო პრი-

ჭულაქტიკური და საბრძოლო ლონისმიერათა ჩატარებით, უზრუნველყოფილია ვაზის ნირმალური განვითარება და უხვი მოსახლეობისა. სამეგრელო-აფხაზეთი უარყოფითი მეტეოროლოგიური მოწლენების — ქარებისა და სეტყვის შხრივ კარგ პირობებში იმყოფება; მათ მოქმედებას უარყოფითი სამეცნიერო მნიშვნელობა მისამართ დაგენერირდება.

სამეგრელო-აფხაზეთის ზღვისპირა დაბლობ ზონაში გავრცელებულია ტორფიან-ჭაობიანი და ლამიან-ჭაობიანი ნიადაგები, ხოლო უფრო შემაღლებულ ნაწილში — დაქაობებული ალუვიური ზიადაგები.

ინგურის, ხობის, ტეხურის და სხვა მდინარეების ძველ ტერა-სებზე განვითარებულია სხვადასხვა ხარისხის ეწერი ნიადაგები, რომლებიც შშირად დიდი რაოდენობით შეიცავენ ორშეტერის კონკრეტულს სქელი ფენის სახით.

ამ ნიადაგებს აქვთ მძიმე მექანიკური შედგენილობა, არადამაქმაციულებელი ფიზიკური თვისებები და ას არიან უზრუნველყოფილი მცენარისათვის საჭირო საკვები ნიეთიერებებით.

გორაკ-ბორცვიან ზონაში ძირითადად ყვითელშიწა და წითელშიწა ნიადაგებია.

მთა-ტყეთა ზონაში ფართოდაა გავრცელებული ნეშომპალა-კარბონატული და ტყის ყომრალი ნიადაგები.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები რელიეფის პირობების შიხედვით ხასიათდებიან სხვადასხვა სისქით, სხვადასხვა ხარისხით გამოტეტვილობით, ხირხატის შემცველობით და თიხიანი მექანიკური შედგენილობით.

სამეგრელო-აფხაზეთი ძირითადად ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკულ კლიმატურათა რაიონია. მასთანავე აქ თვალსაჩინო აღვალი უკიძეს შემინდვრეობას სიმინდისა და თამბაქოს სახით, საშუალოდ არის გავრცელებული სუბტროპიკული და კონტინენტური მეზილეობა, მეცენატეობა და აგრეთვე მეცხოველეობა — მსხვილფეხა ჩქოსანი საქონლის, მელორეობისა და მეფრინველეობის სახით; დიდად არის გავრცელებული აგრეთვე შეაბრეშემობაც.

მეცენატეობა სამეგრელო-აფხაზეთში ძირითადად გავრცელებულია „მაღლარის“ სახით, ე. ი. ვაზის ხეზე აშეებული თაეგისუფალი ზრდის კულტურით; „დაბლარი“ მეცენატეობა შედარებით ახალია ამ ჩაიონში და მცირე ფართობიც უკიძეს.

მეცენატეობა აქ ძირითადად მელვინეობის მიმართულებისაა; ლვინო მეტწილ რაიონებში ორდინალური დგება; არის ცალკეული

ნიკრორაიონები, განსაცემობით მთავრობიან ზონაში, ნეშტემპალა-
ტარბონატულ ნიადაგებით, საღაც მაღალი ხარისხის სუფლის ფი-
ნა დგება, მაგ., სამეგრელოში — ანუთის, სალხინის, ჭავალუაშის,
ფოცხო-უშავთას და სხვ. მიკრორაიონები, აფხაზებულებული
დაუთის, გაგრის, სუხუმის და სხვ. შესავისოდა.

აფხაზეთის საკუთრიტო ზონაში თანდათან ფეხს იყიდებს
სუფრის ყურძნის წარმოება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სუფ-
რის ყურძნით დამსკვნებელთა მომარავებისათვის.

III. მიმდინარეობის თანამდებობი მდგრადიობა

მევენახეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი
ძირითადი და მეტად გაერცელებული დარგია.

საქართველოს 74 აღმინისტრაციული რაიონიდან, აფხაზეთის
ასსრ-ის, აჭარის ასსრ-ის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-
ქის ჩათვლით, მევენახეობას 66 რაიონში მისდევენ.

სრულიად არა კენახები (გარდა საცდელი ნაკვეთების მცი-
რე ფართობისა) რესპუბლიკის მთიან — წალეის, ახალქალაქის,
ბოგდანოვეის, თიანეთის, ყაზბეგის, ქვემო სვანეთისა და ზემო-
სვანეთის რაიონებში, საღაც მათ განვითარებას ხელს უშლის კლი-
მატური პირობები.

მევენახეობის რაიონები იყოფა რამდენიმე ჯგუფად:

ა) რაიონებად, საღაც მევენახეობა მთავარი დარგია სოფლის
მეურნეობაში;

ბ) რაიონებად, საღაც მევენახეობა საქმაოდაა განვითარებული,
მაგრამ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშე ღამლა დგას, და

გ) რაიონებად, საღაც კენახები მაღლე მცირეა და მევენახე-
ობას ამეამად მნიშვნელოვანი როლი არ უკავია.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება კახეთის, იმერეთისა და რაჭა-
ლეჩხუმის მეტი წილი აღმინისტრაციული რაიონები და ქვემო
ქართლის, ქართლი — სამხრეთ ოსეთის ტალაველი რაიონები.

მეორე ჯგუფს — იმერეთის (ქვემო იმერეთი), გურია-აჭარის,
და სამეგრელო-აფხაზეთის ზოგიერთი რაიონი;

მესამე ჯგუფს — იმერეთის (ქვემო იმერეთი) რამდენიმე:
რაიონი და გურია-აჭარა და სამეგრელო-აფხაზეთის რაიონების
უმეტესობა.

კალეული რაიონისათვის მეცნიახეობის მნიშვნელობის გან-
საზღვრელ მაჩვენებლად შესაძლებელია მიღებულ იქნეს: ვერაფ-
შის აბსოლუტური ფართობი, კენახების ფართობის წევდობის
წონა რაიონის დამუშავებული მიწების საერთო ფართობში და ვე-
ნახების ფართობი სოფლის მოსახლეობის ერთ კომლურ და ერთ-
ერთმისუნარიანზე.

კრებაილობა 2

პირველი მაქენებლით—ეწოდების აბსოლუტური ფართობით, 1953 წლის აგვისტოს ეწოდების საკეშირო აღწერის მასალების მიხედვით, რაომების განლაგება

№	ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	კვანძების ფართობი მეტ.		ადმინისტრაციული რაიონების დასახელება	კვანძების ფართობი მეტ.		
		მ/კ	მ. მ. კმ²-ზე უმცირეს ჭირდება		მ/კ	მ. მ. კმ²-ზე უმცირეს ჭირდება	
1	გურიანის	5282	2007	34	შულეკიძის	398	121
2	ხესტაფონის	4203	1868	35	სტალინირის	373	146
3	თელავის	3619	1683	36	წალენჯიხის	364	109
4	სიღნაღის	2433	831	37	წალენტბოს	364	59
5	ორუელიშვილის	1968	946	38	გულრიფშის	319	119
6	მარგველაშვილის	1945	797	39	მიმოციურებულის	314	84
7	გორის	1939	599	40	ზაქარიას	274	89
8	საჩიხოის	1879	824	41	ლანჩეცის	274	102
9	ყვარლის	1779	792	42	ცაგარას	273	88
10	აბაშიროლაურის	1567	896	43	გარეფანის	260	198
11	განის	1562	540	44	სურემის	251	104
12	თერჯოლის	1556	661	45	გულაურის	242	173
13	ჭიათურის	1441	352	46	დუშეთის	235	150
14	ბოლნისის	1438	932	47	თელიაწყაროს	233	202
15	ქასპიის	1242	506	48	მანარაძის	227	75
16	ქუთაისის	1184	306	49	გუგურის	213	160
17	ცაგერის	1152	547	50	ოჩიავირის	154	73
18	საგარეველის	1091	474	51	ძედის	143	141
19	ახმეტის	952	495	52	ახლოეთის	140	82
20	ხაშურის	914	256	53	ლეიხიბეგრის	140	89
21	მცხეთის	880	337	54	გალის	114	63
22	ლაგოდების	726	166	55	აცივენის	79	76
23	კაჭირეთის	704	435	56	ასპინძის	56	55
24	ქარელის	660	210	57	დომარისის	47	42
25	მარნეულის	600	194	58	შეუძლებელის	42	42
26	ზეგდოდის	552	204	59	ხობის	34	—
27	ტყიბულის	537	120	60	ხულოს	32	32
28	გადაბეჩირის	513	171	61	ბათუმის	19	18
29	გარეჯის	464	213	62	ბორჯომის	14	5
30	წითელწყაროს	463	361	63	აბაშის	11	—
31	სამტრედიის	434	154	64	ლენტების	9	6
32	ონის	407	157	65	ყადას	6	1
33	ჩოხატაურის	405	171	66	ქობულეთის	5	2

რაიონების ფაკტულება ვენახების ფართობის მიხედვით

რიგ.	რაიონების ჯაფულები	რაიონების რაოდენობა ჯაფულებში		ვენახების სატოლო ფართობის უდინობრივი მაჩვენებელი	
		აბსოლ. ჰექ.	პროც-ოც	აბსოლ. ჰექ.	პროც-ოც
1	4000 ჸა-ზე მეტი	2	3,0	9486	18,2
2	2001-დან 4000-მდე	2	3,0	6052	11,6
3	1501-დან 2000-მდე	8	12,1	14195	27,2
4	1001-დან 1500-მდე	6	9,1	7549	14,5
5	501-დან 1000-მდე	10	15,2	7036	13,5
6	251-დან 500-მდე	16	24,2	5637	10,8
7	101-დან 250-მდე	10	15,2	1840	3,5
8	100-ჸა-მდე	12	18,2	354	0,7
ს უ ლ		66	100,0	52149	100,0

18 რაიონის, ანუ რესპუბლიკის ყველა რაიონის 27,2% აქვს 1000 ჰექტარზე მეტი ფართობი. ამ რაიონებში თავმოყრილია 37282 ჰექტარი, ანუ 71,5% საქართველოს მთელი ვენახების ფართობისა. ყველაზე დიდი ჭგუფა ამ რაიონების, რომელთაც აქვთ ვენახი 250-დან 500 ჰექტარამდე; ამ ჭგუფში შედის 16 რაიონი, ანუ 24,2% და მასში 5637 ჰექტარი ვენახია — 10,8% ვენახების საერთო ფართობისა.

22 974	138,0 16,7	304 1627	22 1214	154,5 33,8	340 4103	22 1310	207,6 55,0	457 7205	135,1 33,5	
996	19,4	1931	1236	35,9	4443	1332	57,5	7662	35,6	
1586	52,9	8386	1755	64,7	11359	1884	81,5	15355	57,7	
16743	24,1	40293	16982	39,7	67472	18432	57,7	106267	36,9	
18329	26,6	48679	18737	42,1	78831	20316	59,9	121622	38,8	

მოსავლიანობაში ყველაზე ჩამორჩენილია მესხეთი და ქართლი — სამხრეთ ოსეთი; მესხეთში საშუალო მოსავალი ჟენტიური შეადგენ 15,8 ცენტერს და ქართლი — სამხრეთ ოსეთში — 21,5 ცენტერს. წლების მიხედვით რესპუბლიკაში მთლიანად ყველაზე მაღალი მოსავალი იყო 1954 წელს — 59,9 ცენტერი ჰექტარიდან, შემდეგ 1953 წელს — 42,1 ცენტერი.

ვენახების ფართობის სიდიდისა და მოსავლიანობის შესაბამისად რაობრიში ყურძნის საერთო პროდუქციით პირეელ აღგილშეა გახეთი, რომელიც იძლევა მოელი მოსავლის 43,8 %-ს, ზემდეგ იმერეთი — 26 %.

საქართველოს მეცნახეობის მდგომარეობის შესახებ ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ მეცნახეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მთავარი საკითხთაგანი ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების აღდგენა ახალი ვენახების გაშენებით ფილოქსერაგამძლე საძირეზე დამყნილი ვაზით.

ვეხებით რა ამ საკითხს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ დარგში მემაობა დიდი ხნის განმავლობაში ღამაჯმაყოფილებილად ვერ მიმდინარეობდა, მაგრამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით 1936 წლიდან, საკ. კ. მ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო სახეობისაბეჭოს ისტორიული დადგენილების შემდეგ „საქართველოს სსრ-ში მეცნახეობისა და ხარისხოვანი მელინეობის განვითარების შესახებ“ — მდგომარეობა ძირდეს უკიდურესად შეიცვალა.

მიღწევად ამ მხრივ უნდა ჩაითვალოს მყარი ბაზის შექმნა ფილოქსერისაგან განადგურებული ვენახების აღსადგენად და შემდგომ გამავათარებლად საძირე ვაზის საღელების გაშენების გაფართოების გზით, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკას ფილოქსერაგამძლე საძირე გასალით.

ცრილი 15

საძირე ვაზის საღელების დონამიკა უკანასკნელი თარი ათეული წლის
განმავლობაში

წ ლ ე ბ ი თ	ფართობი წლის ბოლოს ჟენტიურით	პროცენტები 1930 წლის მიმართ
1930	321	100
1932	416	130
1935	580	181
1940	815	254
1947	734	221
1953	975	304

ამ მნიშვნელოვან საყითხს უკანასკნელ დრომდე ჯეროვანი უცალდება ან ექცეოდა. სადედების გაშენება დიდი დაგვირჩვით დაიწყო, ნელი ტემპით მიმდინარეობდა და აჩასაქმარ რაოდენობით წარმოებდა (ცხრილი 15).

როგორც ვხედავთ, საძირე ვაზის სადედების ციფრთან შეებოւ ზრდა 1940 წლამდე ძლიერ ნელა მიმღინარეობდა და ამ დროისათვის მათი ფართობი 1930 წლითან შედარებით მხოლოდ 2,5-ჯერ იზრდება. სამატული ომის წლებში სადედების ნაწილი წყობიდან გამოვიდა, მაგრამ ომის შემდგომ წლებში ეს ფართობი აღდგენილი იქნა და 1953 წელს 975 ჰექტარს მიაღწია.

საძირე ვაზის საღილებების ჯიშობრივი შემდეგნაირია:

რიპარია × რუპესტრია	3309	361,95	ჸა—37,1 %
*	3306	127,45	— 13,1 %
" "	101 ¹⁴	199,3	— 20,4 %
ბერლანდიერი × რიპარია	420-ა	72,8	— 7,5 %
რიპარია × ბერლანდიერი	5-ბბ	91,7	— 9,4 %
შასლა × ბერლანდიერი	41-ბ	10,9	— 1,1 %
სოლომინი × რიპარია	1616	9,9	— 1,0 %
რუპესტრის დოკულთ		46,0	— 4,7 %
დანარჩენი კუშები		55,4	— 5,7 %

აღსანიშნავია, რომ სადედების ჯიშობრივ შემადგენლობაში მცირდება წარმოდგენილი ბერლანდიერის ჰიბრიდები — სულ 175 ჰექტარი, დაახლოებით 18 %, მაშინ როგორც საქართველოში ენახებისათვის საუკეთესო ნიაღავების მასივები, რომლებიც მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა, თითქმის ყველა რაონში კირის დიდ რაოდენობას შეიცავს და ვაზის საძირე სწორედ ბერლანდიერის ჰიბრიდებს მოითხოვს.

საძირე ვაზის სადედების 975 ჰექტარი ფართობიდან კოლმეურნეობებში 706 ჰექტარი, ანუ მთელი ფართობის 72,4 % ირიცხება, საბჭოთა მეურნეობებში — 269 ჰექტარი, ანუ 27,6 %.

სადედების მეურნეობა უკანასკნელ დრომდე საბჭოთა მეურნეობების ხელში იყო; კოლმეურნეობებს ძალზე მცირდები ფართობი ჰქონდათ, რის გამოც კოლმეურნეობების სადედების უდიდესი ნაწილი ახალგაზრდა ნარგაობისაგან შედგება. საბჭოთა მეურნეობების სადედები მთლიანად სრულასაკოვანია.

მევენახეობის ცალკეულ რაონებს შორის სადედები განლაგებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ რაონის

შოთხოვნილება საძირე მასალაზე. სადედეების მთელი ფართობის დაახლოებით ერთი მესამედი იმერეთშე მოდის, დაახლოებით მდენივე — კახეთშე; დანარჩენ რაიონებში, გარდა ქვემო ქართლისა (მარნეულისა და ბოლნისის აღმინისტრაციული რაიონების) მარტო-დეები მცირე რაიონებითაა.

მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში სადედეების შედარებით დიდი ფართობია თავმოყრილი, რადგან ამ რაიონების ეკოლოგიური პირობები ხელსაყრელადა მინეული საძირე განის სადედეების განაშენებლად.

მარნეულის რაიონში მდებარეობს სამტრესტის გიაურიარხის საბჭოთა მეურნეობა, რომლის პროდუქტია (საძირე) აღვილობრივად მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით მოიხმარება. ამ მეურნეობის სადედეს რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვს; მეურნეობა ამარავებს თითქმის ყველა რაიონს, რომლებსაც თავისი საძირე არა ჰყოფნის.

საძირე განის სადედეები ჯერჯერობით დამაქმაყოფილებელ მდგომარეობაში არაა; სადედეების არასაყმაოდ მოვლის გამო ნარგავები გამეჩერებულია და მათი მოსაელიანობა დაბალია; ნაცელად ერთი ჰექტარიდან 40—45 ათასი ცალი 110 სმ ლერწის მიღებისა, რაც სავსებით შესაძლებელია, ამ უკანასკნელ წლებში ფაქტიურად მიღებულია 20—25 ათასი ცალი, მთელი მოსავალი კი შეადგენს 15—20 მილიონ 110 სმ ცალ ლერწს.

ამეამად ხორციელდება ღონისძიება, რომელიც გააადვილებს სადედეების მოვლას, სახელმობრ სადედეების გადაყვანა დაბალ პორიზონტალურ მავთულის შპალერზე. ეს ღონისძიება იძლევა სადედის რიგთაშუა მანძილის მექანიზირებული დამუშავებისა და სურთოდ მოვლის გაუმჯობესების საშუალებას, სახელმობრ მწვანე ოპერაციების ჩატარების საშუალებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალი ხარისხის ლერწის მიღებისთვის.

კველატერი ეს გაელენას ახდენს სადედეების მდგომარეობაზე, რის გამო უკანასკნელ წლებში შესამნევია საძირე ლერწის პროდუქციის ზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესება.

განის მყნობის საქმეში ჯერ ყველატერი რიგზე არ არის.

საძირე განის სადედეების გაფართოება და მათი პროდუქციის ზრდა, აგრეთვე ნამყენის გამოსაყვანი საობურების შენებლობა ხელს უწყობს ნამყენი ვანის წარმოების გადიდებას, მაგრამ ამ სამუშაოს ცუდი ორგანიზაციის გამო, სანერვილან პირველხარისხიანი ნამყენის გამოსაყვალი ჯერ კიდევ მეტად დაბალია და უკანასკნელ წლებში 20-დან 30%-მდე მეტყეობს.

ამ მდგომარეობის ძირითადი მიზეზია სანამყენო მასალის მფა-
საქმია ყურადღებით შეტანევა, ნამყენის ცუდი მოვლა სახელმწიფო
და, რაც მთავარია, შრომის არასწორი ორგანიზაცია. ეს გამოიხა-
ტება იმაში, რომ მონამყენე, ნამყენის გაყეობის შემდეგისაც და მონაშილეობას მის სანერგეში დარგვასა და შემდგომშემატებელია და
არ აგებს პასუხს საბოლოო შედეგზე — სანერგიდან პირველხარის-
ხოვანი ნამყენის გამოსავალზე.

ცხრილი 16

ნამყენის წარმოება და პირველხარისმოვანი ნამკენის გამოსავალისა უკანასკნელ
წლებში, სოფლის მეურნეობის და სასურათო მოწყველობის სამინისტროთა
ცნობებით

წლები	დამყნილია (ათასი ტალი)			შილებულია პირველი ხაოსშის ნამყენი (ათ. ტალი)			პირველი ზარისშის ნამ- ყენის გამოსავალი პირ- ველობით		
	საბჭ- მეურ.	კოლ- მეურ.	სულ	საბჭ- მეურ.	კოლ- მეურ.	სულ	საბჭ- მეურ.	კოლ- მეურ.	საშეალო
1950	2081	32750	34831	365	9825	10190	17,5	30,0	29,4
1951	3167	36112	39279	846	8823	9669	26,7	24,4	24,6
1952	3552	26779	30331	833	6490	7323	23,5	24,2	24,1
1953	2192	24715	26907	785	6919	7704	35,8	26,0	28,7

1936 წლამდე ნამყენის წარმოება თითქმის მოლინად თავ-
შოყრილი იყო საბჭოთა მეურნეობების ხელში, რომლებსაც გა-
მოჰყავდათ ნამყენი როგორც თავიანთი საჭიროებისა, ისე კოლ-
მეურნეობებისათვის 1936 წლიდან წემოღებულ იქნა კოლმეურ-
ნეობათა დაგრედიტება ნამყენისათვის საჭირო მასალის შეძენა-
სა და სათხურების მშენებლობისათვის, რის გამოც ნამყენის წარ-
მოება კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა; კოლ-
მეურნეობებში უკვე აითვისეს ეს საქმე და საბჭოთა მეურნეო-
ბების მხრივ დაზმარებას ნაკლებად საჭიროებენ.

1939 წლიდან საბჭოთა მეურნეობანი აწარმოებენ მყნობას
მხოლოდ თავიანთი საჭიროებისათვის.

საქართველოში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დაბალშტამ-
ბიანი (დაბლარი) ვენახების გარდა, არის აგრეთვე მაღალშტამბია-
ნი (მაღლარი) ვენახები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაღლარი ვენახები, თავიან-
თი ნარგაობის ხსიათის და აღგილმდებარეობის მიხედვით, დი-
დად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღმოსავალეთ საქართველოში

მაღლარის ვაზები ერთეული ძირებად გვხედება საკარმილო ნაკვეთებზე, როგორც ქალაქები, ისე სოფლებში და ნაწილობრივ

ცხრილი 17
მაღლარი ვენახების განლაგება საქართველოს რაიონების მიხედვით, 1953 წლის
სრულიად საკარმილო ვენახების აღწერის მონაცემებით

რი ნო მას	რაიონების დასახელება	ს უ ლ		მ. მ. იზაბელას ჯიში	
		ძირი	ჰეტრარზე გა- დაყენით	ძირი	ჰეტრაზე გადაყენით
1	ქახეთი	19500	78	18762	75
2	შევჩინ ქართლი	3250	13	1198	5
3	ტართლი — საბარენა-ოსუთი	9250	37	1589	6
4	მცხეთი	1250	5	105	1
5	იმერეთი	240750	963	188285	753
6	რაჭა-ლეჩხუმი	60750	243	42461	170
7	გურია-აჭარა	824000	3296	696541	2786
8	სამეგრელო-აფხაზეთი	1345750	5383	918545	3674
ს უ ლ . .		2504500	10018	1867496	7470

ვენახებშიც — ხეივნების სახით. ამ რაიონებში მაღლარი შედგება, უმთავრესად, სუბრის ყურძნის კიშებისაგან და განკუთხნილია ფურძნის სახით მოსახმარად.

რაჭა-ლეჩხუმში (ცაგერის აღმინისტრაციულ რაიონში) მაღლშტამბიანი ვაზები უმთავრესად მთლიანი ნარგაობის სახით გვხვდება საშუალო შტამბზე, 1,5 მეტრის სიმაღლეზე, („ოლიხნარის“ ტიპის მიხედვით) და გაშენებულია ადგილობრივი ჯიშებით. ასეთ ნარგაობას საყრდენად ხის მაღალი სარება აქვს, რომლებიც გრიმანეთზე გადაბმულია ასეთივე გრძელი, ჰორიზონტალურად დაწყობილი სარებით.

იმერეთში, განსაკუთრებით გურია-აჭარისა და სამეგრელო-აფხაზეთის ზღვისპირა რაიონებში, მაღლშტამბიანი ნარგაობანი, გაშენებულია დიდი რაოდენობით უმთავრესად სხვადასხვა სახის სახმარ მიწებზე (ცხოვებში, ლობევებთან, სანავ-საოცესში, თხმელნარ ტყესა და სხვ.) და შეშვებულია ხეებზე.

აფხაზეთში, კერძოდ, გუდაუთის აღმინისტრაციულ რაიონში და აგრეთვე (უფრო იშვიათად) სხვა რაიონებში შემოღებულია სპეციალურად საყრდენად გამოსაღევი ხეების (ხურმა, თხმელა და სხვა) რიგში დარგვა, რომლებსაც ძირებში ვაზებს მიურგავენ. ამგვარად წარმოდგება მაღლარის მთლიანი ნარგაობა.

დასაცელეთ საქართველოს რაიონებში, განსაკუთრებით მცხის-პირა ზონაში, მაღლარის ვაზების დიდი უმეტესობა აქტუალული ჯიში იზაბელასაგან (პიბრილი) შედგება, რომელიც შემოწმილი უქნა-ის რაიონებში ფილოქსერისა და სოკოვან ავაღმყოფისათვის გამოიწვია. შემდეგ ქალ ოდესიდან.

იზაბელას ჯიში სწრაფად და ძლიერ ვრცელდებოდა იმის გა-მო, რომ იგი თოლი გასაშენებელია, დიდობისაელიანი და შედაირებით გამძლეა ფილოქსერისა და სოკოვან ავაღმყოფობათა წინააღმდეგ. ეს მოვლენა — იზაბელას გავრცელება, არასასურველად უნდა იქ-ნეს მიჩნეული, რადგან იგი, თუმცა უკეთესია სხვა სახის პიბრი-დებზე, მაგრამ მდარე ხარისხის ღვინოს იძლევა და მასთან, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, სდევნის აღვილობრივ მნიშვნელოვან ჯიშებს, რომლებიც ცნობილია მაღალხარისხოვანი ღვინოებით: ჩხავერი, ჯანი, მტევანდიდი, ალადასტური, ოჯალეში და სხვ.

მაღლარის ნარგაობა ამერამად თანდათან მცირდება, რადგან იზაბელას ჯიში არაა ფილოქსერას წინააღმდეგ აბსოლუტურად გამძლე, ივი უკვე სუსტდება; ამასთანავე გურია-აჭარისა და სამეგ-რელო-აფხაზეთის მოსახლეობა გადადის დაბალშტამბიანი ვაზების გაშენებაზე და იზაბელას აღვილობრივი მნიშვნელოვანი ჯიშებით სცვლის. ამ მოვლენას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მოსახ-ლეობამ ისწავლა ფილოქსერისა და სოკოვან ავაღმყოფობათა წი-ნააღმდეგ ბრძოლის ხერხები, რის გამოც იზაბელას, როგორც შე-დარებით გამძლე ჯიშს, ეს უპირატესობა დაეკარგა.

მაღლარ ნარგავებს, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს რაიო-ნებისა და აბაუ-ლეჩხუმისა, თითქმის არავითარი მოვლა არა აქვთ; პერიოდულად წარმოებს მხოლოდ მათი გასხვლა — ზედმეტი შტო-ების შექრა (ვაზის კრონის შეთხელება).

ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ლონისძიებათა გატარება დაბლარი ვენახების გასაფართოებლად კახეთის, იმე-რეთის და სხვა რაიონებთან ერთად ისეთ რაიონებშიც, სადაც უპი-რატესი მდგომარეობა ამჟამად მაღლარებს უკავია, თანდათან შე-ამცირებს მაღლარს და აღვილს დაუთმობს უურო კულტურული-მეცნიერების ტიპს — დამლარს.

IV. საქართველოს ვაჭის მთავარი და პეჩაპერტიტული
ჯიშის მოქლე დანართი გამოხატვა

ა. კახეთის ჯიში



რქაწითელი. რქაწითელი თეთრყურძნიანი ვარის განვითარების ზე და დიდი რაოდენობით გვერდების კახეთის ფეხის კუთხეში. რქაწითელი გაერცელებულია აგრეთვე აღმოსავალეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც. რქაწითელი იმდენად მაღალი ღირსების ყურძენისა და ლვინოს იძლევა, ამასთანევე იმდენად კარგად ეგუება სხვადასხვა ბუნებრივ პირობებს, რომ თანდათან ფრცელდება საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკურშიც. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკურში რქაწითელის ფართობი 1000. ჰექტარამდე აღწევს; საქმიანდ დიდი ფართობია სომხეთში, დალესტანში, მოლდავეთში, უზბეკეთისა და სხვა რესპუბლიკურშიც.

რქაწითელი საშუალოზე ძლიერი ზრდის ვაშია; მისი ერთწლიანი რქა სწორად მზარდია, მუხლთაშორისების სიგრძე 7,5-დან 14 სანტიმეტრამდე მერყეობს. რქა მოწითალო წაბლის ფერია; მუხლები უფრო მუქი ფერისაა, ვიდრე მუხლთაშორისები. ფოთლები—მომზარვალო, საშუალო ზომისა, ფერად მუქი მწვანე, მეტწლად სამაკეთიანი, განვერდება ხეთნაკვთიანი ან დაუნაკვთავა. ფოთლის ქვედა მზარის შებუსეა აბლაბუდისებრია; ყუნწი ჩვეულებრივ მოყლეა, უბუსუსო და შეფერილია მთელ სიგრძეზე მოწითალო-ღვინისფრად. მტევანი საშუალო ზომისაა, სიგრძით—12—24 სმ, სიგანით—5—12 სმ, მტევნის ფორმა ცვალებადია: უფრო ხშირად გვერდება ცილინდრულ-კონუსისებრი და ცილინდრული ფორმის მტევნები, იშვიათად მზარიანი, მტევნის საშუალო წონა 160—200 გრამს უდრის. მტევნის მარცვლის ფორმა ოვალურია, შორქროსფერო-მოკვითალო ფერისა; მარცვლის კანი თხელია და შეკრივი, დაფარული საშუალო სისქის ცვილისებრი ფიტქით. ჩბალობი ხორციანი და წვინიანია; წვენი უფერთა, გემო სასიამოვნო და პარმონიული აქვს. რქაწითელის ყურძენი კახეთში მწიფდება სექტემბრის შუა რიცხვებში.

რქაწითელი საქმიანდ მაღალმოსავლიანი ჭიშია, გარდა ამისა, იგი აღრი იძლევა პირველ მოსავალს; კარგი მოვლის პირობებში შეოთხე-მახუთე წელს უკეთ ნორმალურ მოსავალს გვაძლევს. საშუალო მოსავალი სრულ შემოიარე ვაშებისა ერთ ჰექტარზე 80—

¹ ვახის ჯიშების დაწახიათება მოკერმულია ს. ჩოლოყაშვილის, დ. ტაბიძის, თ. ქარაცხელისა და ა. მიროტაძის მიხედვით.

100 ცენტნერს უდრის; ბევრ მეურნეობაში მოსავალი ხშირად
150—200 ცენტნერს აღწევს.

ჩქაწითელი კარგად უძლებს სოკოვან ავადმყოფობებს, გრძელი საკუთრებით ჭრაქს. აღსანიშნავია აგრეთვე ჩქაწითელი წევდაზურა ბითი ყინვაგამძლეობა და ფილოქსერაგამძლეობა. გვიპოვით ეს

ჩქაწითელი მეტად მაღალი სამეურნეო თვისებების ჯიშია. მისი ყურძნი ძალიან გემრიელი და სასიამოვნოა საჭმელად. ამავე დროს მისგან შზადლება მრავალნაირი ღვინის პროდუქცია და ყურძნის წვენი. ჩქაწითელი იძლევა მაღალხარისხოვან სუფრის ლვინოს, როგორც კახური, ისე ევროპული ტბისას, კარგი ხარისხის შემაგრებულ, ტკბილ და სადესერტო ლვინოს, საუკეთესო ღირსების ყურძნის წვენს და კონიაკის სპირტის ღვინომასალას.

მწვანე. მწვანე თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია; იგი მეტად მაღალი ხარისხისა და ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ჯიშთავანია. მწვანეს საქართველოში სოკოვანი ავადმყოფობის,—ნაცრის გაფრცელებამდე დიდი აღგილა ეჭირა კახეთში; ნაცარმა, რაღვან მის საწინააღმდეგო ღონისძიებანი ძველად არ იყო ცნობილი, თითქმის მოსპო ეს ჯიში და შემდეგ კი მისი აღგვენა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამის გამო ამჟამად ეს ჯიში შედარებით მცირე რაოდენობით გვხდება, ძირითადად თელავისა და საგარეჯოს ჩაონებში. ეს ჯიში შეტანილია კახეთის სტანდარტულ ასორტიმენტში და მისი ფართობი თანდათან იზრდება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ევნახებში.

მწვანე საშუალო ზრდის ვაზია; მისი ერთწლიანი ჩქა მორჩებო ყვითელი ფერისაა, მზის მხარეზე — რცხი მონაცრისფრო. შეხლთაშორისების სივრძე 6-დან 10 სანტიმეტრამდეა.

ფოთლები მუქი მწვანეა, საშუალო ზომისა (18×18.5 სმ), მომრგვალო ფორმისა, იმვიათად ოდნავ ოვალური, მეტწლად ხუთნაკვთიანი. ფოთლის ქვედა მხარის შებუსუსება ბეწვისებრია, დაფარულია თხელი გარისებრი ბუსუსით. ფოთლის ყუნწი შეფერილია ღია ღვინისფრად.

მტევანი საშუალო ზომისაა, სივრძით — 12—17 სმ, სიგანით — 9—15 სმ. მტევნის ფორმა განვიხილავ კონტაქტებურია და მხრიანი. ზოგჯერ მხრების სივრძე ძირითადი მტევნის ნახევარს ან ორ-მესამედს აღწევს. ჩვეულებრივად მტევნი საშუალო სიმკვრივისაა. მტევნის საშუალო წონა 160—170 გ უდრის. მტევნის მარცვალი საშუალო ზომის, ოვალური ფორმისა და მწვანე ფერისაა. კანი თხელი აქვს, რბილობი — წვნიანი, წვენი — უფრული, ტკბილი, მეტად სასიამოვნო.

მწვანე საემაოდ მაღალმოსავლიანია, ამასთანავე, როგორც
რქაშითელი, კარგად მოვლის პირობებში აღრე იწყებს მსხმრისჩე-
ბას და სრულ მსხმოიარობაში მეოთხე-მეხუთე წელს შეისა-
შუალო მოსავალი 70—90 ცენტნერამდე აღწევს, ცალის ფართზე რე-
ნებებსა და ნაკვეთებშიც კი გაცილებით მეტი მფლობელი ფარ-
მოსავლიანობას სცემს სოკოვანი ავადმყოფობა — ნაცარი, მაგრამ
ნაცართან სათანადო ბრძოლის ჩატარების შემთხვევაში მწვანე
წილიავლიანობით რქაშითელიაც არ ჩამოუვარდება. კიში მწვანე
თუმცა საერთოდ ნაზი ჯიშია, მაგრამ მისი დადებითი მხარეა ფი-
ლოქისერისადმი შედარებითი გამძლეობა.

მწვანე მაღალი სამეურნეო ღირსების ჯიშია. იგი იძლევა მე-
ტად ნაზი, სპეციფიკური სასამოვნო გემოვნებისა და არომატის
როგორც კახური, ისე ეკროპული ტიპის ლეიინს.

ხიხვი. ხიხვი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. ეს ვაზიც მეტად
მაღალხარისხოვანია. ხიხვის ნარგავების ფართობი მცირეა; იგი,
როგორც მწვანე, ნაზი ჯიშია და განსაკუთრებით ვერ იტანს სოკო-
ვან ავადმყოფობებს, კერძოდ — ნაცარს. ჩადგან ხიხვი ნაცარს
სუსტად უძლებდა, მისი ნარგავების დაღუპვის შემდეგ მოსახლეობა
აღარ აშენებდა ამ ჯიშს, რის შედეგად იგი თითქმის გადაშენდა.
ამჟამად, როდესაც ნაცარის საწინააღმდეგოდ მარტივი და რადიკა-
ლური საშუალება მოიპოვება ხიხვის გაშენების საწინააღმდეგო
მომენტი ისსნება, მიუხედავად ამისა, ამ ჯიშის გაშენება მაინც მე-
ტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ხიხვი, მეტად მაღალი ღირსების გამო. შეტანილია კახეთისა
და მესხეთის სტანდარტულ ასორტიმენტში და მიღებულია ზომე-
ბი ამ ჯიშის ნარგავების თვალსაჩინოდ გაფართოებისათვის საბჭო-
თა და კოლექტიურ მეურნეობებში.

ხიხვი საშუალო ზრდის ვაზია; მისი ერთწლიანი ჩქა მონაც-
ტისურო ყვითელი ფერისაა. მუხლოთაშორისების სიგრძე 8—10
სმ უღრის. მუხლები ოდნავ უფრო მექია, კიდრე მუხლოთაშორი-
სები.

ფოთოლი მომრგვალო ფორმისა და საშუალო ან საშუალოზე
უფრო ღიღი ზომისა (26×26 სმ). ფოთოლი სამ ან, იშვიათად,
ხუთნაკვეთიანია. ფოთლის ქვედა მხარის შებუსეა აბლაბუდი-
სებრია. ფოთლის შებუსეის ინტენსიობა მატულობს ზემოდან ქვე-
ეითყვენ.

მტევანი საშუალოზე პატარაა; მისი სიგრძე მერყეობს 12-დან 18 სმ-მდე, განი — 7-დან 10 სმ-მდე. მტევენები უმთავრესად ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმა მისაა; ამისგან ღამოუკიდებლად მტევნები მხრიანია, სპეციალური ჰქონია ან საშუალო სიმკერივისაა. მტევნის წონა მერყეობს 250 გრამდე. მარცვალი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე მერყეობს 1,4-დან 1,8 სმ-მდე, ხოლო განი—1,35-დან 1,76 სმ-მდე. მარცვალი მომეტებულ შემთხვევაში მრგვალი ფორმისაა, იშვიათად გვხვდება ოვალური ფორმის მარცვებიც. მარცვალი მომწვანო-ყვითელია, მხის მხარეზე სიღამწერის პატარა ლაქები აყრია. კანი თხელია და ადვილად შორიდება ჩბილობს. ჩბილობი წერილია და მდნარი; ცვილისებრი ფიტქი მარცვალზე სუსტად არის გამოსახული. წვენი უფერულია და მეტად სასიმოვნო გემო აქვს, თავისებური ჯიშერი არომატითა შემკულია. კახეთში ხიხეის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა წლის მეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით 140-დან 160 დღემდეა. ამრიგად, ეს ჯიში საქმაოდ აღრიცხულა ჯიშებს მიეკუთვნება. ხიხეი, სხვა კახური ჯიშების მსგავსად ნააღრევად იძლევა პირველ მოსავალს, სრულ მოსავალს კი თითქმის მეოთხე წლიდან ვიღებთ. მოსაველიანობის მხრივ ხიხეი საშუალომოსაველიანი ვაზის ჯიშებს შეიძლება მიეკუთვნოს. კარგი მოვლის პირობებში იგი მოსაველიანობით თითქმის არ ჩამოუვარდება მწვანესა და რქაშითელსაც კი.

ხიხეი მაღალი სამეცნიერო ღისების ჯიშია. იგი იძლევა საუკეთესო სუფრის ღვინოს, განსაკუთრებით კახური ტიპისას. კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში კი (კარდენახის მიერობათ) მისგან მიიღება განსაკუთრებით მაღალი ხარისხის საღესერტო ღვინო, რომელიც არ ჩამოუვარდება იმავე ტიპის ცნობილ ყირიმის ღვინოებს.

საფერავი. საფერავი კახეთის მთავარი საწარმოო ვაზის ჯიშია. საქართველოში, გარდა კახეთისა, იგი საქმაო რაოდენობით გვხვდება ქართლშიც. საფერავი გავრცელებულია საბჭოთა კავშირის მეცნახეობის თითქმის ყველა რაიონში.

საფერავი საშუალო და კარგ პირობებში ძლიერი ზრდის ვაზია.

საფერავის ერთწლიანი ჩქა საქმაოდ მსხვილია და აქვს ჯიშისათვის დამახასიათებელი ფხვიერი მერქანი; შემოსულ ჩქას მოწითალო-ვარდისფერი შეფერვა აქვს. მუხლთაშორისები საშუალოდ 8 — 10 სმ-ის სიგრძისაა. მუხლები უფრო სქელი და მუქად შეფერილია, ვიდრე მუხლთაშორისები. ფოთოლი საშუალო ზომია.

ნაა, მომზრვალო, იშვიათად კეტულხისებრი; ლია შევანე ფეხისაა, ხშირად ფოთლები სამნავეონია, იშვიათად გვეცდება ხეობაზე-თიანი ან ოდნავ დანაკვეთული. ფოთლის ქვედა მხარის შებუსვა-საქმაოდ სქელია, ქეჩისებური; ფოთლის ზედა მხარეზე შირილია, ოდნავ შესამჩნევი აბლაბულისებრი ბეწვით ძარღვის განვითრივ.

მტევანი საშუალო ზომისაა, სიგრძით 13-დან 21 სმ-მდე. სიგანით 7,5-დან 12 სმ-მდე. მტევანი განიერი კონკვისებრია, ფუძესთან დატორცილი, საკმალდ თხელი, იშვიათად — საშუალო სიმკერივისა. მარცვალი საშუალო ზომისაა, ოვალური. შეუა წელში განიერი, ბოლოში კი მომრგვალო. მარცველის ფერი მუქი ღურჩია, თითქმის შავი. ცვილისებრი ფიფქი მარცვალზე კარგადაა განვითარებული. მარცველის კანი თხელია, მაგრამ მავარი; რბილი ნაწილი წვნიანია, აღვილად დნება. მარცველის გემო სასიამოვნო ტკბილია, ხალისიანი.

საფერავი სხვა ქართული ჯგუფებსავით აღრე იწყებს მსხმოიარებას და სრულ მსხმოიარობაში 4—5 წლისა შედის. იგი საემთდ მაღალმინისავლიანია. საშუალო მოსავალი 70—90 ცენტინერია ერთი ჰექტარიდან; კარგ პირობებში მოსავალი 130—170 ცენტინერს და უფრო მეტსაც აღწევს.

სადურავს ნორმალურზე ჭაბბი ყველილცვენა ახსიათებს. სო-
კოვან ავალმყოფნებებს და განსაკუთრებით ნაცარს სატერავი კანე-
თის პირობებში შედარებით კარგად უძლებს. ყინვის მიმართაც სა-
ფრავი საჭიაო გამძლეობას მიენის.

სადერავი ღვინის საუკეთესო გიშა, მხოლოდ იგი სხვადასხვა პირობებში ნაირსახობის პროდუქტის იძლევა: ზომიერ-თბილ-ჰაერან რაიონებში იგი უმაღლესი ხარისხის სუფრის ღვინოს იძლევა (კახეთისა და ქართლის უმრავლესი რაიონები), ხოლო ცხელ-ჰაერან რაიონებში (კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი — კარტენახის მიერთაონი, უზბეკისტანი და სხვ.) საუკეთესო მაგარ და სადე-სერტო ღვინოს.

საფერავის სუფრის ღვინო ინტენსიური მუქი ბროჭეულის ფერისაა, ზომიერი სიმაგრის, სრული, ენერგიული, ამავე ღრმის ხალისიანი. სკეციფიური ჯიშური არომატით და სიძველუში ძლიერი ბეკეტით. ამ ჯიშის შემაგრებული ღვინოც, მაგ., კავირი, გამოიჩინევა შუქილალისფერი შეფერებით, პარმონიულობით, ხავერდოვნებით, ჯაშური არომატით და ძლიერი ბეკეტით.



ჩინური. ჩინური ქართლის ძირითადი სტანდარტული რეპრეზენტატორი, იგი საქმიოდ ძლიერი ზრდის ვაზია. ერთწლიანი რქა მცენარეულისა კისფრია, ღარისელილია უფრო მუქი ზოლებით. ფოთლის ქვევითა ქმის მომრგვალოა, მეტწილად ხუთნაკვეთიანი; ფოთლის ქვევითა მხარე სუსტად არის შებუსული. მტევანი საშუალო ზომისაა, ცი-ლინდრული ან ცილინდრულ-კონუსისებური, ხშირად დატოტვილი, საშუალო სიკუმისია, ზოგჯერ საქმიოდ კუმისი. მარცვალი საშუალო ზომისაა ან მომსხო, მომრგვალო-ოვალური, ფერად — მომწვანო-მოყვითალო; კარგად დამწიფებული ღა ქარვისფერს იღებს. კანი თხელი აქვს, მხოლოდ უხეში; ჩბილობი ხორციანი და წვნიანია.

ჩინური გვიანა სიმწიფის ჯიშია. მოსავლიანობა საშუალო ან საშუალოსნე მაღალი აქვს. ჩინური მგრინიბიარე სოკოვან ივად-მყოფობათა — კრაქისა და ნაცრის მიმართ; საქმია გამძლეობას იჩენს ფილოქსერისადმი.

ჩინური მაღალი ხარისხის სუფრის ღვინოს იძლევა; იგი გამო-იყენება აგრეთვე როგორც შავპანური ღვინომშვალა.

ჩინურის ყურძენი კარგი ყურძნად მოსახმარადაც. ჩინურის გავრცელების არეალი ამჟამად შედარებით პატარაა, შეგრამ შესაძლებელია ღა სასურველოც მისი უფრო ფართოდ გავრცელება ქარ-თლის ყველა რაიონში და კახეთშიც.

გორული მწვანე. გორული მწვანეც ქართლის ძირითადი სტან-დარტული ჯიშია. ვაზი საქმიო ღონიერი ზრდით ხასიათდება. ზრდა-დამთავრებული ფოთლით მოყვანილობით ოვალურია, ხუთნაკვ-თოანი. ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარე შეფენილია აბლაბუდი-სებური ბუსუსით. მტევანი ცილინდრულ-კონუსურია ან კონუსური, საშუალო ან საშუალოსნე დიდი ზომისა, საშუალოდ ან საქმიოდ კუმისია. მარცვალი მომსხო-მომრგვალო აქვს. მარცვალის კანი საქ-მიოდ უხეზია, ფერად — მწვანე, სრული სიმწიფის დროს ყვითელ-მომწვანოა.

გორული მწვანე გვიანა სიმწიფის ჯიშია, ქართლის პირობებ-ში იგი ოქტომბრის ბოლოში მწიფდება. საქმიოდ უხევი და თანაბა-რი მოსავალი იცის. გორული მწვანე ნაკლებგამძლეა კრაქის მი-მართ. ზამთრის ყინვებისა და ნაცრისადმი საქმიოდ გამძლეა.

გორული მწვანე მაღალხარისხოვან სუფრის თეთრ ღვინოსა და შავპანურ ღვინომშვალის იძლევა. სუფრის ღვინო დაძველები-სას სასიმოვნო ბუკეტს იკითარებს.

თავკვერი. თავკვერი ქართლის გიშია, იგი გავრცელებულია შეა და ქვემო ქართლში. თავკვერი საქართველოში ზეტაზე გაერცელებულია აზერბაიჯანის სსრ და შეა აზის—უზბეკეთის, თურქეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ჩესპეტლიებში რაც უკავშირო არის.

თავკვერი აზ აზის შეტანილი საქართველოს ჩატაზე და მულ ასორტიმენტში, რაც შეცდომად უნდა ჩითვალოს, რაღაც იგი მაღალი ღირსებისაა. თავკვერი შეტანილია აზერბაიჯანისა და შეა აზის ჩესპეტლიების ძალიშიმენტში.

თავკვერი ძლიერი ზრდის გაზია. ერთშელიანი რქა ღია ყავის-ფერია, ხშირად წითელი ელფერი გადაქრავს; შესამჩნევია ღაზოლე.

ფოთოლი მომრგვალო ან განიერ-ოვალური მოყვანილობისაა, საყმაოდ დიდი, ოთხამონაკეთიანი. ფირფიტის ორივე მხარე გლუვია.

ერთსა და იმავე ყვავილედში გვნვდება როგორც მდედრობითი ისე თრისქესიანი ყვავილი, რის გამო სრული და კუმის მტევნის განვითარებისათვის ესაჭიროება გარეშე მტევრით განაყოფიერება.

მტევანი ცილინდრული ან ცილინდრულ-კონუსურია, საყმაოდ დიდი, ხელოვნურად კარგად დამტევერის შემთხვევაში შეტად კუმის მტევნები იცის. მარცვალი მომრგვალოა, ბოლო მობრტელუბული, მარცვლის ჩენჩო საყმაოდ სქელია, ნაკლებ ელასტიური, მუქი შავია და უხვადაა შეფენილი ვიტინით, რის გამო მოლურჯო იერი დაქრავს. მარცვლის ხორცის კანი იოლად სცილდება, ხორცი საყმაოდ წვნიანია და დაუფერავია, კანში კი წითელი პიგმენტი საკმაოდ მოიპოვება.

თავკვერი კარგად შეფერილ, უბრალო, მსუბუქ, მაგრამ სასიამოვნო და ხალისიან სუფრის ღვინოს იძლევა.

თავკვერი მაღალი მოსავლიანობით გამოიჩინვა. კარგ პირობებში მისი მოსავალი 20—30 ტონას და მეტსაც აღწევს.

8. იმერეთის ჯიშიანი

ცოლიყოური. ცოლიყოური იმერეთის მთაეთი საქართველო ვაზის გიშია; გარდა იმერეთისა, ცოლიყოური გავრცელებულია და სავლეთ საქართველოს ყველა დანარჩენ რაიონში. ცოლიყოური ძლიერი ზრდით ხასიათდება. მისი ერთშელიანი რქა მოყვითალო-ყავისფერია, მუხლები — მუქი ყავისფერი. მუხლთაშორისების სივრცე 8—10 სმ-ს უდრის.

ფოთლები საქმაოდ დიდია, მრგვალი, სამნაკვთიანი. ფოთლის
ზევითა შეარე ბრტყელიალა, ქვემოდა შეარე შებუსელია ქეჩუა
ბურად.

მტკვანი კონუსისებურია ან უფორმო, ღატოტერი, ზოგი
სიგრძით — 12-დან 15 სმ-მდე, სიგანით 8-დან 12 სმ-მდე. მტკვანის
მარცვალი საშუალო ზომისაა, მრგვალი, იშვიათად ოვალური, მომ-
წვანო-მოყვითალო ფერისა, უანგისმაგვარი წინწელებით და ზო-
ლებით. ცვილისებრი ფიფქი მარცვალზე კარგად არის განვითარე-
ბული. კანი უხეში აქვს, რბილობი კი წვნიანი.

ცოლიკოური მაღალმოსავლიანი ჯიშია. კარგად მოვლილი ვე-
ნახებიდან ჰექტარზე 80—100 ცენტინერი უურძენი მიღება, ცალ-
შეული ნაკვეთებიდან კი ვაცილებით მეტი. ცოლიკოური გამოიჩ-
ნევა იმერეთის დანარჩენი ჯიშებიდან სოკოვან ავადმყოფობათა,
განსაკუთრებით კრაქის მიმართ შედარებით გამძლეობით, რასაც
მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს უხვ-
ნალექიანი პირობებისათვის. ამ თვისების — სოკოვან ავადმყოფობა-
თა წინააღმდეგ შედარებით გამძლეობის გამო, ცოლიკოური ფარ-
თოდ ერცელდება მრავალნალექიან შევი ზღვისპირა რაიონებში.
მართლაც, ფილოქესერისა და სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელე-
ბისა და შევი ზღვისპირა რაიონებში მაღლარი ვენახების მასიური
დალუბების შემდეგ, ამ რაიონების მოსახლეობა გადადის დაბლარი
ვენახების, ძირითადად ცოლიკოურის ჯიშის გაშენებაზე. ცოლი-
კოური მაღალი ხარისხის საქმიან ექსტრაეტრიულ, პარმონიულ, ზა-
ლისან და სურნელოვან სუფრის ღვინოს იძლევა. განსაკუთრებით
მაღალი ხარისხის ღვინო ღვება ცენტრალურ იმერეთში — ზესტა-
ფონის, თერჯოლის, მაიკოვსკისა და სხვ. რაიონებში, აგრეთვე გუ-
რია-სამეგრელო-აფხაზეთში, ნეშომპალა-კარბონატულ, ზირხატ
ნიაღაგებზე.

ცოცქა. ცოცქა თეთრურმნიანი ვაზის ჯიშია, ივი იმერეთის
ძირითადი საწარმოო ვაზის ჯიშია; გავრცელებულია განსაკუთრე-
ბით იმერეთის აღმოსავლეთ ნაწილში — ზესტაფონის, თერჯოლი-
სა და ოჩიონიერის რაიონებში.

ცოცქა საშუალო ზრდის ვაზია. ერთშელიანი რქები მორუხო
ყვითელი ფერისაა; მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი. მუხლთა-
შორისების სიგრძე 6 — 8 სმ-ს უდრის. ფოთოლი საშუალო ზრდი-
საა, ონაც ოვალური ან მომრგვალოა, მისი სიგრძე 16-დან 22 სმ-
მდე მერყეობს, სიგანე — 16-დან 20 სმ-მდე, ფოთოლი სამ ან
უფრო ხშირად ხუთნაკვთიანია. ფოთლის ქეედა მხარე შებერ-

ლია სქელი" აბლაბუდით, რომელსაც ერთების ჯაგრისებრი / პუსუ-
სიც. ფოთლის ნაკეთი ბოლოედება მახვილწერიანი, სწორი, სამ-
კუთხედის მაგვარი კბილანებით.

მტევანი საშუალო ზომისაა, მცირ სიგრძე 12-დან 17-მდე, განი — 7-დან 11 სმ-მდე. მტევანი ძირითადად მსრუმინი, მცირულ-
რულ-კონუსისებრი ფორმისაა; გვხვდება იგრეთვე ცილინდრისებ-
რი და უფრო იშვიათად კონუსისებრი ფორმის მტევნებიც. მტევ-
ნები საშუალო სიძვრივისაა, გვხვდება იგრეთვე ძალიან მკვრივი
და უფრო იშვიათად თხელი მტევნებიც. მარცვალი საშუალო ზო-
მისაა, მომზრგვალო ფორმის; მარცვალის ფერი მომწვანო ყვითელია,
მზის მხარეზე მოქარვისფრო ყვითელი, რეზი წინწერებით. მარცვა-
ლი დაფარულია თხელი ცვლისებრი ფიფქით. კანი საქმაოდ მკვრი-
ვია, ხორცი — წენიანი. წევნი უფერულია, ტებილი, სასიამოვ-
ნო გემოსი. ციცა საგვიანო ჯიშია; სრულ სიმწიფეს აღწევს სა-
შუალოდ ოქტომბრის მეორე ნახევარში. იგი საქმაოდ მაღალმო-
სავლიანია; საშუალო მოსავალი რაიონისა და ადგილმდებარების
მიხედვით 60-დან 100 ცენტნერამდე მერყეობს, განსაკუთრებულ
პირობებში კი 150 — 200 ცენტნერს აღწევს. სოკოვან ავადმყო-
ფობათა წინააღმდეგ. გამძლეობა კარგი აქვს; მგრძნობიარეა მხო-
ლოდ ნაცრის მიმართ. ალანიშნავია ციცას შედარებითი გამძ-
ლეობა ფილოქსერისადმი.

ციცა მაღალხარისხოვან სუფრის ლეინის იდლევა, რომელიც
ხასიათდება სინაზით, სიხალისით და სპეციფიკური ჯიშური არო-
მატით. გარდა ამისა, ციცა განთქმულია და ფართოდ გამოიყენება,
როგორც შამპანური ლეინომასალის მომცემი ჯიში.

კრახუნა. კრახუნა იმერქონის საწარმოო ვაზის ჯიშია; მოუხედა-
ვად ამ ჯიშის მაღალი ხარისხისა, იგი არა ფართოდ გავრცელე-
ბული.

კრახუნა საშუალო ზრდით ხასიათდება. მისი ერთწლიანი ჩქა-
ლია რეზი ფერისაა, მუხლებში უფრო მუქი. მუხლთაშორისების
სიგრძე 6,5-დან 9 სმ-მდეა, ფოთლოლი საშუალო ზომისა აქვს,
მრგვალი, ხუთ ან უფრო იშვიათად სამნაკეთიანი. ფოთლის ჭვედა
მხარე შებუსულია ქეჩისებურად.

მტევანი კონუსისებურია, იშვიათად ფრთიანი, მკვრივი, სიგრ-
ძით — 12—15 სმ, სიგანით — 8—10 სმ. მარცვალი მსხველი
აქვს, ოვალური, მომწვანო-მოყვითალო ფანგის მაგვარი წინწერე-
ბითა და ზოლებით. ცვილისებრი ფიფქი მარცვალზე კარგად არის.

განვითარებული. მარცვლის კანი უხეშია, ჩბილობი — საშუალო
სიჩბალის.

კრახუნა საქმაოდ მაღალმოსავლიანი ჯიშია; საშუალო მოსა-
ვალი პეტრაზე 70 — 90 ცენტნერს უდრის; კარგ ჭრის მიზანით
100 — 120 ცენტნერი და უფრო მეტიც მოდის.

კრახუნის უარყოფითი თვეისებაა ძისი მგრძნობიარობა სოკო-
განი ავადმყოფობებისადმი, განსაკუთრებით ჭრაქის მიმართ. წვი-
მიან წლებში ყურძენი აღვილად ლპება ვაზშე.

კრახუნის ლვინო ხასიათდება მაღალი სპირტიანობით, ექსტრაქ-
ტულობით და მაღრინიაციისაერთ ჰიდრეკილებით, რის გამო იგი
საუკეთესო მასალას წარმოადგენს საღესერტო ლვინოებისათვის,

ოცხანური საფერე. ოცხანური საფერე ჩმერეთის წითელყურძ-
ნიანი ჯიშია. იგი, თუმცა არ არის შეტანლი იმერეთის საწარმოო
ჯიშთა სიაში, მაგრამ საქმაოდ ხარისხოვან ლვინოს იძლევა და მისი
პროდუქტია ამ რაიონის ყველა სხვა წითელყურძნიან ჯიშშე მაღ-
ლა დგას.

ოცხანური საფერე საშუალოზე დაბალი ზრდით ხასიათდება;
ერთშესაბამისი რქა მონაცრისფრო-ყვითელია, მუხლებში — ლია ყა-
ვისფერი. მუხლთაშორისების სიგრძე 6 — 8 სმ-ს უდრის.

ფოთოლი თითქვის წვრილია, მომრგვალო, ხეთნაკვთიანი; ფო-
თლის ქვედა მხარე შებესულია ქეჩისებურად.

პტევანი პატარაა, ცილინდრისებური ან ცილინდრულ-კონუ-
სური, მხრიანი, მკვრივი; მტევნის სიგრძე 10 — 12 სმ-ია, სიგა-
ნე — 7—8 სმ. მარცვალი წვრილია, მომრგვალო, შავი; ცვილისებ-
რი ფიტქი მარცვალზე კარგად არის განვითარებული.

მარცვლის კანი უხეშია, ჩბილობი წვნიანი აქვს. ყურძენი
გვიან, ოქტომბრის ბოლოს მწიფდება. იმერეთის სხვა ჯიშებთან
შედარებით ოცხანური საფერე უფრო გამძლეა სოკოვან ავადმყო-
ფობათა წინააღმდეგ.

ოცხანური საფერე საშუალოზე დაბალმოსავლიანია, კარგად
მოვლილი კვენახებიდან 50 — 60 ცენტნერი და მეტიც მიიღება.

ამ ჯიშის ლვინო რბილი, საქმაოდ ნაზი და პარმონიულია, ამას-
თანავე კარგად შეფერილი, სიძველეში ლვინო თანდათან უმჯო-
ბესდება. ინტენსიური შეფერვის გამო ოცხანური საფერე გამო-
ყენება საკუპავედ სუსტშეფერილ წითელ ლვინოებთან.

წულუკიძის თეთრას ერთშელიანი რქის მუხლთაშორისი ღია მიხაელის ფერისაა, მუხლები კი მცენი მიხაელის ფერია, მუხლთაშორისის სიგრძე 4,5-დან 12,5 სმ-დან მეტყველს. ფოთოლი პატარა ან საჭუალო ზომისა, თითქმის ოვალური, ოდნავ წაგრძელებული ან თითქმის მრგვალი აქვს; ფოთოლის ქვედა მხარე თითქმის შიშველია.

მტევანი ცილინდრულ-კონუსურია, საკმაოდ გრძელი ან მრავალტოტიანია, საკმაოდ კუმში, ხშირად კი თხელი ან ძლიერ თხელი, სამუალო ზომისაა, სიგრძით 12 სმ, სიგანით 6,5 სმ. მარცვალი საშუალო ზომისაა, თითქმის თვალური, მოყვითალო ქარვის ან მოყვითალო-მოწვევანო ფერისა, ცვილისებრი ფილტი სუსტად ემჩნევა. მარცვალს კანი თხელი აქვს, ნაწი და ხშირად ხალებიანი.

შელუების თეთრა მაღალმდენავლიანი ჭიშია; მისი ნაყოფიერების კოეფიციენტი საქმაოდ დიდია — 1,75. ერთი ვაზიდან საშუალოდ 1,5 კგ უცრძენი იქრისფება.

შულუკიძის თეორიას ყურძნის უარყოფითი თვისებაა მიხმიდრეკილება ლპობისაღმი — 8—10 დღის წვერი უკვე თვალსაჩინოდ აზიანებს და ამცირებს მოსავალს.

წულუკიძის თეორია იძლევა ღია ყვითელი ფერის კარგი ხარისხის მსუბუქ სულიერის ღვინოს.

ალექსანდროული. ალექსანდროული რატული ჯოშია, გავრცელებულია სოფ. ხვანექარაში, ტოლასა და ბუგეულის მიერობაიონში. გაზი საშუალო, თითოეულის სუსტი ზრდისა.

ყლორტები შებუსული აქვს; ერთწლიანი რქების მუხლთაშორისი ღია მიხაკისფერია, მუხლები კი მიხაკისფერი. მუხლთაშორისის სიგრძე 8-დან — 13 სმ-მდე.

ფოთლობ მომზრდალოა, თითქმის დაუნაკვთავი, საშუალო ან ღღნავ პატარა ზომისა. ფოთლის ქვედა მხარე აბლაბულისებურადაა შებუსული.

მტევანი თითქმის კონუსისებურია ან უფლიშო, ზოგჯერ ფრთიანი და დატოტვილი, საშუალო სიმკერივისა ან თხელი, სიგრძით საშუალოდ 13—14 სმ, სიგანით — 8 სმ. მარცვალი ოღნაფ მრგვალია, ხშირად თითქმის ოვალური, საშუალო ზომისა, ხშირად პატარა, სიგრძით 14 მმ, სიგანით 12,5 მმ, მექქი წილელი ან უკა-

ფერისაა; კანზე კარგად ემჩნევა ცვილისებური ფიტქი; კანი მრავალი აქვს სქელი, სირბილე ხორციანია, ოდნავ მკვრივი.

ალექსანდროული შედარებით მცირე მოსავლიანი ჯიშია; საშუალო მოსავალი ერთ ვაზზე 750 გ-ს უღრის, მტევნის საშუალო წონა 90 გ-ია, მინიმუმი — 32, მაქსიმუმი — 245 გ, ნიუტონის მიზანი კოეფიციენტი 1.65 შეადგენს.

ალექსანდროული გამოიყენება როგორც სუფრის ღვინის, ისე ბუნებრივად ტებილი ღვინის დასაყენებლად. ეს უკანასკნელი მაღალი ხარისხისა დგება და საქმიანდ კარგი სახელი აქვს მოხვეჭილი როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც.

უსახელოური. უსახელოური ლენსუმის წითელყურძნიანი ჯიშია, გავრცელებულია უმთავრესად ცაგერის რაონის სოფ. ოურეში. ამ ჯიშის ვაზის ერთწლიანი რქის მუხლთაშორისი მოყვათალო ნაცრისფერია, მიხავისფერი ზოლებით და მუხლებით. მუხლთაშორისის სიგრძე 4-დან 11 სმ შორის მერყეობს. ფოთოლი პატარაა, მრგვალი, თითქმის სამთათანი ან სრულიად დაუნაერთავი. ფოთოლის ქვედა მხარე შიშველია. მტევნის წშირიად ცილინდრულ-კონუსისებურია ან ცილინდრული, იშვიათად — კონუსური, ფრთიანი, საშუალოდ კუმსი ან ოდნავ თხელი. მტევნის საშუალო სიგრძე 11 სმ უღრის, ხოლო სიგანე — 7 სმ. მარცვალი თითქმის მრგვალია, საშუალო ზომისა, შავი ფერისაა, ცვილისებრი ფიტქი საქმიანდ ემჩნევა. კანი თხელი აქვს და ხორცი წვნიანი.

უსახელოური საშუალო მოსავლიანი ჯიშია; თითო ძირი ვაზი საშუალოდ 1—1,5 კგ-ს იძლევა, ნაყოფიანობის კოეფიციენტი 1,2 უღრის; თითო მტევნის წონა 90 გ-ია.

უსახელოური მაღალი ხარისხის წითელი ფერის, საქმიანობეულიან, სპეციფიური სურნელების სუფრის ღვინოს იძლევა.

მ. გურია-აპარის მთავარი ჯიში

ჩხავერი. ჩხავერი გურია-აპარის ჯიშია; ეს ჯიში ძველად საქმიანობ ფართოდ იყო გავრცელებული გურიასა და აჭარაში, მაღლარის სახით, მაგრამ, ფილოქსერის შემოტანის შემდეგ, იგი თითქმის მთლიანად მოისპონ და გადაჩჩნილია მხოლოდ ერთეული ძარები. ჩხავერის ყურძნის მაღალი ღირსების გამო წარმოებს ამ ჯიშის აღდგენა: „სამტრესტის“ მიერ გაშენებულია დაბლარად ჩხავერის სპეციალური საბჭოთა მეურნეობა მახარაძის რაიონის სოფ. ბახვში; იწყება მუშაობა კიდევ ერთი მეურნეობის გასაშე-

ნებლად ჩიხატაურის რაოთის სოფ. საქამიასერში. კოლმაზუნეობებშიც მიჰყვეს ხელი ჩხავერის გაშენებას, აგრეთვე დაბრუნის სახით.

ჩხავერი საშეალო ზრდის ვაზია; მისი ერთწლიანი წევრი მოყვითალო მიხაილისფერია, მუხლები უფრო მუქად აქვს შეფერალი. მუხლოშორისების საშეალო სიგრძე 10 სმ-ს უდრის. ფოთლები მომრგვალო ფორმისა აქვს ან ოდნავ ოვალური. ფოთოლი სამნავეთიანია, იშვიათად გვხვდება ხუთნავეთიანიც, ფოთლის ქვედა მხარე შებუსულია სქელი აბლაბუდისებრი ბუსუსით. მტევანი საშეალო ზომისაა, მისი სიგრძე მეტყველს 10-დან 15 სმ-მდე, სიგანე — 7-დან 10 სმ-მდე. ფორმა მტევნისა ცილინდრულ-კონუსისებურია; იშვიათად ძალიან მქერივი ან თხელი. მარცვალი საშეალო ზომისაა; ფორმა მარცვლისა მრგვალია ან ოდნავ შეზნექილი, შეფერილია მუქვარდისფრად. მარცვლის კანი თხელია, მაგრამ მქერივი, ადვილად არ სედება და არ ლპება; დაფარულია საქმიანდ სქელი მუქი იასუერი ფილებით. ხორცი საშეალო სირბილისაა, წვენი უფერული, ტქბილი, სასიამოვნო გემოსა.

ჩხავერი საშეალო მოსავლიანი ჯიშია; ერთ ვაზიდან (დაბლარი) საშეალოდ ერთი კილოგრამი ყურძენი იქრისფერია. გურიაში იგი ჩვეულებრივად იქრისფერია რეტომბრის ბოლო რიცხვებში.

ჩხავერი მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ჯიშია; იგი იძლევა ნაზ, არომატულ, საქმიან სიმაგრის, სასიამოვნო მოტქო, ხალისიან, ბაცვარდისფრი შეშხენა ღვინოს.

ჩხავერის ღვინოს ახსიათებს ბუნებრივი მიღრეკილება შეშხენისაკენ, რაც შამპანური ღვინომასალისათვის მაღალ ღირსებად ითვლება.

3. სავიზიულოს მთავარი ჯიში

ოგალეში. ოჯალეში სამეგრელოს მთავარი ჯიშია. საქართველოში ფილოქსერისა და სოქოვან ავადმყოფობათა შემოქრამდე ეს ჯიში მასობრივად იყო გავრცელებული სამეგრელოს ზეგან რაიონებში მაღლარის სახით და მეტად მაღალხარისხოვან ღვინოს იძლეოდა. ამეამად იგი შეტანილია სტანდარტულ ასორტიმენტში და შენდება დაბლარად, ძირითადად სამეგრელოში.

ფოთოლი საშეალო სიდიდისაა, განიერ-ოვალური, გვხედება აგრეთვე მომრგვალო, საქმიანდ დანაკვთული. ფოთლის საშეალო სიგრძე 15 სმ და სიგანე 16 სმ აღწევს. მტევანი საშეალოზე მცირე ზომისაა, მისი სიგრძე 11—12 სმ, ხოლო სიგანე 7—8 სმ-ს უდ-

რას. მტევანი ფრთიანია, ფორმით უფრო ხშირად ცილინდრული კონუსური, საშუალო სიმკერივისაა, გვედება იგრეთვე თხელის მარცვალი თითქმის ოვალურია, გვხვდება მომრგვალოც. ზოგი ლის კანი შევია, საქმაოდ სქელი, ხორცის ადგილად მარტივები ხორცი მკვრივია, მაგრამ წერიანი. მტევანში მარცვალი ზოგი მარცვალი არ მწიფდება, რაც დამახასიათებელია ამ ჯიშისათვის. ვაზი საყმაოდ ძლიერი ზრდით და კარგი მოსაცელიანობით ხასიათდება.

ოფალები გვიანა ჯიშია, მწიფდება ნოებბრის შეა რიცხვებში. ეს ჯიში იძლევა მაღალი ხარისხის წითელ ღვინოს, რომელსაც შეფერვა კარგი აქვს, მეტად ჰარმონიულია, საქმაო ექსტრაქტიული და სხეულიანი, სასიამოენო გემო აქვს.

ა. აცხაზითი გთავარი ჯიში

კაჭიჭი. კაჭიჭი აფხაზეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ჯიში. იგი გავრცელებული იყო აფხაზეთში მაღლარის სახით. შემდეგ ფილოქსერისა და სოკოვან ავალმყოფობათვები მისი ნარგავება ძლიერ შემცირდა. ამგამად წარმოებს ამ ჯიშის აღდგენა დაბლარი ნარგავების გაშენებით, მაგრამ ეს გაშენება მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. კაჭიჭი ძლიერი ზრდის ვაშია; ერთწლიანი რქა მოწითალო-მორუხო ფერისაა; მუხლები კარგად გამოიჩინევა და უფრო მუქადაა შეფერილი.

ფოთოლი მსხვილია, სამ ან ხუთნაკვთიანი; ქვედა მხარე შეზუსულია აბლაბულის მსგავსად. მტევანი საშუალოა, სიგრძით — 14 — 18 სმ, სიგანით — 10 — 11 სმ, ფორმით — ცილინდრულ-კონუსური; ზევითა კუტხალი საქმაოდ განვითარებული აქვს. აგებულობით საშუალო სიკემისასა. მარცვალი მრგვალია, საშუალო სიმსხოსი, მუქი ლურჯი, თითქმის შევი ფერისაა, უხვადაა დაფარული ცვილისებური ფიფქით. მარცვლის კანი თხელი, მაგრამ საქმოდ მკვრივია. ხორცი წერიანია, უფროული.

კაჭიჭი საშუალო მოსაცელის ჯიშია, პექტაზე საშუალოდ 50 — 70 ცენტნერ უურბენს იძლევა, განსაკუთრებულ კარგ პირობებში — 100 — 120 ცენტნერს. კაჭიჭის ყურძენი მწიფდება რქორობბრის ბოლო რიცხვებში, მისგან შზადლება სუფრის წითელი ღვინო, საქმაოდ სხეულიანი. ექსტრაქტული, კარგი გემოსი და სპეციფიკური არომატით.

თ. საკართველოში გაცემული გენერალი ჯოზეპი

ალიგოტე. ალიგოტე თეთრკუნძნიანი გაზის ჯიშია; სის / სა-
დაურობა საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ უფრო მიმდევნობენ,
რომ იგი საფრანგეთიდან (ბრტყელიდან) არის // წერტიტიდევარი.
საქართველოში ალიგოტე გაერცელებულია ძირითადად ქართლში,
გვხედება იმერეთსა და მესხეთში. ალიგოტე ზომიერი ზრდის ვა-
ზია. ერთლებიანი რქა რუხი მოწითალო ფერისაა, შავი მოიისფე-
რო ფიფქით. მცხელების შეფერება არ განსხვავდება მცხელთაშორი-
სების შეფერებისაგან. მცხელთაშორისები საშუალო სიგრძისაა.

ფოთოლი მომრგვალო ფორმისაა, საშუალო სიღიდის, სამნაკ-
ვთანი, იშვიათად გვხედება აგრეთვე დაუნაკვთავი ფოთლებიც-
ფოთლის ქვედა მხარე შებუსულია სუსტი აბლაბულით. ფოთლები
დაკბილულია.

მტევანი საშუალო სიღიდისაა, სიგრძით 9-დან 14 სმ-მდე სი-
განით—6-დან 10 სმ-მდე, ფორმით ძირითადად ცილინდრულ-კო-
ნუსისებურია, იშვიათად გვხედება აგრეთვე ცილინდრული ფორმის
მტევნებიც. მარცვალი საშუალო ზომისა, მომრგვალო ფორმის,
მომწვანო ყვაოთელი ფერისაა, დაფარულია საქმაოდ სქელი ცვი-
ლისებური მოიისტრო ფიფქით. მარცვლის კანი საქმაოდ იხელია,
ხორცი ნაზი, წვნიანი, წვენი უფერული და ტებილია.

ალიგოტე სააღრეო ჯიშთა ჭვეულს ეკუთვნის, იგი დიდმოსავ-
ლიანია და ამ მაჩვენებლით არ ჩამოიუვარდება და თითქმის ადგი-
ლობრივ ჯიშებშე (რქაწითელი, გორული მწვანე და სხვ.) მაღლაც
დგას. მაღალხარისხოვან პრილუქტს ალიგოტე იძლევა მთავორიან
ადგილებშე კირნარქებიან ნიადაგებშე. ალიგოტეს ეკროპული ტი-
პის სუფრის ღვინო მეტად ხალისიანია, საქმაო სინაზის და არომა-
ტის მქონე. ეს ჯიში კარგ ღვინომებსალას იძლევა აგრეთვე შამპა-
ნური ღვინის დასამზადებლად. ალიგოტე შეტანილია საქართვე-
ლოს სტანდატულ ჯიშთა სიაში ძირითადად ქართლისა და ზემო
იმერეთის რაიონებისთვის.

კაბერნე. კაბერნე საფრანგეთის ჯიშია, მას რამდენიმე სახე-
სივაობა აქვს, მაგრამ ყველაზე გაერცელებულია კაბერნე სოვი-
ნიონი. საქართველოშიც კაბერნე სოვინიონი გვხვდება. კაბერნე
ჩვენში მეტად განსაზღვრულ ფართობშეა გაშენებული და ისიც
მხოლოდ კახეთის ზოგიერთ ადგილის (წინანდალი, ნაფარეული,
ყვარელი, კურდლელური და სხვ.). კაბერნე კარგად შეეცუა წი-
ნანდლის (თელიანი) პირობებს და განსაკუთრებით მაღალი ხარის-

ხის ლვინოც დგება ამ აღგილის ვენახებიდან. კახეთის დანარჩენ რაიონებში და საქართველოს სხვა მხარეებში კაბერნეს მოყვაბება და პროდუქტის ხარისხის შესახებ არ მოიპოვება საჭირო მასალა.

კაბერნე საქართველოს უძლის ვაზის ჯიშია; კრისტალური წლიანი რქა შეფერილია ღია ყავისფრად და გადაპურის მოწითალო-რუხი იქნი. რქა გძელი და სწორი უძლისაა. მუხლთა-შორისები მოკლე (8 — 9 სმ) აქვს. მუხლები კარგიდაა ვანვითა-რებული და უფრო მუქად არის შეფერილი. მუხლთაშორისები და-სერილია წვრილი ზოლებით. ფოთოლი საშუალო სიღიღისაა, მომრგვალია, ხუთნავეთიანი; ფირფიტა ძალიან ლრმად არის და-ნაკვთული. ფოთოლის ზედაპირი ქვემოდან თხლად არის შებუსული.

მტევანი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე მეტყველს 12-დან 16 სმ-მდე, სიგანე — 8-დან 10 სმ-მდე. მტევანი ცილინდრულ-კონუსისებურია, ხანდახან ერთი ან ორი პატარი ფრთით, საქართველო მკვრიცია. მარცვალი მრგვალი და წვრილი; იშვიათად გვხვდება შეზნექილი ფორმის მარცვალიც. მარცვალი მუქი წითელია, მაგ-რამ სქელი, ცვილისებრი ფიტქის გაელენით იგი მუქ ისიცვერს იღებს. მარცვლის კანი სქელია, მაგრამ და ელისტიური, ხორცი. მკვრიცი, წვენი უფერული—ტებილი სპეციალური არომატით. კა-ბერნეს ყურძენი სრულ სიმწიფეს აღწევს სექტემბრის მეორე ნა-ხევარში. ეს ჯიში საშუალო მოსავლით ხასიათდება, მაგრამ ყო-ველწლიურად მყარ მოსავალს იძლევა. ერთნაირი მოვლის პირო-ბებში კაბერნე არ ჩამოუვარდება მოსავლიანობით საფერავს.

კაბერნეს დადებითი მხარეა მისი გამძლეობა ჭრაქისა, ბლუკ-როტისა და ყოველგვარი სიდამპლის გამომწვევ სოკოვან ავადმ-ყოფიბათა მიმართ. ნაკლებად უძლებს კაბერნე ნაცარს. ალანიშ-ნავია იგრეოვე კაბერნეს შედარებითი გამძლეობა ფილოქსერის მიმართ. კაბერნე კარგად უძლებს როგორც ყინვებს, ისე გვალვა-საც.

კაბერნე სოვინიონი იძლევა უმაღლესი ხარისხის სუფრის წი-თელ ღვინოს. მთელს მსოფლიოში კაბერნეს წითელ ღვინოს მე-ტოქე არა ჰყავს, გარდა საფერავისა. მაგრამ საჭიროა გვითვალის-წინოთ ის გარემოება, რომ კაბერნე მაღალი ხარისხის ღვინოს იძლევა განსაკუთრებით მშრალ ალუვიურ-ხინხატულ ნიადაგებზე-

კაბერნეს სუფრის ლვინო ხასიათდება მუქა ინტენსიუტი, შეფურვით, ჰარმონიულია, ხაზი თავისებური ბეკეტით—და საუმცველო სპეციფიკური გემოთი.

ერთოველი

შესაუმცველი

V. გელვინეობის თანამედროვე მდგრადირიბა

მეცნიერებება საქართველოში მელვინეობის მიმართულებისა; თითქმის მთელი მოსავალი ლვინოზე გადასამუშავებლად მიღის; მისი მცირე ნაწილი იხმარება მოსახლეობის მიერ ყურძნის სახით და გადამუშავდება ბექმეზისა და ჩურჩხელისათვის; შემოლებულია აგრეთვე ყურძნის გამომართვისათვის. ჩამორჩდა ასევე მცირე რაოდენობით, ძირითადად შინა მოხმარებისათვის.

საერთო ჯამში, მთელი ყურძნის დაახლოებით 95% ლვინოდ მუშავდება, დანარჩენი 5%—სხვა სახის პროცენტიად.

საქართველოში მელვინეობას ეწევან როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები (სამტრესტი, საქართველომშინატი, ადგილობრივი მრეწველობის საქართონი და სხვ.), ისე კოლმეურნეობები და კალეული გლეხური მეურნეობანი.

ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობის გამო (კლიმატი, ნიადაგი, რელიეფი და სხვ.) საქართველო მელვინეობის მხრივ მთელ რიგ მაკრორაიონებად და მრავალ მიქრორაიონებად იყოფა.

საქართველოს მელვინეობის ძირითადი რაონი კახეთია. კახეთი კლასიფირი ქვეყანაა სუფრის როგორც თეთრი, ისე წითელი ღვინოებისა. ბუნებრივი პირობების თავისებურებათა მიხედვით ეს ბევრგვარი ლვინოები მუშავდება, რომლებიც თავიანთი გემური და სხვა თვისებებით ძლიერ განსხვავდება ერთომრისაგან. ადგილობრივი, ანუ კახური წესით სუფრის ლვინოების დამუშავებასთან ერთად, სახელმწიფო მეურნეობებში გავრცელებულია ევროპული ტიპის ლვინოების წარმოება.

ადგილობრივი, ანუ კახური წესით, კაჭაზე დაღულებით გამომუშავებულ ლვინოებს ჩას ფერი აქვს, ძელვა, ტანინის შემცველი, ახალგაზრდობაში — რამოდენიმედ უხეში; მათი ჩეველებრივი სიმაგრეა $10-12^{\circ}$, ზოგიერთ მიქრორაიონში კი $13-14^{\circ}$ აღწევს, მცირე მეავიანია — 46%.

ევროპული ლვინოები უკანასკნელ დროშე გამოდიოდა შემდეგი მაჩქებით: № 64 წინანდალი, № 66 ნაფარეული და № 65

¹ უმცველი ლვინოების დახასიათდება ამ თავში მოცემულია ა. ვეოროვის შრომის მიხედვით: „ამიერკავკასიის ლვინოება“, „კრისისფატი“, 1947.

მუკუწანი. ამ ლვინოებს საერთო ხსიათი აქვთ, მაგრამ ერთომიც რისაგან მაინც განსხვავდებიან. მარკა წინანდალ № 64-ს, საერთო პარმონიასთან ერთად რამოდენიმედ მეტი სხეული აქვს, რომ გა-შოც ეს ლვინო ისეთი მსუბუქი არაა, როგორც ნაფარეფული ჭურჭელი ყველა ეს ლვინო რქაშითელიდან მუშავდება და ამ ჭრიშიც დამტკიცებული სიათებელ ბუკეტს დასაშუალების სინაზე—სიფაქიზე აკლია, მაგრამ შენახების დროს სიძველის დიდმნიშვნელოვან ბუკეტს ანვითარებს. მუკუწანი № 65 რამოდენიმედ დაბლა დგას პირეელი ორი მარკის ლვინოებზე, მას აკლია პარმონია და ხალისი. ამ ლვინოების სიმაგრე 10,5—12° უდრის, საერთო მეავიანობა კი—6—8%.

ცალკე აღსანიშნავია მწვანის თეთრი ლვინო „მანავის მწვანის“ სახით (სამტრესტის მანავის საბჭოთა მეურნეობა), რომელიც სიჩბილით და სპეციფიური დახვეწილი ბუკეტით გამოიჩინა.

გარდა კარგი და ხანდახან შესანიშნავი თეთრი ლვინოებისა, კახეთში განსაკუთრებული ღირსებისაა აღვილობრივი ჭიშის სა-ფერავის წითელი ლვინოები. ეს ლვინოები მძლავრადა შეფერილი, ძლიერი სტრუქტურისაა, ახალგაზრდობაში რამოდენიმედ უხეშია და მძიმე, მაგრამ თავიანთ შინაარსითა და შემაღენელი ნაწილების პარ-მონით მიმზიდველია. დაძველების შემდეგ მათვან გამსაკუთრებული სილამაზის იშვიათი ლვინოები დგება.

წითელი ლვინოები, ისევე როგორც თეთრი, იყოფა ორ ჯგუ-ფად: ევროპული ტიპის ლვინო და აღვილობრივი, კასური წესით დაყენებული ლვინო, მაგრამ მათ შორის არ არის ისეთი ღრმა გან-სხვავება, როგორც თეთრ ლვინოებში, რაღაც ორივე ტიპში ლვი-ნო ერთგვარად, კაქაზე დაღულებით მზადდება; ევროპული ლვი-ნისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ მეტი მეავიანობის შენარჩუ-ნება, აღვილობრივი წესით დამუშავებული ლვინისათვის კი უკრ-ძენი დაგვიანებით, მეტი შაქრიანობის დაგროვების შემდეგ იქრი-ფება, რის გამოც მეავიანობა კლებულობს. გარდა ამისა, აღვი-ლობრივი წესით დამუშავების დროს ლვინო მეტხანსაა განერებუ-ლი ჰაქაზე და ამიტომაც იგი რამოდენიმედ უხეშია.

წევულებრივად, აღვილობრივი ლვინო ხის დიდ კასრებში—ჩა-ნებში კი არ დულს, არამედ ქვევრებში, სადაც უკეთესი პირო-ბებია დულილისა და ახალგაზრდა ლვინოების შენახვისათვის, რაღ-გან იქ ტემპერატურა ერთგვარია და შედარებით დაბალი.

წითელი ლვინოებიდან ყურადღების ღირსია სამტრესტის სა-მარკა ლვინოები, რომლებიც გამოდიოდა შემდეგი მარკებით: წი-

ნანდალი № 45, მუკუზანი № 46 და ნაფარეული № 47, შეგვებ
სურათი მეორედება, რაც ამავე მარკების თეთრ ღვინოებშიც წინა-
დალი № 45 და ნაფარეული № 47, მუკუზანი № 46-ზე მოღლ
დგანან. პირველი ღვინოები უფრო სრულია, ვიდრო მეტი.

ამ ნომრების ღვერცხებში ჯიში განსაკუთრებული უკავშირება ინტენსიური შეფერვის, არომატისა და ბუკეტის მხრივ; ღვერცხები გემოზე ჰარმონიულია, ხალისიანი, სრული. მარკა მუკუზანი № 46 მაღალი ხარისხისაა, მაგრამ შედარებით მარტივია და ჰარმონიულობის მხრივ პირველ ორ მარკას ჩამორჩება.

კაზური ტიპის საუკეთესო წითელი ლეინოები დგება ყვარლაში, წინანდალში, ახაშებსა და კურდლელაურში. ყვარლის ღვინოები სქელია, მაგრამ არაუხეში, მიმზიდველია განსაკუთრებული მათი ხაერლოვნება, სადაც ჰარმონიულადაა შეთავსებული შეფერვა, სისრულე, სიხალისე, ენერგია და არომატი; ისინი სხვა ტიპის ღვინოებია, ვიღრე ახაშენის, წინანდლის, კურდლელაურისა და კახეთის დანარჩენი აღვილების წითელი ლეინოები. ყვარლის წითელი ლეინოებიდან ცალკეა გამოსაყოფი საცერავის ღვინო „ქიხმარული“; ეს ბუნებრივად ნახევრადტებილი ღვინოა. მა ტიპის ღვინის დასაშიადებლად ყურძენი იკრიფება 24—26% შაქრით, რის გამო ტემპილი დაუდუღებელი რჩება. ღვინო 10—12° სიმაგრისა დაგება 4—5% შაქრით და მცტად სასიამოვნო სასმელია.

კარგი წითელი ღვინოები დგება აგრეთვე ნაფარეულში, იყალ-
თოში, შრომაში, შაშიაშა და სხვა ადგილებში.

სხვა წითელი ჯიშებიდან კახეთში გვხვდება მხოლოდ კაბერ-ნე, წინანდლის საბჭოთა მუურნეობის თელიანის განყოფილებაში. ამ ჯიშიდან მზადდებოდა სამარეკო ლვიონ თელიანი № 48. ამ ლვიონის ინტენსიური შეფერვა, მშევნივრად გამოხატული ჯიშერი ბუკრი, პარმონიული გემი, სიხალისე და სირბილე აქვს.

გარდა სუფრის ღვინოებისა, კახეთში, მის აღმოსავლეთ ნაწილში მზადდება აგრეთვე მავარი და სალესერტო ღვინოები ჩქარითოელისა, ხიხვისა და საფურავისაგან. მავარი ღვინოები კარგი აფებულებისაა, ყესტრატიული, ხილის ბუკეტით.

- სადესერტო ლვინო ხისკი მიავე ჭიშიღან შზადება; იგი ძლი-
ურ კარგა. მას თავისებური ჭიშური არიმატი და ბუჟეტი აქვს,
იგი ტრყაის ტბპის ცნობილ ლვინოებთან ახლო დგას.

ქვემო ქართლში მეღვინეობა იგრეოვე ორი მიმართულებისა — სუფრის ღვინოებისა და შემაგრებული ტკბილი ღვინოების ჭარბობის.

ამ რაიონის როგორც სუფრის, ისე შემაგრებული ტკბილი ღვინოები საშეალო ხარისხისა და დიდად ჩამოუვარდებან კარგ თის ღვინოებს.

ამ რაიონის შესამჩნევი აღვილი უკავია საკონიაკე, სპირტისა და ყურძნის წვენის წარმოებაში (ბოლნისის აღმინისტრის და რაიონი).

ხრამისა და მაშავერას მდინარეების აუზში ღვინოები მზადდება უმთავრესად კახური ჭიშების — რქაწითელისა და საფერავისაგან. აქაური ღვინოები შესუბუქია, ორდინარული, ვენისების უხვი რწყების გამო. ამ რაიონის ღვინოები გამოიყენება უმთავრესად საკონიაკე სპირტის გამოსახდელად.

რქაწითელისა და საფერავისაგან, სუფრის ღვინოების გარდა, მზადდება ორდინარული შემაგრებული ტკბილი ღვინოები.

რქაწითელის ჭიშის ყურძნიდან მზადდება აგრეთვე საქმაოდ მაღალი ხარისხის ყურძნის წვენი.

ქართლი — სამხრეთ ოსეთის რაიონებში ამ ბოლო ღრის მეღვინოებამ შემპანური ღვინომასალების წარმოების მიმართულება მიიღო; შემპანური ღვინომასალები მზადდება როგორც ერთობული ჭიშებიდან (ალიგოტე, პინო, შარდონე), ისე აღვილობრივი ჭიშებიდან (გორული მწვანე, ჩინური). ამასთან ერთად, რიგ მიკრორაიონებში (ატენი, მეჯერისხევი და სხვ.) მზადდება აგრეთვე ხარისხოვანი სუფრის ღვინოები.

არაგვისა და ქსნის ხეობებში ცნობილია სოფელ საგურამოს საფერავის ღვინო, რომელიც კახურის უახლოედება.

მცხრანის საბერთა მეურნეობაში მზადდება საფერავის კარგი წითელი ღვინო, მაგრამ შესხე უკეთესია თეთრი ღვინო, განსაკუთრებით ალიგოტე.

მცხრანის საბერთა მეურნეობის ალიგოტე ძლიერ ხალისიანია, მსუბუქი, საქმაოდ სრული, რბილი, ჭიშერი ბუჟეტით.

ქართლის სხვა რაიონების ღვინოებიდან აღსანიშნავია ხიდისთაური, ჩინურისა და გორული მწვანეს ჭიშების ღვინოები. ღვინო ხიდისთაური თავეკერის ჭიშიდან კეთდება, უბრიალი წითელი, აღვილობრივი მნიშვნელობის ღვინოა. მისი შეფერვა მდიდარი არაა თუმც საქმაოდ ინტენსიურია. ბუჟეტით თუმცა ჭიშერი აქვს, მაგრამ უბრალო, აქეს საქმაო სიხალისე.

ჩინურისა და გორული მწვანის თეთრი ჭიშები ძძლევა ატენის განთქმულ ღვინოს — ატენურს.

ღვინო ატენური ცნობილია უძველესი ღრიადან; იგი სავსებით თავისებურია და ორიგინალური. მისი სიმაგრე 11—12³

უდრის, საერთო მეცნიერობა — 5,5 — 6,5%, შექმრის ნაშთებით — მოტებო. „ატენური“ ქვევრებში დალა და გვევრებშივ ინახება. ნიადაგის შედარებით დაბალი ტემპერატურა გარე — 10°, დაუღილი ნელა მიმდინარეობს და ლეინი მცირდებოდებული რჩება, დარჩენილი შექმრი ნელ-ნელა სულდებული ტექნიკა გაელექტოლის ნახშირმევა გაზით და მის გამო, განსაკუთრებით ზაფხულში, სიცემში, მეტად სასიამოვნოა, იგი თავისებული ბუნებრივი შემპანურია. სიცემში, როცა ქვევრის სილრმიდან ლეინის ამოილებენ, ლეინი ცივია და ხალისიანი, წყურეილსა ჰელას და ენაზე სასიამოვნოდ ეკიდება ნახშირმევა. ვინაიდან ლეინის გადაზიდვის ღრის გაზი ადვილად ეკარგება, გამომუშავებულია ტექნილოგია, რომელიც უზრუნველყოფს ამ ტაპის ლეინის შენახვას მისი ბუნებრივი სახით.

იმერეთი საქართველოს მელვინეობის მეორე ძირითადი რაიონია. აქც ადგილი აქვს ბუნებრივ პირობათა განსაკუთრებულ სიჭრელეს, რაც გავლენას ახდენს მელვინეობის მიმართულებას და პროდუქციის ხარისხზე.

ამ ბოლო დრომდე რაიონში შზადდებოდა სუფრის ლვინოები, უმთავრესად თეთრი, ნაწილობრივ შემაგრებული ტებილი ლვანოები.

საქართველოში საბჭოთა შემპანურის წარმოების კომბინატიდან არსებილია (1936 წ.) დაწყებულია შემპანური ლეინომასალების მასიური დამზადება ჯერ ადგილობრივ ჯიშ ციცადან, რომელიც ხარისხოვან მასალას იძლევა, და შემდეგ ამ მიზნისათვის სპეციალურად გაშენებული ეპროპული ჯიშებილან (პინო, შარდონე, ალიგოტე).

